ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

ლია მელიქიშვილი, მაკა ხარშილაძე

# მეცნიერები ლატენტური კონფლიქტის ზონაში

## (საველე მუშაობის მეთოდი)

თ ბ ი ლ ი ს ი
2003

უაკ (UDC) 39
მ 541

წიგნის გამოცემა დააფინანსა
ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების ფონდმა
ჩიკაგო, აშშ

Publication of this book was made possible thanks to
The John D. and Catherine T. MacArthur Foundation
Chicago, USA.

წიგნის ავტორები ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ კონფლიქტურ საზოგადოებაში. ამ წიგნით ისინიი მკითხველს უზიარებენ პირად დაკვირვებებს, კონფლიქტურ გარემოში მუშაობისას შეძენილ გამოცდილებებს, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს ველზე მომუშავე ეთნოლოგებს, ფსიქოლოგებს და სტუდენტებს თავისი მიზნების განხორციელებაში.

რედაქტორები: თამილა ცაგერეიშვილი
პროფ., ისტ. მეცნ. დოქტორი
დიმიტრი ნადირაშვილი
ფსიქოლ. მეცნ. კანდიდატი

რეცენზენტები: ნუნუ მინდაძე
ისტ. მეცნ. დოქტორი
მზია წერეთელი
ფსიქოლ. მეცნ. კანდიდატი

მ $\frac{86}{2003}$

© ლია მელიქიშვილი, მაკა ხარშილაძე
Lia Melikishvili, Maka Kharshiladze

ISBN - 99928-0-610-9

# რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

დღეს ეთნოლოგიის წინაშე დგას მეთოდური ხასიათის პრობლემები, რომლებიც ერთი მხრივ უკავშირდებიან მეცნიერების კომპეტენციის სფეროს გაფართოებას, მეორე მხრივ კი მისი პრაქტიკული დანიშნულების ზრდას.

ქვეყნის წინაშე წამოჭრილი მწვავე პრობლემების, ეთნოჯგუფებისა და ეთნიკური უმცირესობათა თვითშეგნებისა და თვითგამორკვევის არნახული აღზევების ფონზე ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიებაში ეთნოლოგიის ჩართვა მას აქტუალურ სამეცნიერო დარგად წარმოაჩენს.

ახალი ამოცანები საჭიროებს ეთნოლოგიური კვლევის შედეგების საქმიან დაკავშირებას ჩვენი საზოგადოების დღევანდელ განვითარებასთან, თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვეობის შესწავლა არის საფუძველი მომავალი ყოფა–ქმედების განსაზღვრისა და პროგნოზირებისათვის.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მიღებული არ იყო ეთნოპრობლემების, ეთნიკური დაპირისპირების არა მარტო შესწავლა, არამედ გამოვლენაც კი. ასეთი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არასასურველ გავლენას ახდენდა მეცნიერული აზრის განვითარებაზეც, რადგან მას სახელმწიფოებრივი საჭიროების ფუნქცია მოხსნილი ჰქონდა და იკრძალებოდა.

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიიდან ამის თვალსაჩინო დადასტურებაა დარგის მამამთავრის, აკად. გიორგი ჩიტაიას 1926 წელს ალბულაღ (თეთრიწყარო)–წალკაში ეთნოგრაფიული მოგზაურობისას პირად დღიურში ჩაწერილი შთაბეჭდილებები, მრავალეროვან მოსახლეობაში მუშაობის შესახებ, რამაც დღის სინათლე მხოლოდ 2001 წელს იხილა მისი „შრომების" III ტომში.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ამონაწერს:

„*სოფ. ვართაშენი.* ეს სოფელი იქცა ჩემთვის სინდისის უროთ. ზერელეთ საქმე თითქოს მოვათავეთ. ყოველ შემთხვევაში მეტის მიღება არ შეიძლებოდა ამ პატარა დროში და დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. მოსახლეობის ურთიერთობებს ვაკვირდებოდი. მაგრამ თქმა კი შეიძლება? ამიტომ სიმშრალეს და ოფიციალობას ვირჩევთ. ერთი რამ გარკვევით ნათელია ჩემთვის, ამდენი ხნის მუშაობისა და დაკვირვების შემდეგ: ეთნოლოგისათვის, ვინც ძველი ყოფა–ცხოვრების ანარეკლს ეძებს დარჩენილ ზნე–ჩვეულება–ტრადიციებში. ვინც ურთიერთობებს აკვირდება მრავალ-

ეროვან მოსახლეობაში, განსაკუთრებით მისთვის სამძიმოა დღევანდელი პირობები. . . მიდიხარ შენ, ეთნოლოგი და ეკითხები ხალხს ისეთ რამეს, რაც მთავრობისა და „ნასწავლი ხალხის" მიერ სასტიკად იდევნება. შენ ეკითხები ამას ორი წუთით მივლინებული საიდანღაც და ვიღაც, გეტყვის გლეხი სწორ პასუხს? რა იცის მან შენი მიზნების . . . ან შენ შეგწევს ძალა თქვა ის, რასაც ხედავ?

იმედს მაინც არ ეკარგავ. იქნებ დადგეს დრო, როცა სიმართლე იზეიმებს" *.

გ. ჩიტაიას მოღვაწეობის უმთავრეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ პირობებში მიანც შეძლო დარგისთვის სწორი მეთოდოლოგიური ორიენტაციის მიცემა. ამას ხელს უწყობდა მეცნიერის პირადი მსოფლმხედველობა და კლასიკურ გერმანულ ეთნოლოგიურ სკოლაზე აღზრდის ტრადიციები, რომლებსაც იგი შენიღბული სახით ავითარებდა დარგის მეცნიერულად ჩამოყალიბების პროცესში. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ეთნოგრაფიული სკოლა თავისი საველე-სამეცნიერო კვლევის პრინციპით რადიკალურად განსხვავდებოდა საბჭოთა რუსული ეთნოგრაფიული სკოლისაგან და ლიდერობდა სხვა რესპუბლიკებს შორის. ხოლო მის მიერ შემუშავებული საველე ეთნოგრაფიული კვლევის „კომპლექსური ინტენსიური მეთოდის (შემდგომ ცნობილი „ქართული მეთოდის" სახელით) სამი პრინციპი – ტოტალური დესკრიფცია, ისტორიზმი და ეთნოსპეციფიკა – ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ძირითად ნიშან–თვისებად იქცა და ქართული ეთნოგრაფების გამოკვლევები თავისი თეორიული დონით უთანაბრდებოდა მსოფლიოს ეთნოლოგიური სკოლის მოთხოვნებს.

სწორედ ამ მემკვიდრეობამ დაუდო საფუძველი დარგში ახალ მიმართულებას და თეორიულ-პრაქტიკული ხაზით განვითარებად პროცესებს, რისი ნათელი დადასტურებაა ლ. მელიქიშვილისა და მ. ხარშილაძის ნაშრომი „მეცნიერები ლატენტური კონფლიქტის ზონაში (საველე მუშაობის მეთოდი)".

ნაშრომი ნათელს ჰფენს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოების უმწვავესი პრობლემების ჩასახვისა და განვითარების პროცესების წარმოშობის მიზეზებს, ეთნოსტერეოტიპების, სოცია-ლური განწყობის რეალურ ვითარებას, მეორე მხრივ იძლევა კონფლიქტური რეგიონების ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ანალიზს, ურთიერთდამოკიდებულების გამწვავების მიზეზებს და

---

* ჩიტაია გ., შრომები, ტ. III, თბ. 2001, გვ. 254.

მოსალოდნელი კონფლიქტის პროგნოზირებისა და თავიდან აცილების საშუალებების რეკომენდაციებს.

ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ ავტორები პოპულარული ენით აღწერენ ამ ურთულესი პრობლემების შესწავლის გზებსა და კვლევის მეთოდს. გვიზიარებენ იმ გამოცდილებას, რომელიც მათ მიიღეს დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში ჯავახეთსა და პანკისში საველე კვლევის ინდივიდუალურ პიროვნულ ინიციატივებზე დაყრდნობით, როდესაც საჭირო ხდებოდა რეალური, უარყოფითი ვითარების საპირისპიროდ მყისური გადაწყვეტილებების მიღება მეცნიერული მუშაობის ჩასატარებლად. მეცნიერ–მკვლევრების დამსახურებად მიგვაჩნია ასეთი სწორი ორიენტაციის შერჩევა რამაც განაპირობა მუშაობის წარმატება კონფლიქტურ რეგიონებში.

ნაშრომის სიახლეა ისიც, რომ ის წარმოადგენს ეთნოლოგის და ფსიქოლოგის ერთობლივი საველე–სამეცნიერო მუშაობის, ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიური მეცნიერებების მეთოდოლოგიების ერთი მიზანმიმართულებით წარმართვის პირველ ცდას. იგი აერთიანებს ერთი მხრივ სოციალ–ეკონომიკური, ეთნოპოლიტიკური და კულტურული განვითარების კვლევის ყველა მხარეს, ხოლო მეორე მხრივ – პიროვნული ფასეულობების, მათი მიზნების, ქმედების არსის კვლევას.

კვლევის ორივე მიმართულება ემსახურება ერთ მიზანს: კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის დაძაბული სიტუაციის მიზეზების გამოვლენას და მოწესრიგების ტრადიციული სისტემის ამუშავებას. სტაბილურობის მიღწევას და სოციალურ–ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების გზების ძიებას.

„ეთნოგრაფიული ველი" მრავალ მასალას აძლევს ეთნოლოგსაც და ფსიქოლოგსაც. ველზე მათ აერთიანებს უშუალო დაკვირვების მეთოდიც: საკვლევი თემის მატრიცის წინასწარი დამუშავება კითხვარების სახით. დაკვირვება–ინტერვიუს მეთოდი როგორც ინფორმაციის შეგროვების წყარო. ეს ხერხები ერთმანეთს უახლოვდება და ურთიერთს ავსებს, ზოგჯერ კი დამოუკიდებელი ხასიათის გამო დამოუკიდებლადაც გამოიყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ეთნოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური დაკვირვების ობიექტი ადამიანია – პიროვნება თავისი ზოგადი თუ კერძო შემთხვევებით.

კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც მკვლევარებს მუშაობა უხდებათ კონფლიქტურ რეგიონში, ფსიქოლოგი გვთავაზობს

მთხრობელთან ურთიერთობის პროცესში ფსიქოთერაპიული ხერხების გამოყენებას. იგულისხმება ე.წ. აქტიური მოსმენა და ემპატიური დამოკიდებულება, რაც თანამედროვე ჰუმანისტური ფსიქოთერაპიული მიმდინარეობის ამოსავალი პრინციპია. ავტორის აზრით ამგვარ თერაპიულ ურთიერთობაზე დაფუძნებული დიალოგი მნიშვნელოვანწილად ანეიტრალებს დაძაბული რეგიონის მოსახლეობისთვის დამახასიათებელ უარყოფით ემოციურ მდგომარეობას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ველზე მუშაობის სრულფასოვან წარმართვას.

ფსიქოლოგიური დაკვირვება ადამიანთა ქცევაზე, რის საფუძველზეც კეთდება სოციალურ–ფსიქოლოგიური დასკვნები, არის სოციალური ინფორმაციის შეგროვების კერძო მეთოდი. ეთნოფსიქოლოგია კი ადამიანის ქცევის, გრძნობების, მოტივების, უსაფრთხოების, დაპირისპირებასთან ერთად შეისწავლის იმ შეხედულებებსაც, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ურთიერთობებს და მათი ანალიზის საფუძველზე მისაწვდომის ხდის იმ შინაგან ფარულ მიზეზებს, რომლებიც ავლენენ ხალხის მოქმედების ქცევების საფუძველზე დაპირისპირების საფუძველს.

ეთნოფსიქოლოგიური კვლევები ჩვენში ჩამოყალიბების პროცესშია. ამ მხრივ მ. ხარშილაძის მიერ ჩატარებული საველე ეთნოფსიქოლოგიური მუშაობა მეტად ფასეულია. ეთნოფსიქოლოგიური კვლევის ობიექტად შერჩეულია კონკრეტული სოციალური ჯგუფები (პანკისის ხეობაში) მისთვის მახასიათებელი ფსიქოლოგიური თავისებურებების, მათი ღირებულებების, ურთიერთობის ნორმების გამოკვლევის მიზნით. მისი დასკნები და შედეგები, საველე ეთნოფსიქოლოგიური კვლევის მისეული გამოცდილება ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოების საწინდარია.

უდავოა ლ. მელიქიშვილის დამსახურება ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა–ძიებაში (ჯავახეთი, პანკისი). მან არა მარტო საფუძველი ჩაუყარა ეთნოპოლიტიკური პრობლემის წამოწევას ეთნოლოგიის განვითარებაში, არამედ ინდივიდუალურად მიაგნო საველე კვლევის წარმოების ხერხებს ურთიერთდაპირისპირებულ საზოგადოებაში.

ცნობილია, რომ „კონფლიქტურ ველზე" ჭარბობს უარყოფითი მახასიათებლების სიხშირე, რომელთაგან ყველაზე პრობლემურია მოსახლეობის მიერ უცხო პირის მიზნების მიმართ, უნდობლობა და გაუცხოება. ამ დროს, „ველი" დატვირთულია გაუთვალისწინებელი მძაფრი სიტუაციური ცვლილებებით. იმ ძირითადი

დაპირისპირებელი ფაქტორების გამოვლენისთვის, რომელიც რეგიონში კონფლიქტის წინაპირობას ქმნიდა, ველზე გამოყენებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები:

1. მნიშვნელოვანი წინაპირობა, რაც გადაწყვეტილ იქნა ლ. მელიქიშვილის მიერ და რამაც ხელი შეუწყო საველე მუშაობის წარმატებით ჩატარებას, იყო ექსპედიციის ორგანიზების საკითხი. კერძოდ, ექსპედიციის შემადგენლობის დაკომპლექტება მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით. „გადავწყვიტე ჯგუფში მხოლოდ ქალები შემეყვანა, რადგანაც ასეთ დაძაბულ ზონაში ქალი უფრო მეტად მოახერხებდა ინფორმატორების ნდობის დამსახურებას". რასაკვირველია, აქ გათვალისწინებული იქნა „ზოგადკავკასიური ფენომენი" ქალთან დამოკიდებულების საკითხში, რამაც გაამართლა კიდეც.

2. კონფლიქტურ ზონაში შესვლა და მოსახლეობის ყოფითი პრობლემების ადგილზე გაცნობა ხდებოდა ორი ძირითადი პირობის დაცვით: ა) მოსახლეობასთან მჭიდრო ყოველდღიური კორნტაქტი, ბ) მოსახლეობის ნდობის ფაქტორის მოპოვებით.

3. მოსახლეობის გულახდილ საუბარზე გამოსაწვევად გამოიყენეს ორი ხერხი: ა) ჯგუფური შეხვედრა და ბ) თავისუფალი დისკუსია.

4. დასახული მიზნის მისაღწევად კონკრეტულ სიტუაციაში მკვლევარი სარგებლობდა შესაფერი„თავისუფალი მიდგომის" ფორმით, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი ხდებოდა ურთიერთ-დაპირისპირებული ჯგუფების გაუკონტროლებელი ქცევების უგულებელყოფა და სიტუაციის დამორჩილება.

5. ნაშრომში მკვეთრად გამოკვეთილია ერთი მხრივ საველე მუშაობის სწორად წარმართვის სტრატეგია, მეორე მხრივ – საველე მკვლევრის სწორი პოზიცია ინფორმატორთან ურთიერთობისას: ინტელექტუალური მგრძნობელობა, კეთილგანწყობა, პიროვნების პატივისცემა, კომუნიკაბელობა, თავდაბლობა, ეთნიკური ჯგუფის ტრადიციული ეთიკის პატივისცემა–გაზიარება, მათი ქცევის ნორმების დაცვა, ინფორმატორის აზრის შეუპასუხებელი მოსმენა, ეთნიკური ჯგუფის კულტურის, ზნე–ჩვეულების დაფასება.

ამ საველე მუშაობის შედეგებზე შექმნილმა გამოკვლევებმა „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში," თბ., 1999 და „პანკისის კრიზისი", თბ. 2002 დაადასტურეს საველე სამეცნიერო მუშაობის წარმოების სწორი მიმართულება.

ლ. მელიქიშვილისა და მ. ხარშილაძის ნაშრომი „მეცნიერები ლატენტური კონფლიქტის ზონაში (საველე მუშაობის მეთოდი)" ახალი სიტყვაა მეცნიერების განვითარებაში და აქტუალურია თემატიკის სიახლით. იგი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ეთნოლოგთა მომავალი თაობის საველე კვლევა–ძიებაში დასპეციალების საქმეში.

*თამილა ცაგარეიშვილი*

P.S. საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულმა განვითარებამ გზა გაუხსნა მეცნიერული აზრის დაუფარავ, სწორ რეალიზაციას და საბჭოთა იდეოლოგიის გამო ქართველ ეთნოგრაფთა პირველი თაობის მიერ განცდილი მეცნიერული კვლევის უკმარისობის გრძნობა შეავსო.

*ეს ნაშრომი მიმაჩნია გიორგი ჩიტაიას იმედის გამართლებად.*

*„სიმართლე ზეიმობს".*



# საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში

*„ისტორიკოსი, შესაძლებელია, იყოს ხმენადახშული; იურისტი - ყრინო; ფილოსოფოსი - ერთიცა და მეორეც, მაგრამ ეთნოლოგს უნდა ესმოდეს ის, რასაც ხალხი ამბობს და ხედავდეს იმას, რასაც ხალხი აკეთებს".*

*რაიმონდ ფერცი*

ყოველი საკითხის ეთნოლოგიური შესწავლა შედგება ორი ძირითადი ეტაპისაგან: ფაქტიური მასალის ფიქსაციისა და მისი განზოგადოებისაგან. „საველე მუშაობის სწორად წარმოებაზე არსებითად დამოკიდებულია ეთნოგრაფის მთელი შემდგომი სამეცნიერო–კვლევითი მუშაობა. უფრო მეტიც, სწორედ დაყენებული საველე მუშაობა უკვე სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოა, რომელიც ზოგადთეორიული მნიშვნელობის პრობლემათა წამოყენებისა და გადაჭრის ფართო შესაძლებლობას იძლევა"[1]. ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერულად გააზრებისათვის ველზე მასალის ფიქსაცია უნდა მოხდეს ასევე მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდით. საველე მუშაობა ითვალისწინებს საკვლევ რეგიონში აუცილებელ ჩასვლას, უშუალო დაკვირვებას ყოფაზე, კულტურასა და, საერთოდ, საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესზე.

ჩვენი კვლევა, როგორც ყველა ეთნოლოგისა, ძირითადად ემყარებოდა საველე ეთნოგრაფიულ მასალას, რაც თავისთავად წარმოადგენს წარმატებული კვლევის წინაპირობას. „ეთნოგრაფია ფაქტებს ცოცხალი ყოფიდან კრებს, რაც უფრო მეტია უტყუარი, სრულფასოვანი, ამომწურავი და ყოველმხრივი ფაქტები, მით უფრო ადვილია მათი გაგება, გააზრება, განზოგადოება და მოვლენათა კანონზომიერებათა დადგენა საზოგადოების და მისი განვითარების კანონების შესახებ. ამ რთულ სამეცნიერო–კვლევით პროცესში უმთავრესი მომენტია ფიქსირებული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტურობისა და უტყუარობის დადგენა"[2]. საველე ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისას გამოვიყენეთ ინტერვიურების და უშუალო დაკვირვების მეთოდი.

---

[1] ჩიტაია გ., შრომები, ტ. IV, თბ., 2001 წ., გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 79.

## კვლევის ობიექტის შერჩევა

როგორც ცნობილია, მკვლევარი საკვლევ ობიექტს ირჩევს თავისი მეცნიერული მიზნის მისაღწევად. ჩვენს შემთხვევაში დაინტერესება გამოიწვია ტრადიციული (საბჭოთა და ქართული) ეთნოგრაფიისათვის უჩვეულო საკითხმა – კონფლიქტმა, როგორც ერთ გარკვეულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურმა მოვლენამ და არა როგორც ზოგადმა პროცესმა. ამასთანავე, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა თანამედროვე საზოგადოება ანუ, როგორც ადრე ვამბობდით, ამ საზოგადოების „ახალი ყოფა" იმ განსხვავებით, რომ კვლევის ობიექტის – ერთი პოლიეთნიკური საზოგადოების – შერჩევა განაპირობა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენმა ინტერესმა და არა „ზევიდან" მიღებულმა დირექტივამ. ბოლო წლების პოლიტიკური ცვლილებების გამო გაჩნდა თავისუფალი აზრის რეალიზაციის საშუალება. ჩვენი ნებით შეიქმნა პროექტი „ეთნიკური კონფლიქტების ადრეული **გამოკვლევა და ეთნიკური ჯგუფების სოციალური განწყობის განსაზღვრა პოლიეთნიკურ საზოგადოებაში**" (ავტორი ლ. მელიქიშვილი). ამ პროექტის განსახორციელებლად მივმართეთ „ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების ფონდს", რომელმაც პროექტი განიხილა და დაამტკიცა.

პროექტის დაფინანსების ფაქტი ავტორს და მასში მონაწილე მკვლევართა ჯგუფს გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა, ვიდრე „ზევიდან დაშვებული დირექტივები".

პოლიეთნიკურ ქვეყნებში ერთა შორის ურთიერთობის, ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ინტეგრაციის საკითხი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ცალკეული ადამიანების, არამედ ეროვნული უმცირესობების მდგომარეობას. იგი კიდევ უფრო მეტად პრობლემატურია გარდამავალ პერიოდში, როდესაც ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა დემოკრატიული ნორმების განმტკიცების ერთ–ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად იქცევა. ეს კი, თავისთავად, ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკამ და ტოტალიტარული რეჟიმის კრიზისმა ბოლო წლებში გაამწვავა ერთა შორის ურთიერთობა და დასაბამი მისცა სეპარატიზმს. „პერესტროიკის" შემდეგ სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალი ეროვნული ჯგუფის თვითშეგნების გამოცოცხლებამ და თავისუფლებისკენ სწრაფვამ გამოიწვია ძლიერი დაძაბულობა და ერების დაპირის-

პირება. გაჩნდა კონფლიქტური კერები. ასეთი კერები ხშირ შემთხვევაში ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები – ეროვნული უმცირესობა, რომელიც თავისი ეთნიკური შემადგენლობით ენათესავება ამ ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას. ასეთ რეგიონებში უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატისტული და ირიდენტული მოძრაობა იმისდა მიუხედავად, არის თუ არა დაძაბული ვითარება. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სასაზღვრო ზოლია.

გადაწყდა, ჩვენს ჯგუფს უნდა შეესწავლა პოლიეთნიკური საზოგადოება. როგორც ცნობილია, ერთობა – საზოგადოება არის იმ ადამიანების ორგანიზებული დაჯგუფება[3], რომლებიც ერთ გარემოში ახორციელებენ სოციალურ ცხოვრებას, რაც თავისთავად გულისხმობს საზოგადოების მყარი სტრუქტურების არსებობას. ჩვენს მიერ შესწავლილი რეგიონი პოლიეთნიკურია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, როგორც ერთიანი, მთლიანი საზოგადოება. მისი ერთიანობის საფუძველი არის მხოლოდ ტერიტორიული ერთობა და დღეს–დღეობით არა აქვს ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებელი სტრუქტურა. ამ სტრუქტურის გარეშე კი წარმოუდგენელია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, კოლექტიური საქმიანობის პროცესის ორგანიზაცია, კონფლიქტის რეგულირება, კულტურის განვითარება და სხვ., რაც თავისთავად ხელს უწყობს საზოგადოების შემდგომ განვითარებასა და ევოლუციას. ასეთი გაგება ძირითადად ეთნოლოგიის პრიორიტეტია[4]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დაზვერვითი სამუშაოები რეგიონში პროექტის დაფინანსებამდე ჩავატარეთ.

შესწავლის ობიექტად შეირჩა საქართველოს რესპუბლიკის უკიდურესი სამხრეთი - ჯავახეთის მაღალმთიანი რეგიონი, სასაზღვრო ზონის – კერძოდ ნინოწმინდის რაიონის სოფ. გორელოვკის საკრებულოში შემავალი სოფლები: გორელოვკა, ორლოვკა, სპასოვკა, ეფრემოვკა და სამება. ეს მიკრორეგიონი 1989 წლამდე დასახლებული იყო მხოლოდ დუხობორებით. მათი გადასახლების შემდეგ რეგიონის ნაწილი დაიკავეს სომხებმა და

---

[3] Bottomore T., Structure and History, Approaches to the Study of Sosial Structure, Ed. P.Blau, N.Y., 1975; Lipset S.M., Sosial Structure and Sosial Change, Approaches to the study of Social Structurre, Ed. P.Blau, N.Y., 1975.

[4] Дюркгейм Э., О разделении общественного труда, Метод социологии, М., 1991.

ქართველებმა. შეიქმნა ახალი პოლიეთნიკური საზოგადოება, რომელშიც ინტეგრაციის პროცესები ურთულესად მიმდინარეობდა, რადგან მონოეთნოსაზოგადოების პოლიეთნოსაზოგადოებად გადაქცევა მოხდა არა ბუნებრივი, არამედ ხელოვნური ჩარევის გზით.

საზოგადოებაში სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედობები მაშინ ხდება, როდესაც პიროვნება, ჯგუფი ან თავად საზოგადოება დაისახავს გარკვეულ მიზანს და აქტიურადაც მონაწილეობს მის რეალიზაციაში. განსაკუთრებით შესამჩნევია ამ პროცესის გააქტიურება სოციალურ სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. მიმდინარეობს საინტერესო მოვლენები საზოგადოების ახალ პირობებთან ადაპტაციის დროს. ჩვენს შემთხვევაში ახალი საზოგადოების ჩართვა მონოეთნიკურ საზოგადოებაში იწვევს წინააღმდეგობათა პროცესს და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცვლილებას. საზოგადოებებს შორის პრაქტიკული ურთიერთობა წარმოქმნის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რის შედეგადაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ერთ მიკროსაზოგადოებაზე უფრო დიდი, მრავალფეროვანი მაკროსაზოგადოება და ეს პროცესი ისტორიული ცვლილებების ეტაპზე მრავალჯერადი იყოს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საციალურ–ეკონომიკური სისტემის შენარჩუნებას და განვითარებას. საზოგადოების წევრები ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზას ირჩევენ. ერთ გარემოში მოქცეული რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც აქვს ტენდენცია, ბუნებრივად და ხელოვნურად ჩამოყალიბდნენ ერთ სოციუმად, ერთ საზოგადოებად თავისი გამაერთიანებელი ნიშნებით, უსაფრთხოებისთვის მიმართავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: უკვე დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას, მიზანდასახულობას, და ასევე ახალ, მის მიერ ჯერ კიდევ პრაქტიკაში გამოუყენებელ საშუალებას. ამ ელემენტებზე დაყრდნობით თითოეული ჯგუფი ცდილობს, კონფლიქტის გარეშე მიაღწიოს მიზანს, მაგრამ ეს იდეალური სიტუაციაა. სინამდვილეში, პრაქტიკულად სულ სხვაგვარად ხდება. მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი არც ისე უმტკივნეულოა. ხშირად იგი წინააღმდეგობებისა და ძალადობის გამოყენებით ხორციელდება.

ჩვენ მიერ შესწავლილი ობიექტი – პოლიეთნიკური საზოგადოება არის წინააღმდეგობებით აღსავსე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სოციუმი, რომლის ჩამოყალიბების პერსპექტივაც მხარეთა დაუსრულებელ ჭიდილში საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველია. ამ საზოგა-

დოების არც ერთი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები ნებაყოფლობითი არ არის. უფრო მეტიც, ჯგუფების დაპირისპირებათა და წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობის მიზეზების კვლევას ხელოვნურ არასისტემურ მართვასთან მივყავართ.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოში მომხდარი კარდინალური ცვლილებები იწვევს რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც თავისებურად აისახება სასაზღვრო ზოლის კომპაქტურად დასახლებულ პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. განსაკუთრებით იჩენს თავს როგორც შიდაჯგუფური, ასევე ჯგუფთაშორისი წინააღმდეგობები.

თუ ასეთი რეგიონების უსაფრთხოება არ იქნება უზრუნველყოფილი სწორი შესაბამისი პოლიტიკით თავად სახელმწიფოს მიერ, შესაძლებელია სრულიად მშვიდ რეგიონში დაიწყოს სეპარატისტული მოძრაობა. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად მივიჩნიეთ საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიების და იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ისტორიულ-ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური შესწავლა. აქ სეპარაცია შეიძლება წარმოიქმნას არა მარტო ეთნიკურობის ნიადაგზე, არამედ კულტურის, რელიგიის, ენისა და პოლიტიკის სფეროში შეუთავსებლობის გამო, რომლის ლეგიტი-მიზაცია ხშირად „ეთნიკურობის" ნიშნის ქვეშ ხდება. იმისათვის, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა მონაწილეობა მიიღონ დომინანტური საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ამით შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა, როგორც საზოგადოების ცხოვრების ნორმა, აუცილებელია პოლიეთნიკური რეგიონების მეცნიერული შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანა.

შესწავლას მოითხოვდა:

1. ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა (შიდა და გარე მიგრაციები, მათი გამომწვევი მიზეზები), დასახლების ფორმები, სამეურნეო და სასულიერო ნაგებობები, ყოფა და კულტურა, მეურნეობა, რელიგია, ეკონომიკა; სოციალური საკითხები: ოჯახი, ნათესაური სისტემა, ქორწინება (შერეული ქორწინება), დღესასწაულები (ცალკეული და საერთო), ინტერეთნიკური კონტაქტები, კულტურული განსხვავებები, სპონტანური და ორგანიზებული წინააღმდეგობები, კულტურული ღირებულებანი, კომუნიკაცია და ურთიერთმოქმედების საერთო ველი, ქცევის წესების და ნორმების ქსელი, სტერეოტიპები, რომლებიც წარმართავენ ინტერეთნიკურ სოციალურ შეტაკებებს.

2. ეკოლოგიური პერსპექტივების გამოვლენა: ეთნიკური ჯგუფების ადაპტაცია გარემოსთან, მცირე კონკურენცია რესურსების ხელში ჩაგდებისათვის.

3. ორიენტაცია სახელმწიფოს მიმართ, ეთნიკური ჯგუფების უფლებები და მათი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში (გარკვეულ რეგიონში) რეალურად დომინირებული ჯგუფის გამოვლენა.

4. არსებული პრობლემები (სოციალური, ყოფითი, ეკონომიკური, ეკოლოგიური).

აღნიშნული საკითხების შესწავლა დროულად გამოავლენს შიდა და გარე კონფლიქტებს, მათ საწყის მიზეზებს, კონფლიქტთა შესაძლო განვითარების და გავრცელების არეალს, შიდა და გარე მტრულ ძალებს და ამ ძალების ზემოქმედების ზონებს.

ყოველი ეთნოსი დაჯილდოებულია მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ღირსებებით. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ეთნიკური პოლიტიკა და ეთნიკური ქცევა ზოგ შემთხვევაში ნეგატიური მოვლენებით ხასიათდება, რაც დამანგრეველ, სეპარატისტულ განწყობას იწვევს. ისტორიულად ასეთი მოვლენები შეიმჩნევა სახელმწიფოში ინტერგრაციის მოშლის, ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის რღვევის დროს.

როდესაც სუსტდება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებში მოქმედებას იწყებს ეთნიკურობის ყველაზე საშიში ფორმა–ნაციონალიზმი, რომლის სათავეშიც დემაგოგი პოლიტიკოსები დგებიან.

ჩვენს მიერ შესწავლილ რეგიონში, ერთი შეხედვით, წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური და სოციალური სირთულეები, ეთნიკურობა კი თითქოს მეორეხარისხოვანია, მაგრამ ის სერიოზული განსჯის საგანია და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება, რადგანაც სწორედ ეთნიკურობა შეიძლება გადაიქცეს საპარატიზმის მიზეზად, პრიმიტიული ნაციონალური სწრაფვები კი მეტად გაღვივდეს და შეავსოს იდეოლოგიური ვაკუუმი, თუ არ გადაიჭრება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აქ კულტურათა ურთიერთგავლენა მინიმალურია. კულტურათა ურთიერთობა, შერწყმა კი სტაბილურობის ერთ–ერთი გარანტია. ჩაკეტილ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება სულ სხვა შედეგებს გვაძლევს. იგი ამძაფრებს სიტუაციას, რადგან კონფლიქტი, როგორც მოვლენა, საერთოდ,

თავისთავად, აგებს და ამტკიცებს საზღვრებს ჯგუფებს შორის. აძლიერებს ჯგუფური ცნობიერებისა და თვითმყოფადობის განცდას, რაც ინდივიდუალობას ანიჭებს თითოეულ ჯგუფს.

პოლიეთნიკურ საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციის შესწავლა თავისთავად უკავშირდება რეგიონში ძირეული ცვლილებებისა და რეადაპტაციის საკითხს. გარდამავალი პერიოდი ხასიათდება პოლიეთნიკური საზოგადოების მიმართ სახელმწიფოს შესუსტებული მეთვალყურეობით. ჩვენის აზრით, მეცნიერული ანალიზი ხელს შეუწყობს ერთის მხრივ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ამოქმედებას ამ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მეორეს მხრივ პოლიეთნიკური საზოგადოების უსაფრთხოების თვითრეგულაციისათვის უფრო გააზრებული და მიზანდასახული ხასიათის მინიჭებას.

ექსპედიციის მუშაობა დაფუძნებული იყო ძირითადად ტრადიციულ კულტურათა შესწავლის საკითხზე. შესასწავლ რეგიონში ერთ სოციალურ გარემოში მოხვედრილია განსხვავებული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფები. ამ კულტურათა სხვაობა იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას.

რეგიონში მცხოვრები ჯგუფები მიეკუთვნებიან ძნელად მოდერნიზებადი კულტურის ტიპს. მათ ახასიათებთ ტრადიციული ყოფის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მკვეთრად შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია. ყოველი ჯგუფი (ეროვნების მიხედვით) ჩაკეტილი აღმოჩნდა თავის თავში. ხაზგასმით ამოქმედდა ყოფითი ტრადიციული მოდელის შესანარჩუნებელი ქცევის სტერეოტიპები, რამაც კიდევ უფრო მეტი გაუცხოება გამოიწვია ჯგუფებს შორის. ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც ცხოვრობენ პოლიეთნიკურ რეგიონში, ახასიათებთ ერთმანეთისგან იზოლირება, ანუ ისინი წარმოადგენენ დახურულ ჯგუფებს. ყოველი ჯგუფის იზოლაციის მიზეზად, ზოგად მახასიათებლებთან ერთად, გვევლინება საკუთარი ტრადიციული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფების განკერძოება–გაუცხოებას. ყოველ სოციუმში იზოლირების ძირითად ელემენტად წარმოგვიდგება ეროვნულობა, რელიგია (კონფესია), ენა, ადაპტაციის უნარი და ბუნებრივი გარემო.

კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოველი ერის განვითარებაში, მისი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ტრადიციული კულტურა მონაწილეობს საზოგადო ცხოვრების ყოველ სფეროში, მის ყოველ ელემენტში. ტრადიციის მრავალფეროვნება განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებით,

ცხოვრების პირობებით და სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებებით. ის, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე. „დღეს ტრადიცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, წარმოადგენს ამა თუ იმ ეთნოსის (ტომის, ხალხის, ერის) შექმნა განვითარების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებულს, თაობიდან თაობაში გარდამავალს და ერთობლივად აღიარებულ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა ნორმებს ცხოვრების ყველა სფეროში. ტრადიცია, ამავე დროს, არის როგორც ეთნოგენეზის ინფორმაციის წყარო, ასევე ეთნიკური თვითშეგნების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პირობა. ამ მხრივ ტრადიცია არა მარტო გამოხატავს სხვადასხვა თაობათა შორის ურთიერთობის ხასიათს, თაობათა შიგნით სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულებას, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში მოქმედ ნორმებს, არამედ გარკვეულწილად ასულდგმულებს კიდეც მათ. ტრადიცია, ამ მნიშვნელობით, თავისებური ჩონჩხია, რომელზედაც ასხმულია ხალხის ყოფა მთლიანად – იქნება ეს ადამიანის დაბადებასთან, აღზრდასთან, ქორწინებასთან თუ გარდაცვალებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება, სახლი თუ კარი, ტანსაცმელი თუ სამკაული, ნათესაობა, მოყვრობა, მეზობლობა, მეგობრობა და კიდევ ბევრი რამ"[5].

ტრადიციული კულტურის ბაზას ქმნის საზოგადოების მატერიალური გარემო და სოციალური ფსიქოლოგია. მთლიანობაში, კულტურის პერსპექტივა მოიცავს ურთიერთობის ყველა ფორმას, მაგრამ განსაკუთრებით გამოიყოფა ოთხი სახე, რომელიც უშუალო კავშირშია ადამიანთა ცხოვრებასთან და მსოფლიოს მომავალთან. ესენია: ადამიანთა ურთიერთობა თავის თავთან, ერთმანეთთან, საკუთარი შრომის პროდუქტთან, ბუნებასთან. ადამიანის ურთიერთობა თავის თავთან განაპირობებს გონებრივ და ფსიქიურ წონასწორობას; ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთთან განსაზღვრავს კავშირის არსებობას ან არარსებობას ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, საზოგადოებერთან, ქვეყნებთან და ა.შ.; ხალხის ურთიერთობა შრომის პროდუქტთან განსაზღვრავს ცხოვრების მატერიალურ პირობებს და, ამასთანავე, მემკვიდრეობითობას. ურთიერთობა ბუნებასთან განსაზღვრავს ადამიანის ეკოლოგიურ კავშირს ფლორასთან და ფაუნასთან, მათ გარშემო არსებულ სამყაროსთან და, ბოლოს, ყველა ეს ურთიერთობა აყალიბებს კულტურის რთულ, ტრანსფორმირებად და ცვალებად სისტემებს.

[5] რობაქიძე ალ., ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981, გვ. 3.

კულტურა მუდმივ მოძრაობაშია, იგი ვითარდება. ყოველი კულტურა თავისთავად წარმოადგენს ევოლუციურ ორგანიზმს – ის ცოცხალია, სუნთქავს, იზრდება, იცვლება, განიცდის ადაპტაციას ახალ პირობებთან – ეს ევოლუციური თვისება გამომდინარეობს კულტურის ორი ისეთი განუყოფელი ელემენტისაგან, როგორიცაა ადამიანი და ბუნება. კულტურის მუდმივი მოძრაობის მიზეზი სწორედ ეს დამბულობაა, რადგან არც ადამიანი და არც მისი გარემომცველი გარემო არ არის სტატიკური და მუდმივ ცვლილებას განიცდიან.

კონფლიქტური სიტუაციის განხილვისას კულტურას გარკვეული სტატუსი ეძლევა. კულტურა ის ღირებულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული. კულტურა, რომელიც ნადგურდება ეთნოციდის ან გენოციდის შედეგად, მთელი მსოფლიოს დანაკარგია. მრავალეთნიკურ საზოგადოებაში კულტურის აქტიური დაცვა ეთნიკურ კონფლიქტში მამოძრავებელ ძალად იქცევა, რადგანაც იდენტურობის ან განსხვავებულობის მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებაა. გარკვეულ სოციალურ პირობებში ტრადიციული კულტურის ღირებულებებზე ორიენტაციის ხარისხი შეიძლება შესუსტდეს, თუ იდენტურობა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სოციალური სტატუსით და განმტკიცებულია ადმინისტრაციულად.

ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებები, კულტურული ღირებულებები და ეკონომიკური ინტერესები ისეა გადაჯაჭვული, რომ ზოგჯერ, არაორდინალური სიტუაციის ანალიზის დროს გადაულახავ სიძნელეებს ქმნის. სიტუაციის ანალიტიკური განსაზღვრისათვის აუცილებელია მათი აზრობრივი გამოცალკავება, ვინიადან არახელსაყრელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში კულტურის ფენომენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„ეროვნულ კულტურაში იგულისხმება იმ კულტურული ელემენტების და სტრუქტურების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ხალხი ასხვავებს ცნებებს „ჩვენი" და „არაჩვენი", ხელს უწყობს თავის ერთობის გათვითცნობიერებას და განსხვავებას სხვა ერებისაგან"[6]. ასეთ ურთიერთობებს „სოციალურ–კულტურულ დისტანციასაც" უწოდებენ[7]. მაგრამ ჩვენს მიერ შესწავლილ

---

[6] Торукало В., Нация: история и современность. М., 1996. стр. 204.

[7] Дробижева Л.А., Социально-культурная дистанция как фактор межэтнических отношений, в кн.: „Идентичность и конфликт в постсоветских государствах", М., 1997.

რეგიონში მას უფრო მეტად „კულტურული შოკი" შეეფერება[8]. კულტურული შოკის არსი ტრადიციული კულტურების ნორმებსა და ორიენტაციებს შორის კონფლიქტში მდგომარეობს. უფრო ზუსტად, ეს ორი კულტურის კონფლიქტია ინდივიდუალური აზროვნების დონეზე[9]. სწორედ ასეთი ინდივიდუალური აზროვნებით დაიწყო დაპირისპირება ჩვენს პოლიეთნიკურ რეგიონში, რომელმაც შემდგომ ჯგუფური შეუთავსებლობა გამოავლინა.

ამიტომ ჩვენს მიერ წინ წამოწეულ იქნა კულტურის ისეთი ელემენტები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია კონფლიქტურ სიტუაციაში. ესაა რელიგიის, ნათესაური ურთიერთობის და ქალის როლი, ადაპტაციის, ეკონომიკური და მმართველობითი სისტემების საკითხები. ტრადიციული კულტურის მეშვეობით ვსწავლობდით კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც, ჩვენი აზრით, მკითხველს მისცემდა მეტი განსჯისა და შეფასების საშუალებას.

ჩვენს მიერ შერჩეული მიკრორეგიონი, რომელიც დღეს პოლიეთნიკურად არის დასახლებული, ავირჩიეთ საკვლევ „ლაბორატორიად", სადაც დღეს ურთულესი პროცესები მიმდინარეობს. ვინაიდან აქ ქართველები და სომხები უკანასკნელ ათწლეულში ჩასახლდნენ და „ეთნოგრაფიულად მოწესრიგებულ" ჯგუფად მხოლოდ დუხობორები იყვნენ წარმოდგენილი, ამიტომ ყველა მოვლენას თუ სოციალურ პროცესს მათთან მიმართებაში ვიხილავდით.



[8] Ионин Л.Г., Социология культуры, М.,1996.

[9] Ионин Л.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 17.

## ძველი მეთოდიკა

საბჭოთა ეთნოგრაფიაში თანამედროვეობის შესასწავლად რაიმე განსაკუთრებული საველე მეთოდი, შეიძლება ითქვას რომ, არ იყო შემუშავებული. თუმცა აზრი იმის შესახებ, რომ საველე მასალა მდიდარი წყაროა თანამედროვეობის შესასწავლად, დამოუკიდებლად არსებობდა. უაღრესად მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტი, რომ თანამედროვეობის შემსწავლელი ეთნოგრაფი უშუალოდ უკვირდება თავისი კვლევის ობიექტს–საზოგადოებას ფუნქციონირების პროცესში და მის ურთიერთქმედებას სოციალურ გარემოსთან. თანამედროვე მიმდინარე პროცესების შესწავლა, მასალის ფიქსაცია და ანალიზი დღეს არის საკვლევი თემა, ხოლო ხვალ – ისტორია. ამიტომ ველზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ პრაქტიკაში კარგად ცნობილი მეთოდიკა. რაც შეეხება ახალ მეთოდებს, ჩვენ ისინი უცხოურ ლიტერატურაში არ გვიძებნია და, შეიძლება ითქვას, იმხანად არც გვქონდა ამის საშუალება (თანამედროვე ლიტერატურა ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, არ გვქონდა ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა და სხვ.). გვაიმედებდა ის გარემოება, რომ კვლევა გვიხდებოდა ჩვენს და არა უცხო ქვეყანაში და რომ საკვლევ რეგიონში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურა, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა, მეტნაკლებად, ცნობილი და არც თუ შორეული იყო ქართველი ეთნოგრაფებისათვის.

ჩვენს წინაშე იდგა დიდი ამოცანა: ველზე მოპოვებული მასალის თეორიული გაანალიზებით მიგვეღო ამომწურავი პასუხი საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, რადგანაც კვლევის ობიექტად შერჩეული პოლიეთნიკური საზოგადოება და მასში მიმდინარე პროცესები საინტერესო იყო არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების რამდენიმე ასპექტი ჩანდა: ქართველები – სომხები, სომხები – დუხობორები, დუხობორები – ქართველები. ასევე ჯგუფებს შიგნით – დუხობორებში: ადრევე გაყოფის შედეგად ჩამოყალიბებული ე.წ. მცირე და დიდი პარტია, აგრეთვე დუხობორულ „ობშჩინაში" მყოფნი და მის გარეთ დარჩენილნი; სომხებში: კათოლიკე და გრიგორიანელები, სოფ. ფოკის სომხები და დანარჩენი სომეხი მოსახლეობა სხვა სოფლებიდან; ქართველებში: მცირე ჯგუფების დაპირისპირება.

ასეთ პირობებში მუშაობა თავისთავად სიფრთხილეს მოითხოვდა. გადაწყდა, ექსპედიციაში ეთნოლოგებთან ერთად ჩართუ-

ლიყვნენ ფსიქოლოგებიც, რომლებიც ჩაატარებდნენ „თავისუფალი დისკუსიისა და შეხვედრის ჯგუფებს". საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების უკეთ გაანალიზების მიზნით.

## მეცნიერის პოზიცია ველზე

როგორც ცნობილია, ველზე მუშაობისას მეცნიერი აწყდება მრავალ სირთულეს: იმის მიხედვით, თუ როგორ საზოგადოებაში მუშაობს მკვლევარი, როგორც წესი, უნდა განისაზღვროს მისი პოზიცია და პრინციპულობა, მუშაობის წარმართვის მიმართულება აშკარა თუ ფარული ფორმა.

ჩვენს შემთხვევაში დაკვირვების ორივე სახე აღმოჩნდა პრინციპული: ჩვეულებრივი ეთნოგრაფიული ღია დაკვირვება და დახურული ისეთი საკითხების კვლევისას, როდესაც აშკარა გამოკითხვა და ღიად მოძიება სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ჩვენმა არჩეულმა გზამ გაამართლა. ჩვენ ჯგუფს წმინდა ეთნოლოგიური კუთხით შევისწავლიდით, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის შედარებით უფრო მისაღები იყო და ამავე დროს პროცესუალურად ვაკვირდებოდით თანამედროვე სიტუაციას, რომელიც საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციის მასალის შეკრება, რა თქმა უნდა, ძლიერ გაჭირდებოდა და, შეიძლება ითქვას, ვერც კი შევძლებდით, რომ არა წმინდა ეთნოლოგიური ინტერესი, ყოფითი ტრადიციების, წეს–ჩვეულებებისა და სხვათა მიმართ.

ველზე დაკვირვება პირველად იძლევა ორგანიზებულ და სრულ ინფორმაციას მოვლენაზე. მისი ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული თვით დამკვირვებელზე, მის ხასიათსა და ემოციურობაზე, თეორიულ ორიენტაციასა და მეცნიერულ ჰიპოთეზაზე.

დაკვირვების მეთოდი წარმატებით გამოიყენება რეალობის შესასწავლად. ესაა სოციალური მოვლენის უშუალოდ შესწავლა ბუნებრივ პირობებში. ჩვენი ექსპედიციის მიერ ამ მეთოდის გამოყენებას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მოვლენები რეგიონში დიდი სისწრაფით იცვლებოდა. გარდა ამისა, არის ისეთი მოვლენები, რომლებსაც ინფორმატორი თვით ვერ ამჩნევს და ვერც გადმოგვცემს. მაგალითად, ღირებულებების როლი, ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულება, ასევე ჯგუფებს შორის დამოკიდებულება, ქმედობის მნიშვნელობა და მრავალი სხვა.

იდეალური დამკვირვებელი უნდა იყოს ობიექტური, ჰქონდეს ადაპტაციის სწრაფი უნარი, მახვილი თვალი საჭირო ელემენტების გამოხშირვისათვის, კარგი აზროვნება, ფაქტის დამახსოვრების და სიტუაციაში სწრაფი გარკვევის უნარი. ეს თვისებები ყველას არ ახასიათებს, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სხვა სფეროს მკვლევრებთან შედარებით ეთნოგრაფებმა მეტად გამოიმუშავეს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები. ხშირად გვქონია საუბარი უცხოელ მეცნიერებთან იმის შესახებ, რომ ან ეთნოგრაფია უვითარებს ადამიანს ამ თვისებებს, ან ასეთი თვისებების მქონე ადამიანები მიდიან ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. ასეა თუ ისე, ამის გარეშე ველზე მომუშავე ეთნოგრაფი ვერ შეკრებს სრულყოფილ მასალას შემდგომი კვლევისა და ანალიზისათვის.

ველზე დაკვირვებისათვის განისაზღვრა სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც განაწილდა ჯგუფის წევრ მეცნიერებს შორის მათი ვიწრო სპეციალობის მიხედვით. ყოველი საკითხი თავისთავად, რადგანაც ის შეისწავლებოდა ერთ პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, გადაჯაჭვული იყო მეორესთან, მეორე–მესამესთან და ა.შ. მაგ.: მმართველობა ეკონომიკასთან, ეკონომიკა ადაპტაციასთან, ეს უკანასკნელი რელიგიასთან, რელიგია კი კულტურის სხვა მახასიათებლებთან, ყველა ერთად კი ღირებულებებთან და სხვადასხვა სოციალურ თუ ყოფით მოვლენებთან.

ჩვენი დაკვირვება ერთდროულად იყო „უშუალო" და ნაწილობრივ „ჩართული დაკვირვებაც", რადგან საკვლევი რეგიონი ერთსა და იმავე დროს იყო ნაცნობიცა და უცხოც. ნაცნობი იყო, რადგან კვლევას ჩვენს სახელმწიფოში ვატარებდით, ჩვენთვის მეტნაკლებად ნაცნობ (ეთნოტრადიციული კულტურის მხრივ) საზოგადოებაში; ამავე დროს გაუცხოებას ხელს უწყობდა კვლევის ნაწლობრივ ახალ სოციალურ გარემოში ჩატარების ფაქტი. როგორც ცნობილია საზღვარგარეთულ ეთნოლოგიურ მეცნიერებში „ჩართული დაკვირვების" ვადა ველზე ხანგრძლივია, მინიმუმ 6 თვე არის საჭირო იმისათვის, რომ მეცნიერმა განიცადოს ადაპტაცია უცხო გარემოში და შემდგომ ამისა კიდევ 1, 2 ან 3 წელი უნდა დაჰყოს ველზე, რათა მოპოვებული მასალა სრულყოფილი იყოს. ეს ეხება ძირითადად ევროპელ და ამერიკელ მეცნიერებს, რომლებიც თავისი მიზნების განსახორციელებლად არა მარტო სხვა ქვეყანაში, არამედ სხვა კონტინენტებზეც, რადიკალურად განსხვავებულ კულტურის მატარებელ საზოგადოებებში მიემგზავრებოდნენ. ჩვენთვის აუცილებელი არ იყო თვეობით (ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე)

ან წლობით ამ საზოგადოებაში ცხოვრება, რათა ჩავრთულიყავით მის ყოფაში. ჩვენი ჩართვა განაპირობა ასევე იმ გარემოებამ, რომ ექსპედიციის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები განაგრძობდნენ ჩვენთან კავშირს – ჩამოდიოდნენ უკვე ჩვენთან სხვადასხვა მიზეზთა გამო.

საზღვარგარეთელ მეცნიერებს ჩართული დაკვირვების მეთოდი ჭირდებათ იმდენად, რამდენადაც თავის სამუშაოს აწარმოებენ უცხო გარემოში, სრულიად განსხვავებულ საზოგადოებაში, სადაც ყოველი კულტურის ელემენტი უცხოა მათთვის. საბჭოთა მეცნიერები საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობის და იზოლაციის გამო სწავლობდნენ მათთვის უფრო ნაცნობ საზოგადოებებს. ისინი არ მიემგზავრებოდნენ აფრიკისა თუ ავსტრალიის აბორიგენებთან, ანუ არ უხდებოდათ ურთიერთობა კარდინალურად განსხვავებულ კულტურებთან. ამის საშუალება არც კი არსებობდა, თუმცა მოსკოველ ეთნოგრაფებს გამოუმუშავდათ მოსკოვსა თუ ლენინგრადში მყოფ უცხოელ სტუდენტებთან მასალის მოპოვების თავისებური ხერხი, რისგანაც ქართველი ეთნოგრაფები შორს იყვნენ.





## მკვლევრის ჰიპოთეზა

საკვლევ რეგიონში ჩასვლამდე მკვლევარს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა, მაგრამ, ამავე დროს, მისი განწყობა უნდა უშვებდეს ამ ჰიპოთეზის ალტერნატივას, რადგანაც ველზე მუშაობისას მკაცრად ფიქსირებული ჰიპოთეზა გავლენას ახდენს მასალის მოპოვებაზე. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი ინფორმატორს ძალაუნებურად აძლევს თავისუფლებას და არ აქცევს მას თავისი ჰიპოთეზის, იგივე საბოლოო შედეგის, მიღების სუბიექტად, ანუ, როგორც აღნიშნავს *ფრედერიკო დე ლაგუნა*, „ყოველი ეთნოგრაფი არის საკუთარი თეორიული კონცეფციის ტყვე"[10].

ჰიპოთეზა რომ უფრო მეტად დაუახლოვდეს ველზე მოპოვებული მასალის ანალიზით მიღებულ საბოლოო შედეგს, უმჯობესია, თუ მკვლევარი პროგრამის შედგენამდე მოინახულებს არჩეულ რეგიონს და ჩაატარებს წინასწარ პილოტაჟს, დაზვერვით სამუშაოებს. როგორც აღნიშნავს ა. *რადკლიფ–ბრაუნი*, საველე სამუშაოები უნდა

---

[10] Laguna F. Some Problems of objectivity in Ethnology // Man. a monthly record of anthropological science. The Roial Anthropological Institute. London 1957, Desember. – V.LVIII. – P 179-182.

ჩაატაროს მეცნიერმა, რომელიც კარგად ერკვევა სოციალური ანთროპოლოგიის თეორიებში, აქვს თავისი ჰიპოთეზა, რომელიც დაფუძნებულია მასალის წინასწარ შესწავლაზე და ეს ჰიპოთეზა ან წინასწარი თეორია მოწმდება საველე მუშაობის დროს[11].

ჩვენი საველე მუშაობის მეთოდი რამდენადმე უახლოვდებოდა *ბ. მალინოვსკის* მეთოდს, რომელიც ითვალისწინებდა საზოგადოების კულტურისა და ყოფის მთლიანობაში შესწავლას. კულტურას ის წარმოადგენდა ერთ მთლიან ორგანიზმად, რომელშიც მოქმედებს მისი შემადგენელი ნაწილები და თითოეულს აქვს თავისი განმსაზღვრელი ფუნქცია. ის თვლიდა, რომ სოციალური ქცევის სხვადასხვა ასპექტები: მეურნეობა, ეკონომიკა, პოლიტიკა, ტექნოლოგია, მაგია და რელიგია უნდა იქნეს შესწავლილი კომპლექსურად[12].

მკვლევარს უნდა ჰქონდეს ინტელექტუალური მგრძნობელობა შესასწავლი კულტურის მიმართ, რათა ველზე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ჰიპოთეზა ჩამოაყალიბოს; საზოგადოება უნდა აღიქვას მთლიანობაში – დროსა და სივრცეში; უნდა არჩევდეს საზოგადოების ჩამოყალიბების ბუნებრივ და ხელოვნურ გზებს; აცალკევებდეს ერთმანეთისგან ინტეგრაციისა და განკერძოების სისტემებს. საზოგადოება დაზვერვის თვალსაზრისით უნდა იქნას შესწავლილი ადგილზე, ნატურაში, ძირითადი პრობლემების სწრაფი ზონდირების საშუალებით, ანუ, თუ მაგ: ესწავლობთ კონფლიქტებს, უნდა დადგინდეს, რამდენი ჯგუფი მონაწილეობს დაპირისპირებაში, არის თუ არა საზოგადოება დანაწევრებული, რა არის განხეთქილების ძირითადი მიზეზი. საზოგადოებაში ერთ სოციუმში შემავალი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან სოციოკულტურულ სისტემას, ცდილობენ თავის დაცვა–გადარჩენას. ასეთი ჯგუფების საფუძველი არის სოციალურ–ეკონომიკური ურთიერთობა, განსაკუთრებული სამეურნეო–კულტურული ტიპი და ეთნიკური თვითშეგნება. აკულტურაციის, მოდერნიზაციის, ასიმილაციის, თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება იწვევს დაპირისპირებას, თავის თავში ჩაკეტვას და გაუცხოებას.

---

[11] Method in social anthropology. Selected essays by A.R. Rodcliffe Brown. Chicago, 1952, p. 154.

[12] Malinowski Br. A Scientific Theory of Culture. N-4, 1960. p. 228.

## ეთნოლოგის როლი ველზე

კარგად უნდა განისაზღვროს ეთნოლოგის როლი ველზე, უპირველეს ყოვლისა, მკვლევარისა და ინფორმატორის ურთიერთობისას. მკვლევარი ისე უნდა მიუდგეს ინფორმატორს, რომ ამ უკანასკნელს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს მეცნიერი „ოფიციოზია". ეს აძნელებს, ამუხრუჭებს ურთიერთგაგებას. მეცნიერმა რბილად, ღიმილით უნდა აუხსნას ინფორმატორს, რა როლი აკისრია მეცნიერს, რისთვის მივიდა მასთან. ქართულ კულტურულ და, საერთოდ, კავკასიურ გარემოში ეს შედარებით ადვილი მისაღწევია, რადგანაც ტრადიციული სტუმარმასპინძლობის წესი უდიდეს როლს ასრულებს ნდობის ფაქტორის მოპოვებისას. უკეთესია, თუ პირველად ერთმანეთს შეხვდებიან ერთი სქესის წარმომადგენელი ინფორმატორი და მეცნიერი. ჩვენს



შემთხვევაში ქალები ქალებს მიმართავენ, ხოლო შემდგომ გაუშუალება ხდება ყურადღების ბავშვებზე გადატანით, გარკვეული დრო ეთმობა ბავშვებზე საუბარს და მხოლოდ ამის შემდეგ ქალი – მკვლევარი გადაინაცვლებს მამაკაც – ინფორმატორთან სასაუბროდ.

ნდობის დამსახურებისათვის ყველაზე საუკეთესო იარაღი არის გულწრფელობა. ყოველი სუბიექტი–მკვლევარი გარკვეული ხარისხით და გარკვეული კოდით მოქმედებს, რომელიც მისი საკუთარი მიკროკულტურიდან გამომდინარეობს. იგი ცდილობს, შინაგანად (ისე, რომ სხვისი თვალი ამას ვერ ხედავს) უკუაგდოს საკუთარი, სხვისთვის მიუღებელი კულტურული ქცევები და ნელ-ნელა განიცდის ადაპტაციას ინფორმატორის კულტურასთან; მოუხმობს ტაქტსა და დიპლომატიას იმისათვის, რომ კარგად გახსნას ინფორმატორი და მისი ნდობა დაიმსახუროს. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება გახსნას ინფორმატორმა დახურული თემები, რომლებზე საუბარსაც ერიდება.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯგუფის ახალგაზრდა სპეციალისტის მეგობრულ ურთიერთობას ადგილობრივ ახალგაზრდებთან. ადგილობრივი ახალგაზრდობა, როგორც ყველგან, აქაც შედარებით კომუნიკაბელური აღმოჩნდა, მაგრამ რომ არა ჩვენი ჯგუფის ახალგაზრდა სპეციალისტი, ჩვენ მათთან ვერ მოვახერხებდით ურთიერთობას. ჩვენ კი ახალგაზრდების საშუალებით, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ სტუმრად თავის მეგობართან, მათ მშობლებთან ვამყარებდით კონტაქტს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ასევე აუცილებელია სპეციალისტი უცხო გარემოში იქცეოდეს ზედმიწევნით კორექტულად, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობასა და მეცნიერს შორის კონტაქტის დამყარებას.

მკვლევარმა ველზე მუშაობისას უნდა აღკვეთოს ინფორმატორის სოციუმისთვის მიუღებელი ჩვეული ქცევები. ეს ეხება ჩაცმულობას, მოლხენას, დასვენებას და სხვ. მაქსიმალურად ვცდილობდით, უარი არ გვეთქვა მიწვევაზე. ასეთ დაძაბულ გარემოში არაჩვეულებრივი როლი ითამაშა ჩვეულებრივმა საველე აფთიაქმა და ექსპედიციის წევრების ყოფითმა „სამედიცინო განათლებამ". ეფექტური აღმოჩნდა ქალების სამკაულებით დასაჩუქრება და ბავშვების კანფეტებით და ტკბილეულით გამასპინძლება.

ურთიერთობის დამყარებისთვის ეფექტური აღმოჩნდა აგრეთვე მინდორში მომუშავე ინფორმატორების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. მაგალითად, თივის მოგროვების დროს თუ ინფორმატორს ერთი მკვლევარი თავისი ინტერვიუთი „მოაცდენდა", მეორე მკვლევარი ინფორმატორის სამუშაოს ასრულებდა. მკვლევარი, რა თქმა უნდა, მის საქმეს სათანადოდ ვერ აკეთებდა, მაგრამ ინფორმატორში სიმპათიას და მორიდებას იწვევდა და ისიც იძულებული

ხდებოდა დათანხმებოდა ასეთ „გარიგებას".

თუ კი ინფორმატორის ოჯახში სტუმრობისას აღმოჩნდებოდა, რომ ოჯახის რომელიმე წევრი დაკავებული იყო შინამრეწველური საქმიანობით, მაგ: ქსოვით, ძაფის დართვით, ქარგვით, ჩვენ აუცილებლად დაწვრილებით გამოვკითხავდით ამ საქმიანობის შესახებ. ეს ქცევაც ეფექტური გამოდგა.

სასურველია, ოჯახში შესვლისას იქ მყოფთ მიესალმო მათივე ენაზე. გარდა ამისა, საჭიროა იცოდე მათი ყოფისათვის დამახასიათებელი ტერმინები, გამოთქმები და სიტყვები, რომელთაც საუბრისას გამოიყენებ.



ოჯახიდან წამოსვლისას ქალებს ამბორით ვეთხოვებოდით, ხოლო მამაკაცებს – ხელის ჩამორთმევით. ასეთი ქცევა ხსნის ბარიერს და იგივე ოჯახში სამუშაოდ კვლავ მისვლის შესაძლებლობას გვიტოვებს.

ეფექტურია აგრეთვე ოჯახის ფოტოალბომის მოთხოვნა და მისი გულდასმით დათვალიერება, გამოკითხვა ვინ ვინ არის. ამავე დროს გონება დაძაბულად იმახსოვრებს ყველაფერს, რათა შემდგომ სხვა ოჯახებში უკვე ნაცნობი ოჯახის, მისი ნათესავების, ახლობლების ან მეზობლების შესახებ მიღებული ინფორმაცია გამოიყენო. ასეთივე

ეფექტურია გენეალოგიური ჩანაწერები, რომლებიც შესანიშნავ ინფორმაციას იძლევა ერთი უბნის ან ერთი სოფლის და სხვათა შესახებ. ახალ ოჯახში მისვლისას მკვლევრის მიერ გამოვლენილ ცოდნას – ვინ ვინ არის, ინფორმაციას მათი სახელების, სამუშაო ადგილების, მოყვრების და სხვ. შესახებ, განცვიფრებაში მოჰყავს ინფორმატორი და შემდეგ სიხარულით იღებს მკვლევარს როგორც ახლობელს, რადგანაც ეს უკანასკნელი მის ნათესავებთან უკვე ისეა დამეგობრებული, რომ მის მიმართ ყოველგვარი ეჭვი უქრება. ბარიერი უმალ იხსნება, შესაძლებელია მუშაობის დაწყება. ასევე ეფექტურია ინსტრუმენტზე დაკვრა (თუ ინსტრუმენტი არის ოჯახში და მკვლევარმაც იცის დაკვრა). ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. კიდევ უკეთესია, თუ ეთნოგრაფს შეუძლია იმღეროს იმ ეთნოსის ფოლკლორული სიმღერები, რომელთანაც მუშაობს.

დიდი მნიშვნელობა აქვს დაბანაკების ადგილზე ექსპედიციის წევრების ქცევას. ჩვენ შემდეგნაირად ვმოქმედებდით: გავდიოდით საღამოს მდინარის პირას და იქ უშუალო სიტუაციაში ვეცნობოდით მომავალ მთხრობლებს. ასევე მივყვებოდით ქალებს მინდორში სამკურნალო ბალახის მოსაგროვებლად; დავყვებოდით ფერმაში; წმინდა ადგილებში. სხვათა შორის, მიპატიჟების გარეშე დავესწარით ქორწილს და მიცვალებულების გამოსვენებას. ჯერ ერთი, რომ წმინდა ეთნოგრაფიული ინტერესი გვამოძრავებდა და მეორეც ის, რომ ამ რიტუალებში მონაწილეობა ჩვენთვის მომავალი მუშაობის კარგი საწინდარი აღმოჩნდა. ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ნდობა დავიმსახურეთ, განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა მიცვალებულთან დაკავშირებული წეს–ჩვეულებების შესრულებისას ჩვენი მონაწილეობა. ეს რიტუალი უცხო აღმოჩნდა ჩვენი კულტურისათვის. ყველაზე მძიმე იყო ის მომენტი, როდესაც დუხობორებმა, მიცვალებულს ფსალმუნებს რომ უმღეროდნენ, უცებ იქვე, კუბოსთან სუფრა გაშალეს, თვითონ შემოუსხდნენ და ჩვენც მიგვიპატიჟეს, როგორც ძალიან საპატივცემულო სტუმრები. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მიუხედავად დიდი შინაგანი სიძნელისა, ჩვენ დუხობორებთან ერთად გავინაწილეთ ეს (მათთვის სარიტუალო) აუცილებელი სუფრა. უარის თქმა ან იმის ჩვენება, რომ მიცვალებულის სიახლოვეს ლუკმას ვერ გავტეხდით, გამოიწვევდა უნდობლობას. რიტუალში ჩართვამ და ამით ჩვენმა კორექტულმა საქციელმა დაგვაახლოვა მომავალ ინფორმატორებს, გაუცხოებული საზოგადოების წევრებს და ჩვენს შორის დისტანცია შემცირდა.

მკვლევარს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ყველა ადგილობრივი მაცხოვრებლის თვალი მისკენ არის მიმართული.

ლატენტური (ფარული) კონფლიქტის რეგიონში მომუშავე მეცნიერ – ეთნოგრაფს სჭირდება შემდეგი:

1. უნდა ფლობდეს შესასწავლი საზოგადოების კულტურის ინტელექტუალურ მგრძნობელობას და ჰქონდეს უნარი ობიექტურად შეაფასოს სხვა ხალხთა კულტურის მოდელი;

2. შეძლებისდაგვარად კარგად უნდა იცნობდეს კულტურას – განსაკუთრებით ქცევის ნორმებს, რომ თვით არ განიცადოს „კულტურული შოკი". ამიტომ მან საველე მუშაობის დაწყებამდე უნდა გაიაროს ე.წ. „მოსამზადებელი პერიოდი", რომლის შემდეგ იგი ხდება შესასწავლი რეგიონის „სპეციალისტი";

3. დაივიწყოს ველზე, რომელი ეთნოსის წარმომადგენელია თვით და იყოს ზედმიწევნით ობიექტური;

4. არ შეაფასოს კრიტიკულად ის, რაც სამუშაო გარემოში ხდება;

5. აქციოს ინფორმატორი თავის თანასწორ პარტნიორად; დაუშვებელია ამბიციური მიდგომა ყოველივე უცხოსა თუ მისთვის მიუღებელი ქცევებისა და მოვლენების მიმართ;

6. ახსოვდეს, რომ ყოველი ინფორმატორი მისთვის არის წყარო, რომლისგანაც ის იღებს მასალას და პატივი სცეს მას.

7. უნდა მისცეს ინფორმატორს აზრის გამოთქმის საშუალება და თუ ვერ მიიღო სასურველი პასუხი, საუბარში კვლავ დაუბრუნდეს თავისი ინტერესის ობიექტს, რომელიც ინფორმატორს თხრობისას გამორჩა ან შეგნებულადგამოტოვა.

8. განსაკუთრებული „ფაქიზი" საკითხები, (უარყოფითად განწყობილი ეთნიკური სტერეოტიპები) რომლებსაც ინფორმატორმა ნებსით თუ უნებლიედგვერდი აუარა, ხანგრძლივი საუბრისა და ურთიერთობის შემდეგ კვლავ აღადგინოს შეკითხვებში.

9. უნდა ეცადოს სრულყოფილად ჩაიწეროს (სასურველია დიქტოფონზე, თუ ამის შესაძლებლობა არის) მთლიანი ტექსტები, განსაკუთრებით ის მოსაზრებანი, რომელიც ეხება სხვა ეთნიკური ჯგუფის შეფასებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოგნიტური შინაარსის კვლევისათვის, საიდანაც ნათლად გამოჩნდება ინფორმატორის უარყოფითი თუ დადებითი დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფებისადმი.



## საზოგადოებაში შესვლა

ეთნოგრაფიულ ექსპედიციას, რომელიც შედის სამუშაოდ ახალ საზოგადოებაში, მართებს სიფრთხილე და ფხიზლად ყოფნა. თუ საზოგადოება სტრატიფიცირებულია, ადვილია დაწინაურებული ჯგუფის გამოყოფა. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ჯგუფი აღმოჩნდა დუხობორთა ობშჩინის წარმომადგენლები, რომელნიც მიკრორეგიონში ყველაზე ადრე არიან ჩასახლებული და ფლობენ „პატრონის" არაოფიციალურ სტატუსს. ასეთი ჯგუფის მიერ ექსპედიციის მიმართ გამოჩენილმა მფარველობამ თავიდან აგვაცილა მრავალი საშიში სიტუაცია. დუხობორები ჯერ კიდევ მყარად გრძნობდნენ თავს მიკრორეგიონში. მათი მფარველობით ალჭურვილი ექსპედიციის წევრებიც ფსიქოლოგიურ სიმყარეს აელენდნენ. დუხობორებთან ურთიერთობას რომ არ გამოეწვია სხვა ეთნიკური ჯგუფების გაღიზიანება, მეცნიერები განსაკუთრებული მონდომებით ამყარებდნენ კონტაქტს იქვე მცხოვრებ ქართველ და სომეხ მოსახლეობასთან. ცდილობდნენ, ყოველ საღამოს მიეწვიათ ისინი, გაებათ მათთან არა საქმიანი საუბარი, არამედ უშუალო ვითარებაში დაახლოვებოდნენ ამ ჯგუფებს.

სხვა კულტურაში შესული ეთნოლოგის ქცევა შეზღუდულია. ყოველთვის არ მართლდება მუშაობის ის გეგმა, რომელიც მან წინასწარ დასახა. უფრო მეტიც – გეგმა ყოველდღე შეიძლება შეიცვალოს სიტუაციის მიხედვით. ხშირად საჭირო ხდება იმპროვიზაციაც. ამიტომ ეთნოლოგი შინაგანად მუდამ მზად უნდა იყოს თავისი გეგმის შესაცვლელად.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია ექსპედიციის ხელმძღვანელმა პირადი კონტაქტი დაამყაროს იმ პირებთან, რომლებსაც გადამწყვეტი ხმა აქვთ ამ საზოგადოებაში და პატივისცემით სარგებლობენ.

საკვლევ რეგიონში ასეთი იყო დუხობორთა საზოგადოების – „ობშჩინის"– ლიდერი, ამავე დროს „საქართველოში მცხოვრებ რუს დუხობორთა საზოგადოების" ხელმძღვანელი ლუბა გონჩაროვა, რომელიც მე გავიცანი ჯერ კიდევ 1993 წელს ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათაშორის კომიტეტში მუშაობისას. შემოსული განცხადებებისა და საჩივრების გამო, ასევე საქმის კარგად შესასწავლად და სიტუაციის გასაცნობად კომიტეტის თანამშრომლების ერთი ჯგუფი მიავლინეს სოფ. გორელოვკაში. საჩივრები ეხებოდა დუხობორთა თემის მიერ მიწის არგაცემას ჩასახლებულ ქართველ და სომეხ მოსახლეობაზე. ადგილზე ჩემთვის, როგორც ეთნოლოგისთვის, გასაგები გახდა საქმის ვითარება, რომელიც მოკლედ შეიძლება შეფასდეს ასე: დუხობორთა თემი, როგორც სექტა, წარმოადგენს დახურულ საზოგადოებას და ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდა ახალჩასახლებულებს, რათა ერთი სოფლის კუთვნილი მიწა არ დაენაწევრებინა და ამით თავისი სიმტკიცე დაეცვა. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი და დუხობორების ობშჩინის ხელმძღვანლის ლუბა გონჩაროვას ფრაგმენტული ურთიერთობა. ასე გავიცანი ეს ადამიანი.

გავიდა ხანი. დადგა 1994 წელი. ამ ხნის მანძილზე, როგორც ეთნოლოგი, მივხვდი, რომ მეცნიერისთვის საინტერესო ლაბორატორია „ალმოვაჩინე". იქ მიმდინარე პროცესები, ჩემი აზრით, საინტერესო უნდა ყოფილიყო ეთნოლოგისთვის. ყალიბდებოდა ახალი პოლიეთნიკური საზოგადოება, რომელიც იწვევდა ყოველი ეთნიკური ჯგუფის (სომხების, ქართველებისა და დუხობორების) არა ინტეგრაციას, არამედ გაუცხოებას და თავის თავში ჩაკეტვას, იზრდებოდა დაძაბულობა. ნებისმიერი პროცესი ამ საზოგადოებაში მიმდინარეობდა სამცხე–ჯავახეთში გამეფებული საერთო დაძაბულობის ფონზე, და, რაც ყველაზე საინტერესო იყო, ჩვენს მიერ შერჩეული ადგილი წარმოადგენდა სასაზღვრო ზონას.

გადავწყვიტე, ჯგუფში მხოლოდ ქალები შემეყვანა, რადგანაც ასეთ დაძაბულ ზონაში ქალი უფრო მეტად მოახერხებდა ინფორმატორების ნდობის დამსახურებას და მასალის მოძიებას.

ექსპედიცია 1995 წლის ზაფხულში ჩატარდა (პროექტი ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული). ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოში ეკონომიკური გაჭირვება კულმინაციას აღწევდა. დიდი წვალებით და სხვადასხვა ორგანიზაციის შემწეობით მოვიპოვეთ ცოტაოდენი საკვები, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების სახით გადმოგვეცა.

საკვები ჩავაწყვეთ ცარიელ ყუთებში, რომლებსაც საზოგადოება წითელი ჯვრის სიმბოლო ჰქონდა. სასწაულია, მაგრამ ამ სრულიად შემთხვევითმა გარემოებამ დიდად განსაზღვრა ექსპედიციის მუშაობა. გვიან ღამით ჩასულებს, რა თქმა უნდა, წინასწარ გაფრთხილებული ლუბა გონჩაროვა დაგვხვდა და ჩვენი ადგილსამყოფელიც მიგვიჩინა. იმის გამო, რომ მხოლოდ ქალები ვიყავით, ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი გვეხმარებოდა ბარგის გადატანაში. მათ თვალს არ გამოეპარა წითელი ჯვრის ყუთები, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებად აღიქვეს და მთელ რეგიონში მეორე დღეს გავარდა ხმა, რომ ჩამოტანილია ჰუმანიტარული დახმარება. ამიტომ მეორე დილითვე გვესტუმრნენ ახლად ჩასახლებული ქართველი ქალები, რომლებიც თურმე დიდი ხანია „ჩამსახლებებისგან" დახმარებას ელოდნენ. ამის გამო ჩვეული ბარიერი, რომელიც ველზე გასვლის წინ არსებობს მეცნიერსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, უცებ მოიხსნა, ჩვენ არ დაგვჭირვებია ადაპტაციის პერიოდი. ის კი არა, ექსპედიციამ მოწყობაც კი ვერ მოასწრო, მეორე დღესვე მუშაობას შეუდგა.

ასე რომ, ზოგად ეთნოლოგიაში არსებული აზრი იმის შესახებ, რომ „ახალ საზოგადოებაში შესვლისას არ არსებობს ზუსტი რეცეპტი", ჩვენს თავზე გამოვცადეთ.

მაგრამ შეიქმნა ახალი პრობლემა. ჩვენ რომ მართლაც გვქონოდა დახმარება ჩატანილი, უცებ „დავიპყრობდით" მოსახლეობის, ანუ ინფორმატორების გულს. ჩვენ კი, პირიქით, აღმოვჩნდით დილემის წინაშე – „რა ვქნათ?" იმედგაცრუებული მოსახლეობის ნდობის აღდგენა გაცილებით მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე უშუალო კონტაქტის დამყარება. ამიტომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. „განაწყენებული" მოსახლეობა (არა ჩვენზე, არამედ იმ პირებზე, ვინც დაპირებებს აძლევდა და არ ასრულებდა) უკან არ უნდა გაგვებრუნებინა. ჯერ სუფრასთან მივიწვიეთ და ჩვენი უბრალო საუზმე

შევთავაზეთ, რაზეც დიდი უარი მივიღეთ. ჩვენ ავუხსენით, რომ ვართ ეთნოგრაფები და გვაინტერესებს ტრადიციები, წეს–ჩვეულებები და ამის შესასწავლად ჩამოვედით, მაგრამ რადგანაც მათ არა აქვთ თბილისში ჩასვლის საშუალება, ჩვენ დავეხმარებით იმით, რომ მათი პრობლემებისა და საცხოვრისის შესახებ მივაწვდით ინფორმაციას სამთავრობო სტრუქტურებს. ამით ჩვენს დაძაბულ ურთიერთობაში ოდნავ გავალღვეთ ყინული. შემდეგ გამოვკითხეთ, თუ როგორ ცხოვრობენ, რით ირჩენენ თავს და ა.შ. თითქმის ყველა პრობლემაზე ვესაუბრეთ. ჩვენი დაპირება დამაჯერებლად აღიქვეს; ამავე დროს, იმდენი პრობლემა ჰქონდათ დაგროვილი, რომლის მოგვარების იმედი ჯერ კიდევ შემორჩენოდათ, რომ უმალ მოიხსნა ბარიერი ჩვენსა და ქართულ ჯგუფებს შორის. მაგრამ სიძნელეები კვლავ წინ გვქონდა. საჭირო იყო ახლად ჩასახლებული სომხური ჯგუფის ნდობის მოპოვება და მათთან უშუალო ურთიერთობის დამყარება. აქაც ისევ ცხოვრებისეულმა სირთულეებმა შეგვიწყო ხელი. თავისი პრობლემების გასაზიარებლად მოვიდა სომეხ ქალთა ჯგუფი, რომელმაც ექსპედიცია ნაწილობრივ მაინც ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლად აღიქვა. მათთვის უცხო იყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მიუხედავად ჩვენი მრავალგზისი ახსნა–განმარტებისა, მაინც ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლები ვეგონეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, მათ მივყოლოდით (ველზე მუშაობაც ხომ ამას მოითხოვს). ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა დაახლოებით 15 ქალისგან, ძალიან კორექტულად და ფრთხილად, მაგრამ აგრესიულად წარმოადგინა თავისი პრეტენზიები და გვთხოვდნენ ეს ყველაფერი ცენტრში, ოფიციალური სტრუქტურებისთვის შეგვეტყობინებინა. საუბრიდან მივხვდით, რომ ქალთა ჯგუფი ძლიერ თავშეკავებული იყო და ბოლომდე არ იხსნებოდა. ამიტომ შევთავაზეთ, მამაკაცებთან ერთად მოსულიყვნენ. უკან დასახევი გზა აღარ იყო და ჩვენც, შეიძლება ითქვას, ამით ვისარგებლეთ. მეორე დღეს გამოგვეცხადა მამაკაცთა დაახლოებით ისეთივე რაოდენობის ჯგუფი, ქალების გარეშე. რა თქმა უნდა, მამაკაცები უფრო მკაცრი და შედარებით გახსნილნი აღმოჩნდნენ და უამრავი პრეტენზია წამოგვიყენეს.

ჩვენ ხშირად ვახსენებდით, რომ ყველაფრის მოგვარება არ შეგვიძლია, მივაწვდენთ ხმას შესაბამის ორგანოებს, ჩვენ ეთნოგრაფიული ექსპედიცია ვართ, მეცნიერები, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა აზრი. მათ თვალში მაინც ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები ვიყავით.

ჯგუფებთან საუბრისას აშკარად გამოჩნდა, რომ რეგიონში ლატენტური კონფლიქტური სიტუაცია იყო. ასე და ამგვარად, ჩვენდა უნებურად, ისე, რომ არ დაგვჭირვებია დიდი ძალისხმევა, მიზანს მივაღწიეთ – ექსპედიციამ სწორედ მისთვის საჭირო საკითხზე დაიწყო მუშაობა.

ზევით დასახელებულ ჯგუფებს მოჰყვა დუხობორთა შერეული (ქალები და კაცები) ჯგუფი, შემდეგ სხვა სოფლებიდანაც დაიწყეს ჯგუფებმა დენა. მაგ; სოფელ სპასოვკიდან ჩამოვიდა აჭარელ მამაკაცთა ჯგუფი, სამებიდან – სოფლის ლიდერი ქალი, სოფ. ორლოვკიდან კი – მარტოხელა ქალი, აგრეთვე – სომხური ორგანიზაცია „ჯავახკის" რეგიონალური ლიდერები და ა.შ.

ასე რომ, ექსპედიციამ ადაპტაცია საზოგადოებაში ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გაიარა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ წარმოიშვა ეჭვი, ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვედით, რა გვინდა. ეტყობა, ჩვენმა ურთიერთობამ გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებთან გალიზიანება გამოიწვია რეგიონის ადგილობრივ მმართველ წრეებში და ამიტომ დაიწყო ექსპედიციაზე „თავდასხმა", პოლიციელების და სხვა სტრუქტურის წარმომადგენლების უხეში შემოჭრა; ყოველი მოსული ითხოვდა საბუთს და ეჭვის თვალით გვიყურებდა. ეტყობა, მოსახლეობასთან ჩვენი სიახლოვე მათთვის მიუღებელი იყო და გაუგებარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ყოველ „აგრესორ– მმართველს" ვუხსნიდით, რომ ვართ ეთნოგრაფიული ექსპედიცია და ვუჩვენებდით ოფიციალურ საბუთებს, მაგრამ მათ უფრო მეტ უნდობლობას ვამჩნევდით. „მომხდურები" ბოლომდე არ ავლენდნენ თავის ეჭვებს. ამიტომ ექპედიციას მიუჩინეს ე.წ. „ჯაშუში" ოჯახი, რომლის წევრებიც მორიგეობით გვესტუმრებოდნენ, ერთმანეთს ცვლიდნენ და უმეთვალყურეოდ არ გვტოვებდნენ. ამაში დავრწმუნდით ბოლოს, როდესაც ცოტა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის უფროსი მოვიდა, გამოთქვა თავისი დიდი სიმპატია ჩვენი ჯგუფის მიმართ და კიდევაც „გამოგვიტყდა" თავისი მისიის შესახებ, თან გაამტყუნა ისინი, რადგანაც „ჩვენ ხომ ასეთი კარგები ვყოფილვართ."

ერთიც გვინდა შევნიშნოთ: თავდაპირველ „თავდასხმებს", რა თქმა უნდა, ისიც უწყობდა ხელს, რომ ჩვენი ექსპედიცია მხოლოდ ქალებისგან იყო დაკომპლექტებული. აგრესია აშკარა იყო. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჩვენთვის, როგორც ეთნოლოგებისთვის, არ იყო გასაკვირი, რადგანაც ცნობილია, რომ ქალისა და მამაკაცის ქცევაში განსხვავების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოების პატრიარქალურობაზე. იგივე განსხვავების

ხარისხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარების დონესთან; ე.ი. რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო მცირე განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის ქცევებს შორის და გენდერული განსხვავება, როგორც ასეთი, მთლიანად უნდა გაქრეს. მაგრამ დღეს უარყოფა იმისა, რომ არსებობს განსხვავება სოციალურ ქცევებში, არ შეიძლება. ამის მიზეზია ის, რომ საკმაოდ არის შენარჩუნებული პატრიარქალური ტრადიციები და ტენდენცია საზოგადოებაში, რომელიც არსებითად უკვეთავს და აყალიბებს სოციალურ ქცევას.

ასე დაიწყო ჩვენი მუშაობა ველზე.



## ველზე მუშაობა

კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება ვერ განხორციელდება, თუ მეცნიერები (სპეციალისტები) თეორიულად არ შეისწავლიან ამ მოვლენას და არ მიიღებენ ზომებს პრაქტიკული ქმედობის განსახორციელებლად, მაგრამ თეორიული ანალიზის გასაკეთებლად მეცნიერ–ეთნოლოგისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ველზე ანუ ადგილზე მოპოვებულ მასალას.

მეცნიერ–ეთნოლოგები იმყოფებოდნენ, ერთის მხრივ, ძალიან ჩვეულ ლაბორატორიაში ანუ ველზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ველი იყო უჩვეულო, რადგანაც იგრძნობოდა დაძაბულობა და სახეზე იყო აშკარა ფარული კონფლიქტის მატარებელი გარემო. მაგრამ აქაც დიდი როლი ითამაშა ველზე მუშაობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ და ეთნოლოგებისთვის დამახასიათებელმა ხალხთან ურთიერთობის განსაკუთრებული ქცევების ცოდნამ.

ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრების რესპოდენტთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება (კონკრეტულად კი სიტუაცია, როდესაც რესპოდენტი სცილდება საკვლევ საკითხს და თავისი პრობლემების თხრობას იწყებს, რამაც ხანდახან შეიძლება რამდენიმე საათიც კი წაართვას მკვლევარს) კარგად მოერგო აგრესიულად განწყობილ ჯგუფებთან მუშაობას. პირველი, რაც მკვლევრებისთვის მთავარი და ფსიქოლოგიური მეთოდით გამართლებული იყო არის ის, რომ მთხრობელს მისცე საშუალება გამოთქვას თავისი სათქმელი ისე, რომ არ შეაწყვეტინო; მეორე – არ აუხსნა არაფერი, სანამ თვითონ არ გთხოვს ამას; მესამე – არ გაამტყუნო მისი ქცევა, მოთმინებით მოისმინო, უთანაგრძნო და არ ეკამათო.

პირადად მე – ეთნოლოგი– ხშირად ვიყენებდი ფოკუს ჯგუფის მეთოდიკას, მაგრამ არა წმინდა სოციოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ მეთოდს, არამედ ჩვეულებრივი დისკუსიის სახით.

დისკუსიები იყო როგორც გახსნილი, ისე დახურული. მონაწილეობას იღებდნენ როგორც ხელმძღვანელები (ელიტა), ისე ჩვეულებრივი ფერმერები (გლეხები). დიდი მონდომებით ტარდებოდა ჯგუფობრივი დისკუსიები ახალგაზრდებთან. სადისკუსიო ჯგუფების გახსნისათვის დიდი ეფექტი ჰქონდა წინა პირობებს. როდესაც სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხი მოდიოდა სასაუბროდ და ბოლოს და ბოლოს ხვდებოდა, რომ საქმე აქვს არა „გულცივ" ოფიციოზთან, არამედ მათი კულტურის კარგ მცოდნეებთან, რომლებმაც კარგად იციან მათი ისტორიული წარსული, წეს–ჩვეულებები, განსაკუთრებით კი ამჟღავნებენ რელიგიის ცოდნას, მეცნიერები უმალ იმსახურებდნენ მათ ნდობას და იხსნებოდნენ.

ჯგუფში მუშაობა ამ მეთოდით ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა კონფლიქტური სიტუაციების გამოსავლენად.

მკლევართა ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ არა მხოლოდ დამკვირვებლები, არამედ თავისდაუნებურად ფასილიტატორებიც გახდნენ. მათ ამ პირობებში გამოიმუშავეს საკუთარი ქცევის მოდელი, ძალიან დაუახლოვდნენ ხალხს, შეეძლოთ გულმოდგინედ

ესმინათ ყოველი ჯგუფისთვის, გაეანალიზებინათ სიტუაცია და ეძებდნენ გამოსავალს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც, რეალურად. განიხილებოდა სხვადასხვა შესაძლებლობები მდგომარეობის გამოსასწორებლად, სთავაზობდნენ ტრადიციულ, კავკასიაში საუკუნეების მანძილზე მოქმედ წესებს მაგ.: მეურნეობასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფთან ერთად მოქმედებდნენ სიტუაციის გამოსასწორებლად. ეს არ იყო მხოლოდ დირექტივებისა თუ რჩევების მშრალი შეთავაზება, არამედ ურთიერთსაუბარში სახავდნენ გზებს, რაც შედარებით ზრდიდა ნდობის ფაქტორს. ასეთი დამოკიდებულების გამო ყოველი ჯგუფის წარმომადგენელს უჩნდებოდა სურვილი, რაიმე საკითხის გადაჭრისას მიემართა მეცნიერთა ჯგუფისათვის. ხშირად ჯგუფის წევრები გამოდიოდნენ შუამავლად მთავრობის სტრუქტურებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.



ჯგუფის წევრები არასდროს იძლეოდნენ ისეთ დაპირებას, რაც აღემატებოდა მათ შესაძლებლობას. ამიტომ მოსახლეობის თითქმის ყოველი თხოვნა შესრულდა. ექსპედიციის წევრებმა დიდი ნდობა დაიმსახურეს ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.

იმის გამო, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობის პროცესისათვის ხელი არ შეგვეშალა, შემდგომ წლებშიც გვქონოდა სათანადო

მასალის მოპოვების შესაძლებლობა, რესპოდენტებს რომ თავისუფლად გამოეთქვათ თავისი გულისტკივილი, განწყობა და შეხედულებები, მეცნიერთა ჯგუფი თავს იკავებდა ყოველგვარი წინასწარი პუბლიკაციისაგან.

## მუშაობა ჯგუფში



ფსიქოლოგებს უნდა მოემზადებინათ სუბიექტები და შემდეგ ემუშავათ ჯგუფებში. მოხდა პირიქით: ეთნოლოგებმა უნებლიედ, ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე ეს ფუნქცია თავის თავზე აიღეს და ჯგუფის სუბიექტები სამუშაოდ მომზადებულები აღმოჩნდნენ სწორედ ეთნოლოგების მიერ; ანუ ის ნდობა, რომელიც წინ უსწრებს ჯგუფში მუშაობას, ეთნოლოგებმა უფრო სწრაფად მოიპოვეს. ეტყობა, ველზე ასობით ინფორმატორთან მრავალწლიანი მუშაობა ეთნოლოგს თავისებურ ფსიქოლოგადაც აქცევს. ასე რომ, ეთნოლოგების მიერ კარგად მომზადებულ ჯგუფებში ფსიქოლოგები სიამოვნებით მუშაობდნენ.

ერთ ადამიანთან ინტერვიურების მეთოდი გულისხმობს იმას, რომ რესპოდენტს აქვს თავისი შეხედულება, რომელსაც აყალიბებს თავისი ჯგუფის წევრებისაგან იზოლირებულად, ანუ რესპოდენტი

და მკვლევარი მუშაობის დროს მარტონი არიან. მაგრამ ჩვენ მუშაობა ჩავატარეთ ამის საპირისპირო მეთოდითაც. ეს არის ჯგუფის მეთოდიკა, რომელიც ტარდება არა ერთ რესპონდენტთან, არამედ ჯგუფთან, რომლის წევრებიც სოციალური მახასიათებლებით მსგავსნი არიან, ანუ ეს არის „ჯგუფური ინტერვიუ".

ტერმინი „ფოკუს–ჯგუფი" (ანუ „სადისკუსიო ჯგუფი") იხმარება ჩვეულებრივად იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც შედგება „ჩვეულებრივი" ადამიანებისგან. „ფოკუს–ჯგუფის" ჩატარების მეთოდი გულისხმობს ინტერვიუს ჩატარებას მსჯელობის ფორმით, წინასწარ განსაზღვრული სცენარით (კითხვარით, გეგმით), მაგრამ არა რაიმე წინასწარ გადაწყვეტილი, შეთანხმებული აზრის, იდეის გამოსავლენად და რაიმე კონცეფციის შესაქმნელად, არამედ კონკრეტული სოციალური ჯგუფის დამოკიდებულების გამოსააშკარავებლად ამა თუ იმ პროცესის და მოვლენის მიმართ.

ჯგუფში შემავალი ადამიანები თანაბარნი უნდა იყვნენ თავისი სოციალური მდგომარეობით; ჩვენს შემთხვევაში ასევე თანაბარნი უნდა ყოფილიყვნენ ეთნიკურობით ან კონფესიური მიკუთვნილობით.

ადამიანს, რომელსაც მიჰყავს მუშაობა ჯგუფში, ეწოდება მოდერატორი. მისი ფუნქციები განსხვავდება ინტერვიუერის ფუნქციისაგან. ის არის დისკუსიის წარმმართველი. დისკუსია მეტნაკლებად უნდა ემთხვეოდეს მკვლევრის მიერ მომზადებულ სცენარს. მოდერატორი იძლევა კითხვებს, ამოწმებს მოცემულ პასუხებს, სტიმულს აძლევს ნაკლებად მოსაუბრე და პასიურებს, ხოლო ზომაზე მეტად აქტიურ და გადაჭარბებულ მოსაუბრეს ამუხრუჭებს, ანუ ახდენს საუბრის ბალანსირებას ინფორმატორებს შორის. მოდერატორის მთავარი ამოცანაა აწარმოოს თავისუფალი დისკუსია მისთვის საინტერესო საკითხზე, ჩარევის გარეშე, ისე რომ თვითონ არ მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში.

ფოკუს–ჯგუფის მუშაობა არ უნდა იყოს ხანგრძლივი. მისი ჩატარების საუკეთესო ხანგრძლივობაა 2 საათი. 2 საათზე მეტი მუშაობა ჯგუფში გამოიწვევს დესტრუქციას. ჯგუფი არ უნდა იყოს დაკომპლექტებული 5–6 სუბიექტზე მეტით. ასეთ პირობებში უპრიანი იყო ჯგუფში წინ წამოგვეწია ალბათ სულ 5–7 საკითხი, რომელიც უნდა შეხებოდა მხოლოდ დაპირისპირების თემას და არა წმინდა ეთნოგრაფიულ მასალას, რიტუალებს, წეს–ჩვეულებებს, სხვადასხვა ინსტიტუტების აღწერას და სხვა.

# დისტანცია

ლატენტური კონფლიქტის ზონაში აუცილებელია ველზე მონაწილე სუბიექტებს (მკვლევარი და ინფორმატორი) შორის გარკვეული დისტანციის შენარჩუნება, რათა მკვლევარმა ინფორმატორების პატივისცემა არ დაკარგოს. არ არის აუცილებელი ადგილობრივი მოსახლეობა ზედმეტად გაუშინაურდეს ექსპედიციას და შეიჭრას მის ცხოვრებაში. ამიტომ სოციალური დისტანციის როლი დაცული უნდა იყოს, რათა მეცნიერ– მკვლევარს საშუალება მიეცეს გამოაქვეყნოს ველზე მოპოვებული ყველა მასალა, თუნდაც არაკორექტული ხასიათის, მაგრამ აუცილებლად ეთნოგრაფიული ეთიკის დაცვით, რათა არ წარმოიშვას ახალი საკონფლიქტო სიტუაცია, ანუ გამოქვეყნებული მასალა ისე უნდა იყოს გაანალიზებული, რომ ის ხალხი, ვისაც ეს მასალა ეხება, შეურაცხყოფილი არ დარჩეს. ძალიან „ჩაფლულ" და „შეჭრილ", „თავისიანად" მიჩნეულ მკვლევარსაც გაუჭირდება ყველა მასალის გამოქვეყნება.



## „ერთ ბედ ქვეშა ვართ“

ქალებთან მუშაობისას, ქალთა საკითხებზე მასალის მოპოვების დროს ხშირად მთხრობელი ემოციური ხდება – იქნება ეს ქორწინების, ბავშვის დაბადების, ნათლობის, მიცვალებულის თუ მძიმე, „ქალური“ შრომის შესახებ საუბარი. აქ საუკეთესო პარტნიორი–მკვლევარი აუცილებლად აჰყვება მის სუბიექტურ დამოკიდებულებას და აგრძნობინებს სხვადასხვა ხერხით – თანაგრძნობით, მოფერებით, შესაძლებელია ტირილით ან მისი გაჭირვების გაზიარებით, ან



უბრალოდ მინიშნებით, რომ თვითონაც იგივეს გრძნობს და ხაზს უსვამს იმას, რომ ინფორმატორი – ქალი და მკვლევარი – ქალი ერთ ბედ ქვეშ არიან, მათ ერთნაირი ხვედრი არგუნა ღმერთმა. მაგრამ ასეთი ქცევა არ უნდა ეყრდნობოდეს რაიმე სიცრუეს ან მოგონილ ამბებს. მკვლევარი თავისი ან მეგობრებისა და ახლობლების ცხოვრებიდან მოიყვანს მსგავს მაგალითებს. ეს მეთოდი შესანიშნავად ხსნის ინფორმატორს, განსაკუთრებით კი დაძაბულ რეგიონში. აქ ხდება სუბიექტების იდენტიფიკაცია. ეს ორი სუბიექტი თანაბარი პარტნიორი ხდება და მოწოდებული მასალა სულ უფრო ღრმა და საინტერესო. ინფორმატორისთვის იმის გაგება, რომ ქალებს ყველგან

ერთი და იგივე პრობლემები აქვთ და ყველა ქალი თურმე „ერთნაირია", ისეთ ნდობას იმსახურებს, რომ ქალი – მკვლევარი შესაძლებელია საკრალურ, დახურულ, სხვისთვის აკრძალულ რიტუალებსაც კი დაასწრონ. ასეთი იყო, მაგალითად, დუხობორთა რიტუალზე (განსაკუთრებით „ობოლთა სახლში") ჩვენი დასწრება, რომელიც დილის 5 საათიდან საღამოს 5 საათამდე მიმდინარეობდა „წმინდანების საფლავებზე", და მხოლოდ რიტუალის დამთავრებისას მოგვაქციეს ყურადღება და სუფრასთანაც კი მიგვიწვიეს. ეს ჩვენი დიდი გამარჯვება იყო. ამის შემდეგ ჩვენ უკვე აღარ ვიყავით „უცხოები".



## კონტაქტის დამყარების ტექნიკური საშუალებები

ექსპედიცია აღჭურვილი იყო ფოტოაპარატით, დიქტოფონებით. აღსანიშნავია, რომ ასეთ დაძაბულ ზონაში დიქტოფონის აშკარა ხმარება თავდაპირველად გაჭირდა. შემდგომ, როდესაც დამყარდა ურთიერთკონტაქტი, დიქტოფონები თავისუფლად ავამოქმედეთ, თუმცა ხშირად ინფორმატორები გვთხოვდნენ, ზოგიერთი საკითხი არ ჩაგვეწერა აუდიოკასეტაზე. ამ შემთხვევაში ჩვენი გონება

იძაბებოდა და ზეპირად გადმოცემულის და დამახსოვრებულს შემდგომ ვინიშნავდით საველე დღიურში.

განსაკუთრებით ეფექტს ახდენდა დიქტოფონზე ინფორმატორის მიერ ჩაწერილი საკუთარი ხმის ან ზოგ შემთხვევაში სიმღერის მოსმენა . ისინი აღტაცებას ვერ მალავდნენ და სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ.

ფოტოაპარატის ხმარებაც უმალ ვერ შევძელით. ისიც გაუცხოებას იწვევდა. თავდაპირველად გადავწყვიტეთ მხოლოდ ბავშვების გადაღება. როდესაც მოსახლეობამ ეს მიიღო, უკვე შევძელით სხვა კადრების დაფიქსირებაც. მაგრამ გაძარცვულ, დანგრეულ სახლებს, სასოფლო–სამეურნეო საწარმოებს, გაპარტახებულ ფერმებსა და სხვა სამეურნეო ნაგებობებს უფრო მეტად ფარულად ვიღებდით.

ფოტოაპარატი გახდა მეცნიერებსა და ინფორმატორებს შორის ნდობის კიდევ ერთი საუკეთესო საშუალება. შემდეგ წელს გადაღებული ფოტოების ჩატანა და მისი დარიგება მოსახლეობისთვის ერთგვარ დღესასწაულად იქცა. ამის შემდეგ მივხვდით, რომ ყველანაირი ბარიერი გადალახული იყო.



# ფსიქოლოგები ველზე

მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობის დამყარების საწინდარი იყო ველზე ეთნოგრაფების პარალელურად ფსიქოლოგების მუშაობა. „კონფლიქტურ რეგიონში" ფსიქოლოგებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ემუშავათ ინდივიდუალური თუ ჯგუფური ფსიქოთერაპიული ტექნიკის ელემენტების გამოყენებით. საქმე ეხება ე.წ. „შეხვედრის" და „თავისუფალი დისკუსიის" ჯგუფებში მუშაობას.

ამგვარი სახის ჯგუფური ურთიერთობის პირობებში მაქსიმალურად გაადვილებულია კომუნიკაციის პროცესი. ჯგუფში ძირითადი ფუნქცია ეკისრება ფასილიტატორს, რომელიც ფლობს ჯგუფის „მართვის" ტექნიკას და ამით ქმნის ისეთ ფსიქოლოგიურ კლიმატს, სადაც ჯგუფის წევრები გრძნობენ, რომ მათ ჰყავთ მსმენელი – გულშემატკივარი და რომ მათ შეუძლიათ საკუთარ პრობლემებზე საუბარი. „გრძნობების დაუფარავი გაზიარება საუკეთესო საშუალებაა, განთავისუფლდე უსამართლობის შეგრძნებისაგან" (ეთნოკონფლიქტების საერთაშორისო ექსპერტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორი *ჯ. მონტვილი*).

ველზე „შეხვედრის" და „თავისუფალი დისკუსიის" ჯგუფებში მუშაობის პროცესში, როგორც წესი, ითვალისწინებენ სიტუაციას. შესაძლოა ეს შეხვედრა ყოფილიყო მაგ. სათიბში, ფერმაში, სადმე ბუნებაში ანდა შენობაში. რეალობა, ყოველდღიურ მძაფრ გაუთვალისწინებელ სიტუაციებს შემოგთავაზებთ, ამისაგან არასოდეს არ არის დაზღვეული ბუნებრივ პირობებში, ცოცხალ სოციუმში მომუშავე მკვლევარი. მიდგომის სტილის მოქნილი კოორდინაცია – თავისუფალი, კონკრეტული სიტუაციისათვის მოსარგები მოქმედების ფორმის შერჩევა ჩვენს შემთხვევაში იმის ხარჯზე ხერხდებოდა, რომ ექსპე-დიცია ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა რეგიონში და ფაქტობრივად განუწყვეტლივ იყო „ჩართულ – დამკვირვებლის" როლში.

კვლევის მეთოდების თავისუფალმა არჩევანმა და მანიპულირებამ გაზარდა მასალის მოპოვების შესაძლებლობა. მაგალითად. მთხრობელს ეძლეოდა თავისუფალი არჩევის უფლებას: თუ კი კონკრეტული პირი ანკეტის შევსების წინააღმდეგი იყო, ასეთ შემთხვევაში მთხრობლისა და დამკვირვებლის ურთიერთობა დიალოგის ფორმით მიმდინარეობდა, ბუნებრივია, დიალოგის ყველა წესების დაცვით. გვქონდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანკეტა

დაბეჭდილი ქაღალდის სახით მიწოდებული, გაუცხოების გრძნობის ნაცვლად ოფიციალური ქაღალდის – დოკუმენტის შინაარსს იძენდა და მთხრობელი მის შევსებასა თუ ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის პასუხების გაცემას ემოციურ კომენტარებს ურთავდა. „ჩაწერეთ როგორ მძიმე პირობებში ვცხოვრობთ!". იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც კითხვარით მუშაობა დაკითხვად განიცდებოდა, ხოლო მასალისა და ინფორმაციის შეგროვება – „პოლიტიკური ინფორმაციის" დაცდენის ხერხად.

თავდაპირველად ექსპედიციას შეხვედრა ჰქონდა სპონტანურ ჯგუფთან. ეს იყო, როგორც უკვე აღენიშნეთ, სომეხი ქალებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ჩამოსვლისთანავე „გვესტუმრა". ამგვარ ჯგუფს აერთიანებდა საერთო „პრობლემები" და ხასიათდებოდა აგრესიულობით. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ, იმუქრებოდნენ, ყვიროდნენ და ა.შ.: „შევიწროვებულები ვართ, არ გვაქვს სამუშაო, მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევს, ჩვენი ქმრები რუსეთში არიან გადაკარგულები სამუშაოს საძებრად; დუხობორები არ გვაძლევენ გასაქანს" და ა.შ. ქალები არ აცდიდნენ ერთმანეთის ლაპარაკს, მოჰყავდათ ფაქტები, რათა დაემტკიცებინათ ჩვენთვის თავისი სიმართლე. ჩვენი მხრიდან „აქტიური მოსმენის" ტექნიკით მუშაობამ გაანეიტრალა მათი სიფიცხე. მთავარი ის იყო, რომ ქალებმა დაინახეს, რომ მათ უსმენენ, ჩვენი მხრიდან არ ყოფილა მცდელობა საპირისპირო არგუმენტებით მათი გადარწმუნებისა.

ყურადღებით, გულისხმიერად ვისმენდით მათ ჩივილსა და საყვედურებს. ჩვენი თანაგრძნობა, როგორც წესი, გამოხატული იყო მოკლე ფრაზებით: „ჰო, ძალიან ძნელია!" „ჩვენთვის გასაგებია თქვენი მდგომარეობა!" „ჩვენ გვესმის თქვენი!" და ა.შ. არ არის სასურველი, როდესაც მთხრობელი აფასებს სხვა ეთნიკური ჯგუფის ქცევას, ჩვენ არ უნდა ვუპასუხოთ – „მართალი ხართ", ან „ეს არ შეიძლება", „მიმართეთ მთავრობას, ან ამა და ამ პიროვნებას", „ან ასე, ან ისე უნდა გააკეთოთ". როგორც წესი, რაიმე რჩევის მიცემა ემოციურ მდგომარეობას არ ანეიტრალებს და ამავე დროს შესაძლებელია თქვენი გამონათქვამი სხვაგვარად იყოს გაგებული: „აი ხომ ხედავთ, მართალი ვართ, მართლაც გვავიწროებენ, ვიჩაგრებით" და ა.შ.

ურთიერთობის ფორმამ, როდესაც „მომჩივანთ" არ ეწინააღმდეგებოდნენ, სარკაზმს არ იყენებდნენ და გულისხმიერად უსმენდნენ მათ ჩივილსა და მუქარას, რამოდენიმე ხნის შემდეგ (დაახლოებით ორი საათის განმავლობაში) გაანეიტრლა მათი აგრესია და „აგრესიული ქალები" მასპინძელ ქალებად გარდაიქმნენ. თვითოეული მათგანი

მობოდიშებით გვეპატიჟებოდა სახლში: „ნახეთ როგორ ვცხოვრობთ, კიდეც შეგვიძლია თქვენი გამასპინძლება". ემოციური მდგომარეობა და ჩვენდამი მათი დამოკიდებულების ხასიათი შეიცვალა, უფრო კეთილგანწყობილი გახდა. ასეთივე მეთოდით ვიმუშავეთ თითოეულ ჯგუფთან ცალ–ცალკე. მკვლევარი იღებს „მომჩივან" ადამიანს ისეთად, როგორც ის არის, ანუ მას ესმის მისი მდგომარეობა, თანაუგრძნობს მის განცდებს შეფასების გარეშე. ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, ესმის მისი, მაგრამ ამგვარი გაგება არ ნიშნავს დათანხმებას. მისთვის მხარდაჭერა ვერბალურად ანუ შეფასებითი დამოკიდებულების გამომხატველი კომენტარებით აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს ისევე, როგორც რაიმე რჩევის მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში „მომჩივანი" თავის თავს ვერასდროს შეაფასებს კრიტიკულად. დაკარგავს პრობლემის სხვა შესაძლო გადაწყვეტის მიღების უნარს და ამით ვერც აგრესიის განეიტრალება მოხდება.

განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დასამყარებლად და რეგიონის მოსახლეობის ინტერესების დასადგენად ფსიქოლოგებმა არჩიეს გამოეყენებინათ ფსიქოთერაპიული მოდელი. ძირითადად ისარგებლეს „კონფლიქტური პარტნიორობის სამსაფეხურიანი" *(დ. უიქსი)* და არადირექტიული თერაპიული მოდელებით *(კ. როჯერსი)*; აქ კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ, როგორც წესი, ჯგუფურ შეხვედრებს წინ უსწრებდა ინდივიდუალური მუშაობა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან, ეს იყო აუცილებელი პირობა იმისა, რომ „შეხვედრის ჯგუფში" მუშაობა ოპტიმალურად განხორციელებულიყო. მაგრამ, ამგვარმა „შეხვედრებმა" კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა ფსიქოლოგებს, რომ ის სოციუმი, რომელშიც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა, აუცილებლად საჭიროებდა პირვანდელი მეთოდიკის სახის შეცვლას. ამიტომ საჭირო გახდა მეთოდიკის მორგება, ადაპტაცია თითოეულ ეთნიკურ ჯგუფთან, რეგიონის ეთნოკულტურულ თუ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, კერძოდ:

1. პირველი და მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მოსახლეობის მენტალიტეტი არ იყო მზად ამგვარი მუშაობისთვის, მას არასდროს ჰქონია ჯგუფში მუშაობის გამოცდილება ჯგუფთაშორისი ურთიერთობის პრობლემებზე; ამისათვის სწორედ საწყის ეტაპზე ფსიქოლოგებს დასჭირდათ მუშაობა ჯგუფის თითოეულ წევრთან, ინდივიდუალურად.

2. პრობლემატიკა, რომელზეც ჯგუფს მოუწია მუშაობა, სპეციფიკური იყო, ამიტომ ანგარიში უნდა გაწეოდა გარკვეულ ისტორიულ წინაპირობასა თუ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;

3. გასათვალისწინებელია კულტურული ბარიერი, რომელიც ხშირად ჯგუფებს შორის სოციალური დისტანციის გაღრმავების საბაბი ხდება.

4. ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამივე სოციალური ჯგუფის წევრების ასაკობრივი ცენზის თუ ჯგუფის სქესობრივი შემადგენლობის გათვალისწინებას; მაგ.: დუხობორებთან მუშაობისას უპირატესობა ენიჭებოდა ასაკობრივად ჰომოგენურ ჯგუფს, რადგან ახალგაზრდები უფროსების თანდასწრებით, სოციალური ჯგუფის ქცევის ნორმების თანახმად, ერიდებოდნენ გამოეთქვათ საკუთარი, განსხვავებული აზრი. ეს ფაქტორი კი ასაკობრივად ჰომოგენურ ჯგუფში არ მოქმედებდა. სომხებთან მუშაობისას, მათი პატრიარქალური ტრადიციების გამო, უფრო ხელსაყრელი იყო გაგვეთვალისწინებინა ჯგუფის სქესობრივი შემადგენლობა ჰომოგენურ გარემოში. ქართველების ჯგუფში არ იყო მუშაობისთვის ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი რაიმე გამოკვეთილი ფაქტორი.

სამივე ეთნოსოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან ფსიქოლოგებმა იმუშავეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად– თავდაპირველად ინდივიდუალურად, შემდეგ უკვე ჯგუფებში. ჯგუფს, რა თქმა უნდა, მოსახლეობის მენტალიტეტის და გამოუცდელობის გამო, არ ჰქონდა დამახასიათებელი ორდინალური სახე, მაგრამ შინაარსობრივად ის ნამდვილად ჯგუფი იყო, რომელმაც ნაყოფიერად იმუშავა[13].

ვინაიდან ჩვენ გარკვეული მოლოდინი გაგვაჩნდა „კონფლიქტური რეგიონის" დაძაბული ატმოსფეროს შესახებ, ფსიქოლოგები ყოველნაირად ცდილობდნენ, „შეხვედრის ჯგუფებში" მაქსიმალურად აემოქმედებინათ ის ძირითადი კანონზომიერებანი, რომელიც განსაზღვრავდა „შეხვედრის ჯგუფების" მსვლელობას და მისი წევრების ურთიერთობას. როდესაც ეს შესაძლებელი იყო, ჯგუფის მუშაობას დიქტოფონზე იწერდნენ. ამგვარი მუშაობის და მიდგომის ამოსავალი წერტილი იყო „მოსმენის ვენომენის" უდიდესი ძალა, რასაც უკლებლივ ყველა პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი თუ კონფლიქტოლოგი აღიარებს. რეალურ ჯგუფებთან და ინდივიდებთან მუშაობამ ცხადყო, რომ არსებულ, პოტენციურად მაღალი კონფლიქ-

---

[13] კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998.

ტურობის მქონე სოციუმში სწორედ ამგვარი მეთოდური ხერხებით შეიძლება საჭირო სარწმუნო მასალის მოპოვება. დოქტორი *ჯ. მონტვილი*[12], ეთნოკონფლიქტის გადაჭრის საფეხურთა გაანალიზებისას მიუთითებს, რომ ეთნოკონფლიქტების გადაჭრის ჯგუფში უნდა შევიდნენ ფსიქოთერაპევტები და უზრუნველყონ, რომ დაზარალებულმა მხარეებმა შეხვედრაზე (თუ კი მოხერხდება მათი შეხვედრა) ისაუბრონ თავისი პრობლემისა და გასაჭირის შესახებ. გრძნობების ღიად, გულახდილად გამოხატვა, მათი დაუფარავი გაზიარება საუკეთესო საშუალებაა განთავისუფლდე უსამართლობის შეგრძნებისაგან. უსამართლობის განცდა ჩვენ ცნობიერებაში გარკვეულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აიგება და ჩამოყალიბდება მოსაზრებად, რომ შენ ხარ „დაჩაგრული, ყველა უსამართლოდ გექცევა, არაფრად გაგდებს" და მისთ. ყოველივე ამის გამო ჯგუფთან მუშაობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონფლიქტური სიტუაციების და კონფლიქტის ისტორიის ხელახლა გააზრებას, „ჩაგრულისა" და „მჩაგვრელის" როლების და ნეგატიური სისტემის შეცვლას.

„შეხვედრის ჯგუფები" და „თავისუფალი დისკუსიის ჯგუფები" ფაქტიურად ანალოგიური ჯგუფებია. ჯგუფებთან მუშაობის პროცესში მკაფიოდ გამოვლინდა თითოეული ეთნიკური ჯგუფის ზოგადი ორიენტაცია, მიზნები, ინტერესები, პოზიციები.

ამგვარი შინაგანი ფრუსტრირებული მდგომარეობა და დამძიმებული განცდები „შეხვედრისა" და „თავისუფალი დისკუსიის" ჯგუფებში კარგად ჩანდა დიალოგისა თუ პოლილოგის ფორმაში. ჯგუფთან მუშაობისას, ფსიქოლოგისა და ფასილიტატორის თანხლებით, ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ, თავისუფლად გამოეხატათ თავისი გრძნობები, ხელახლა გაეაზრებინათ თავისი პრობლემები და ამ პრობლემებიდან გამომდინარე, – მოთხოვნები. ეთნიკური ჯგუფების ყოველდღიური ცხოვრების წესისა და ნორმატიულ ქცევათა გააზრებამ „შეხვედრის ჯგუფებში" დაპირისპირებული მხარეების მონაწილეობის საფუძველი შექმნა. ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი – რის საფუძველზე, რა მოტივით განხორციელებულიყო ეს შეხვედრა და როგორი ფორმით გვემუშავა ჯგუფში. რეგიონში ჩვენი მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ დაპირისპირებული მხარეები არამცთუ ერთად საუბარს, არამედ ერთ ფიზიკურ სივრცეში ერთად ყოფნასაც გაურბიან. ვინაიდან სამივე

[14] Методы альтернативного решения конфликтов (Тренинговые материалы), Creaghton & Creaghton, Москва-Тбилиси, 1995 г. стр. 94.

ეთნიკურ ჯგუფში მყარად არის შემონახული მეზობლობისა და სტუმართმასპინძლობის ინსტიტუტები და რეგიონის მოსახლეობა, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც იცავს ამ ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი ნორმატული ქცევის წესს. ჩვენ გადავწყვიტეთ, „შეხვედრის ჯგუფში" მუშაობა აგვეგო „სტუმართმასპინძლობის" ურთიერთობაზე; ექსპედიციამ მოიპატიჟა თითოეული ეთნიკური ჯგუფის – დუხობორების, სომხებისა და ქართველების – აქტიური წარმომადგენლები; მოიპატიჟა, როგორც სტუმრები (ამისათვის ექსპედიციის ერთ–ერთი წევრის დაბადების დღე გამოვიყენეთ). ამ გზით ჩვენ საშუალება გვეძლეოდა გამოგვეხატა სამივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ ჩვენი მადლიერება იმის გამო, რომ საველე მუშაობაში ხელი შეგვიწყვეს. ჩვენ, როგორც მასპინძლებს, გვქონდა საშუალება თავად შეგვერჩია საუბრისა და ჯგუფში მუშაობის თემა. ამავე დროს ჩვენ სტუმრებიც ვიყავით, ფართო მნიშენელობით, და მასპინძლებიც! ამგეარი ორმაგი როლი და სუფრის ატმოსფერო კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენ შესაძლებლობებს.

სუფრის ტრადიციული წესის დაცვით შევეცადეთ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ყოველი შესაძლო შემთხვევა, რათა შემდგარიყო აქტიურ მოსმენაზე აგებული დიალოგი. პრობლემებზე საუბარი სპონტანურად წამოიჭრა და ნორმატიული ქცევის ფარგლებში განვითარდა თავისუფალ ატმოსფეროში. დისკუსია დიალოგის ფარგლებში მიმდინარეობდა და ურთიერთპიროვნულ ნეგატივიზმს საქმიან ურთიერთობაზე საუბარმა გადასძლია. ფასილიტატორების (რომლებსაც ამ შემთხვევაში ექსპედიციის წევრები წარმოადგენდნენ) შეუმჩნეველმა და მიზანმიმართულმა ჩარევამ საშუალება მისცა დაპირისპირებულ მხარეებს გაერკვიათ პრობლემა თუ საკითხი, რომელიც გაუგებრობას ქმნიდა.

„სუფრასთან" კვლევის ამგვარმა ფორმამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რაოდენ თავისებურ და რთულ გარემოცვაში უხდებოდათ საქმიანობა ექსპედიციის წევრებს. ამ დროს. კვლევის მეთოდის შერჩევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალურ–ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება. სხვაგვარად, კვლევის პროცესში ხშირად ვხდებით იმის მოწმე, რომ ამხსნელი მოდელები, ან შემოთავაზებული მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ერთ სოციალურ კულტურაში, სხვა კულტურისათვის სრულიად არარელევანტური ხდება"[15].

[15] Агеев В.С., Кросс-культурная перспектива в развитии социально-психологического знания, жур.: "Вопросы психологии", 1 6, 1987, стр. 93.

როგორც ვნახეთ, ჯგუფებში მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა ინდივიდუალური შეხვედრები, ანუ დიალოგი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. ამგვარი კერძო შეხვედრა ნიადაგს უმზადებს მუშაობის შემდგომ ეტაპს, ანუ ჯგუფურ შეხვედრებს. ჯგუფურ შეხვედრაში დისკუსიის მსვლელობის სწორად წარმართვა განსაზღვრავს პიროვნულ ცვლილებებს, ახალი წარმოდგენების მიღებასა და აღიარებას. პრობლემის ირგვლივ გამართული მსჯელობა, დისკუსია თუ დებატები, პირადი დამოკიდებულებისა და მოსაზრებების უშუალო, ღია გამოხატვა განტვირთავს ატმოსფეროს და ანეიტრალებს აგრესიის განცდას. ინდივიდი „მონაწილეობს ჯგუფის დებატებში, ამავე დროს, თუ გრძნობს, რომ ის ჩართულია კონსესუსში, რომელიც აუცილებლად მიიღწევა, მაშინ ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ურთიერთობის პროცესში თავად იცვლება, ღრმად ითვისებს (სიღრმისეულად იღებს) ახალ ნორმებსა თუ წარმოდგენებს"[16].



[16] Галем С., Московиси С., Теория коллективных решений в иерархических и неиарархических группах, «Психологический журнал», т. 13, № 6, М., 1992, стр. 98.

# დ ა ს კ ვ ნ ა

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში არსებული ჯგუფები, მკაცრად კარჩაკეტილია. მათ შორის არ არსებობს კომუნიკაციები და ურთიერთმოქმედების საერთო ველი არც კულტურაში, არც ყოფაში, რაც თავისთავად დაპირისპირებულობის მაჩვენებელია და ფარული აგრესიის გამომხატველი. ეთნიკური ჯგუფების როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მახასიათებლები ნათლად მიგვანიშნებს აღნიშნული რეგიონში ლოკალური კონფლიქტის ფარულ არსებობას.

ყოველივე ეს, სამწუხაროდ, არის კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის კარგი ნიადაგი ანუ წინაპირობა. აქ არასწორად გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი დაარღვევს კარჩაკეტილობის ფენომენს და კონფლიქტური ჯგუფები დაკარგავენ ტრადიციულ ორიენტაციას. გაღვივდება დაპირისპირება, მოსალოდნელი იქნება ძალადობა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ცალკეული ჯგუფების მსოფლმხედველობას, მათ მენტალიტეტს და გარედან ხელოვნურად ჩარევის ფაქტორს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მმართველი და პოლიტიკური წრეები თავიდან ხელს უწყობდნენ პროცესის გაღრმავებას და ლეგალიზებულად, ხელოვნურად, მიზანმიმართულად ერეოდნენ საზოგადოების განვითარებაში. დაპირისპირების პროცესის მომდევნო ეტაპზე მათ ნეიტრალური პოზიცია ეკავათ. ამჟამად კი ამ მოქმედებამ ფარული, შენიღბული ხასიათი მიიღო, მაგრამ ისევ განაგრძობს სოციუმის მართვას ჩრდილოვანი ხერხებით, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს, ბედს მინდობილ, ღვთისანაბარა მიტოვებულ ჯგუფებს კი, რომელთა სოციუმად ჩამოყალიბების პროცესი ხელოვნური ჩარევით დაიწყო, დაუძლეველი დაბრკოლებები გადაეღობა წინ.

ასეთი ვითარება ხელს უშლის რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურად წარმართვას, რადგან სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების უსისტემო, გაუაზრებელმა ჩარევამ რეგიონი თითქმის კრახამდე მიიყვანა. შეიქმნა დაძაბული სიტუაცია. როგორც ჩანს, ასეთი „ეთნიკური მზრუნველობა", როდესაც რუსები რუსების გადასახლებას ხელმძღვანელობენ, ქართველები – ქართველებისას და სომხები – სომხებისას, ძვირად უჯდება თვით ხალხს. არც ერთი ეთნიკური ჯგუფი, შეიძლება ითქვას, არც ერთი ადამიანი, არ არის კმაყოფილი

ამგვარი „მზრუნველობით". ყოველი ჯგუფი თავს დაჩაგრულად და დისკრიმინირებულად გრძნობს.

ქართველებისათვის „ჩაგრულის" როლი ძნელად მისაღები აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი სულ სხვა მოლოდინით იყვნენ ორიენტირებული. შედეგად, მოსახლეობის ერთი ნაწილი, დათრგუნვილი და ფრუსტირებული, ძველ საცხოვრებელს დაუბრუნდა, მეორე იქვე დარჩა და დღეს გაუსაძლის ვითარებაში განაგრძობს არსებობას. დუხობორებს სულიერი წონასწორობა შედარებით ნაკლებად დაერღვათ, რადგან კონფესიურმა ჯგუფმა, როგორც ასეთმა, რელიგიური ტრადიციების საფუძველზე უპირობოდ მიიღო „ჩაგრულის" სტატუსი, რასაც ის ისტორიულად შეგუებულია. დღესდღეობით ის სწორედ ამ სტატუსით არის ძლიერი, რადგანაც, როგორც ეთნოკონფესიურმა უმცირესობამ, მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.

რაც შეეხება სომხური ეროვნების მოსახლეობას, მათი აზრით, ისინიც „ჩაგრულნი" არიან და ქართველების მსგავსად ძნელად ეგუებიან ამ სტატუსს. ის გარემოება, რომ ამ რეგიონში სომხური მოსახლეობა რიცხობრივად ყველას სჭარბობს, რომ მათი ახლო წინაპრები ამ მიწაზე ცხოვრობდნენ, სომეხთა ცნობიერებაში აყალიბებს „მასპინძლის" როლს, უძლიერებს უფლებებს და თვითრწმენას. სომეხი მოსახლეობის პროტესტი აგრესიულობაში ვლინდება: მათი მჩაგვრელი „სტუმარია", ამასთან სხვა ეროვნების და თანაც ამ ეროვნების „ბნელი წარმომადგენელი" (როგორც თავად უწოდებენ). ყოველი „ჩაგრული" მოპირისპირის თვალში „მჩაგვრელად" აღიქმება. სადღეისოდ „მჩაგვრელები" და "ჩაგრულები" უპირისპირდებიან ერთმანეთს. ოფიციალურ და არაოფიციალურ მმართველთა დაუფიქრებელი თუ გამიზნული პოლიტიკის შედეგად შექმნილია დაძაბულობის კერა, რომელიც უცებ კი ჩამოყალიბდა, მაგრამ მის განმუხტვას უფრო მეტი დრო დასჭირდება.

როგორც ვხედავთ, კონკრეტული მიკროჯგუფის ქცევა გამომდინარეობს მისი თვისებებიდან და ასევე იმ პირობებიდან, რომელშიც ის მოქმედებს. ასეთი ჯგუფების ურთიერთქმედება იწვევს მიკერძოებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ღირებულებების მანიფესტირებას, რაც გამომდინარეობს მათივე ტრადიციული კულტურიდან. ეს ავლენს სოციალური ნორმებისა და ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ–ისტორიული პროცესების შეუთავსებლობას, რაც თავისთავად იწვევს სოციალურ დაძაბულობას.

პოლიეთნიკური რეგიონის ეთნიკური ჯგუფების ობიექტური სიტუაციები ასეთია: მძიმე სოციალური და ბუნებრივი გარემო, უარყოფითი სტერეოტიპების მქონე ეთნიკური ჯგუფების თანაარსებობა, სუსტი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და ინფორმაციული ვაკუუმი სიტუაციის აღქმა ჯგუფების შეფასებაში ასე გამოიყურება: უსამართლობა, საკუთარი თავის, როგორც მსხვერპლის განცდა, ადამიანის და ეროვნული უფლებების უგულვებელყოფა. სიტუაციის გაცნობიერება – გააზრება კი შემდეგნაირია: კონფლიქტური სიტუაცია – ფარული კონფლიქტი.

კონფლიქტურ სიტუაციაში მოხვედრილი ჯგუფების პოზიცია აღმოჩნდა შემდეგი: დაიკავონ გამოთავისუფლებული ნიშები. ეს პოზიცია ფარულია და მისი მანიფესტაცია ხდება სხვა მახასიათებლებით. თავისი პოზიცია რომ უფრო დამაჯერებლად, სარწმუნოდ და სამართლიანად წარმოუდგინოს მოწინააღმდეგეს, ჯგუფი მისი არგუმენტაციისათვის გამოიყენებს ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ამა თუ იმ მოთხოვნის ყველაზე უფრო არსებითი მახასიათებლად ითვლება. ამ დაპირისპირებისას წინა პლანზე წამოიწევს ისეთი საბაზო მახასიათებელი, როგორიც არის ღირებულება „სამშობლო", რაც ჩვენს შემთხვევაში, ყოველი ჯგუფის პრეროგატივად შეიძლება ჩაითვალოს. კონფლიქტის პრობლემად სწორედ მიწის ხელში ჩაგდება გამოიკვეთა, რაც თავისთავად ინტერესთან არის დაკავშირებული. ყოველი ჯგუფისთვის კი ინტერესი არის საარსებო საშუალების მოპოვება, რაც უკავშირდება მოთხოვნილებას – ბრძოლა არსებობისათვის. სწორედ ინტერესის გამოვლენა არგუმენტირებული ღირებულებით მიგვითითებს პოზიციაზე, რომელიც არ წარმოადგენს რეალურ ინტერესს. როგორც დავინახეთ, პოზიციაში ფორმულირებულია კონფლიქტში მონაწილე ჯგუფთა პრობლემა (მიწის ხელში ჩაგდება). ეს, როგორც ჯგუფები აღიარებენ, არის კონფლიქტის ძირითადი მიზანი და ემსახურება კონფლიქტის, როგორც სოციალური მოვლენის ნაწილს, მოთხოვნილებას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის არსებობის ძირითად პირობას. ინტერესი (საარსებო საშუალებათა მოპოვება), რომელიც ნამდვილი სურვილია, მოწინააღმდეგე მხარეების მიერ დაფარულია – არ არის განცხადებული. კონფლიქტის ამ მახასიათებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოწინააღმდეგე მხარეებისათვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილება – არსებობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების, როგორც სამუშაო ნიშების, დაკავება.

სიტუაცია რომ მოწესრიგდეს, საჭიროა ახალი მეთოდების ძიება და მათი შექმნაც კი, რაც პიროვნებებს და ჯგუფებს მისცემს სტიმულს, ჩაერთონ ახალი საზოგადოების უმტკივნეულოდ შენების პროცესში. მაგრამ ამ პროცესის რეგულირება სახელმწიფოს მმართველ წრეებს გაუძნელდებათ, თუ არ გაითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრსა და მეცნიერთა მიერ გაანალიზებულ მონაცემებს.



სახელმწიფომ წინასაკონფლიქტო ზონებში არა მარტო კულტურული ცხოვრება უნდა წამოსწიოს წინ და მოაწყოს კამპანიური ხასიათის აქციები, არამედ ვალდებულია გაატაროს გეგმაზომიერი, პოლიტიკურად კარგად გააზრებული, მეცნიერულად სწორად გაანალიზებული, ეკონომიკურად დასაბუთებული, მოქალაქეობისა და არა ეროვნულობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკა. ეს კი მოითხოვს განსაკუთრებული პროგრამის შექმნას სასაზღვრო ზონების პოლიეთნიკური რაიონებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეთნიკურობა არ წარმოადგენს მარტივ და უცვლელ მექანიზმს, რომ ცალკეული ეთნოსები წარმოიქმნებიან, იცვლებიან, ვითარდებიან, ან სუსტდებიან, – შესაძლებელია, სწორი პოლიტიკის გატარებამ განმუხტოს კონფლიქტური მდგომარეობა.

## МЕТОД РАБОТЫ В ЗОНЕ ЛАТЕНТНОГО КОНФЛИКТА

В этом параграфе рассмотрен вопрос выбора ученым исследуемого объекта для достижения научных целей. В нашем случае предметом интереса оказался необычный для традиционной (советской) этнографии вопрос - конфликт не как общий процесс, а как социальное явление, проистекающее в одном определенном обществе. Вместе с тем, нашей целью было изучить современное общество, т.е. как говорили раньше, "новый быт" этого общества.

На лицо были несколько аспектов противостояния между этническими группами: грузины-армяне, армяне-духоборы, духоборы-грузины; внутригрупповые противостояния: среди духоборов – т.н. "малая и большая партии", сформированные во время раскола общины; члены духоборской "общины" и остав-шиеся за пределами него; среди армян - католики и григоряне, армяне из села Фока и остальное армянское население; среди грузин: противостояние между переселенными с низменных районов малыми группами.

Общеизвестно, что полевая работа чревата для исследователя многими трудностями: в зависимости от характера общества ученый должен заранее определить свою позицию и принципиальность, открытую или закрытую форму ведения работ.

В данном случае обе формы оказались принципиальными: обычное этнографическое "открытое и закрытое наблюдения". При исследовании тех вопросов, когда явный допрос и открытый поиск связаны со сложностями. оправдал метод "закрытого наблюдения". Мы изучали группу с чисто этнографической точки зрения, что для местного населения оказалось наиболее приемлемым. Вместе с тем, вели процессуальное наблюдение над существующей весьма напряженной ситуацией. Было бы затруднительно, можно сказать невозможно, собрать материал лишь только по конфликтной ситуации, если бы не чисто этнологический интерес к бытовым традициям, навыкам и т.д.

Метод наблюдения – непосредственное изучение социального явления в естественных условиях – применяется успешно для изучения реальности. Применение этого метода имело перво-

степенное значение, поскольку ход событий в регионе быстро менялся. Явления, которых информатор сам не замечает, и передать не может (роль ценностей, взаимоотношение индивида и группы, отношения между группами, значение действий и т.д.) выявлялись на основе итогов исследования.

Метод нашей полевой работы предусматривал изучение культуры и быта общества в целом (Б. Малиновский). Культура это целостный организм, в котором действуют его составные части, и каждый из них имеет свою определенную функцию (разные аспекты социального поведения: хозяйство, экономика, политика, технология, магия, религия и т.п. подлежат комплексному изучению).

По отношению изучаемой культуры исследователь должен обладать интеллектуальной чувствительностью, что после разведывательных работ даст ему возможность формировать гипотезу. Исследователь должен воспринимать общество как одно целое во времени и пространстве; должен различать друг от друга естественные и искусственные пути формирования общества, системы интеграции и обособленности. С точки зрения разведки общество должно изучаться на месте, быстрым зондированием основных проблем. К примеру, если изучаем конфликты, сначала должны установить количество участвующих в противостоянии групп, степень расчленения общества, основную причину раскола. Этнические группы одного социума, представляющие единую социокультурную систему, стремятся выжить и спасти себя. Основой таких групп является социально-экономическая общность, особенный хозяйственно-культурный тип и этническое самосознание. Опасность перед акультурации, модернизации, ассимиляции и потери самобытности приводит к отчуждению, замкнутости и противостоянию.

Для достижения доверия респодента самым эффективным является искренность. Каждый субъект-исследователь действует согласно определенному коду и определенным возможностям, исходящими из его собственной микрокультуры. Он незаметно для чужого глаз, старается внутренне отказаться от своих, неприемлемых для других, культурных поведений и постепенно адаптируется с культурой информатора; прибегает к такту и дипломатии с целью раскрытия информатора и входит к нему в доверие. Именно в результате такого подхода раскрывает информатор те закрытые темы,

о которых он и вовсе не говорит. Исследователь должен всегда помнить, что взоры населения всегда критично обращены к нему.

Ученый-этнолог, работающий в регионе латентного (скрытого) конфликта должен:

1. Ощущать интеллектуальную чувствительность культуры изучаемого общества и уметь объективно оценить культурную модель других народов;

2. По мере возможности хорошо ориентироваться в культуре, особенно хорошо знать нормы поведения, чтобы самому избежать "культурный шок". Поэтому, до начала полевых работ он должен пройти через т.н. "подготовительный период", после чего он уже становится "специалистом" исследуемого региона.

3. Забыть во время полевых работ собственную этническую принадлежность и быть весьма объективным;

4. Избегать критической оценки всего, что происходит в рабочей обстановке;

5. Превратить информатора в равного себе партнера; не высказывать амбиций по поводу всего чужого и неприемлемых для него поведений и явлений;

6. Помнить, что любой информатор для него источник, из которого он черпает свой материал и оказывать ему уважение;

7. Терпимо ждать ответа информатора и в случае его неудовлетворительности, обратиться опять к объекту своего интереса;

8. Особо "чуткие" вопросы (установка отрицательных этнических стереотипов), которых информатор не пояснил с первого раза, с помощью длительного собеседования и достижения благосклонности респодента, вернутся к т.н. "острым" вопросам.

9. Полностью и квалифицированно записать (желательно на диктофоне) тексты, особенно те, которые отражают оценку другой этнической группы. Это имеет большое значение для исследования когнитивного содержания, которое отражает позитивное или негативное отношение информатора к разным этнографическим группам.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჩიტაია გ. შრომები, IV, თბ., 2001.
2. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998.
3. რობაქიძე ალ., ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981.
4. Агеев В.С., Кросс-культурная перспектива в развитии социально-психологического знания, жур.: "Вопросы психологии", 1 6, 1987.
5. Галем С., Московиси С., Теория коллективных решений в иерархических и неиарархических группах, «Психологический журнал», т. 13, № 6, М., 1992.
6. Дробижева Л.А., Социально-культурная дистанция как фактор межэтнических отношений, в кн.: "Идентичность и конфликт в постсоветских государствах, М., 1997.
7. Дюркгейм Э., О разделении общественного труда, Метод социологии, М., 1991.
8. Ионин Л.Г., Социология культуры, М., 1996.
9. Методы альтернативного решения конфликтов (Тренинговые материалы), Creaghton & Creaghton, Москва-Тбилиси, 1995 г.
10. Торукало В., Нация: история и современность, М., 1996.
11. Bottomore T., Structure and History, Approaches to the Study of Sosial Structure, Ed. P.Blau, N.Y., 1975.
12. Laguna F. Some Problems of objectivity in Ethnology // Man. a monthly record of anthropological science. The Roial Anthropological Institute. London 1957, Desember. – V.LVIII.
13. Method in social anthropology. Selected essays by A.R. Rodcliffe Brown. Chicago, 1952.
14. Lipset S.M., Sosial Structure and Sosial Change, Approaches to the study of Social Structurre, Ed. P.Blau, N.Y., 1975.
15. Malinowski Br. A Scientific Theory of Culture. N-4, 1960. 1960.

## ექსპედიციის მიზანი პანკისის ხეობაში

პოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებიც წინ უსწრებდა საბჭოთა კავშირის დაშლას, გამოიწვია ადრე „ერთიან საბჭოთა ერად" მიჩნეულ საზოგადოებაში, თითქოსდა კონსოლიდირებულ, მჭიდროდ შეკავშირებულ ხალხებში ეთნიკური თვითშეგნებისა და თვითგამორკვევის სურვილის არნახული აღზევება. ახალშექმნილ სახელმწიფოებში მტკივნეულად წარიმართა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. მთელი სიმძაფრით დადგა იდენტურობის, კულტურებს შორის სხვაობის, უმცირესობა–უმრავლესობის, გლობალიზაცია–ლოკალიზაციის, მულტიკულტურალიზმისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები. პრობლემად იქცა ურთიერთობა ერებს შორის, ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ინტეგრაციის სწორად წარმართვა. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოებში მიმდინარე კარდინა-ლურმა ცვლილებებმა და რთულმა, წინააღმდეგობებით აღსავსე სოციალურ–პოლიტიკურმა პროცესებმა თავისებური ასახვა ჰპოვეს საზღვრისპირა ზოლის პოლიეთნიკურ საზოგადოებებში.

საქართველო მთელი თავისი ისტორიული წარსულის განმავლობაში, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის იყო სხვადასხვა ახლო თუ შორეული სახელმწიფოს ინტერესების შეჯახების ობიექტი. იგივე ვითარება შეიქმნა პოსტკომუნისტურ პერიოდშიც, როდესაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ტრანსკავკასიური ნავთობსადენი, შაჰდენიზი–თბილისი–ერზრუმის გაზსადენი, ბაქო–თბილისი–სუფსის ნავთობსადენი და ტერმინალები შავ ზღვაზე, პერსპექტივაში შუა აზიიდან (ყაზახეთი, თურქმენეთი) ნავთობის და აირის უდიდესი სიმძლავრის ახალი მილსადენების გატარება, აგრეთვე „ტრასეკა" ანუ ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანი ე.წ. „აბრეშუმის გზა", გლობალური საკომუნიკაციო ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის გაყვანა, რომელმაც უმოკლესი გზით დააკავშირა ევროპა და ამერიკა შორეულ აზიასთან, ხელს უწყობს საქართველოს ღირსეული და შეუცვლელი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე. ზესახელმწიფოების ინტერესების შეჯახებას ხშირ შემთხვევაში თან სდევს ლოკალური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გაჩენა, რომლებიც არც თუ იშვიათად ერთ–ერთი დაინტერესებული მხარის ან მხარეების მიერაა

მარითული. ბოლო ათწლეულის პრაქტიკა ადასტურებს, რომ დიდი სტრატეგიული ინტერესები ხდება მიკრორეგიონული შეჯახებების მიზეზი. ასეთი დაპირისპირების ინსპირირებისათვის ხელსაყრელი გარემო კი საზღვრისპირა პოლიეთნიკური რეგიონებია.

საქართველოს საზღვრისპირა ზოლი არადომინანტი ეთნოსის კომპაქტური განსახლებით ხასიათდება. ამასთან, ეს ეთნოსი ამ ტერიტორიის მომიჯნავე სახელმწიფოს მკვიდრ მოსახლეობას ენათესავება. მსგავს სიტუაციაში ადვილად წარმოიშობა სეპარატისტული და ირედენტული მისწრაფებები და იოლი ხდება ტერიტორიული ან პოლიტიკური კონფლიქტის პროვოცირება.

რამდენიმე წლის მეცნიერულმა კვლევამ ცხადყო, რომ ასეთი ფეთქებადსაშიში რეგიონი სხვასთან ერთად პანკისის ხეობაცაა. ამ დასკვნას საფუძველს უმაგრებდა აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ისიც, რომ რუსეთი საქართველოს ადანაშაულებდა ჩეჩენი სეპარატისტებისა თუ ტერორისტების ხელშეწყობასა და დახმარებაში და სხვ. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას მაკრორეგიონული ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული იყო ზესახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთში. ამასთან იქმნებოდა მიკრორეგიონული კონფლიქტის პროვოცირების საშიშროება. პროვოკაციის ასპარეზად კი პანკისის ხეობა ისახებოდა.

პროექტის ავტორის ( ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლია მელიქიშვილი) მიერ პანკისის ხეობაში ანუ სასაზღვრო ზოლში განჭვრეტილმა პოლიტიკური პროცესების ისტორიული კანონზომიერი მიმდინარეობის გარდუვალობის დანახვამ დროსა და სივრცეში განაპირობა მისი ეთნოლოგიური შესწავლის აუცილებლობა მეცნიერთა იმ ჯგუფთან ერთად, რომელთაც ადრე წარმატებით შეისწავლეს ჯავახეთის სასაზღვრო ზოლის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე პროცესები და გამოავლინეს იქ ირედენტული საკონფლიქტო სიტუაციებიები.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მიზნად დავისახეთ პანკისის ხეობის შესწავლა, რადგან, ჩვენი აზრით, მოცემული არეალის შიგნიდან კვლევა, ანუ თვით რეგინოისა და იქ მიმდინარე პროცესების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა მეცნიერულად გაანალიზდეს არა მარტო მიკრორეგიონული პროცესები, არამედ ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების შემდგომი სტრატეგიის საფუძვლებიც.

უკანასკნელ პერიოდში, როდესაც მეზობელ ჩეჩნეთში ომი განახლდა, საქართველო აღმოჩნდა პრობლემის წინაშე: ჩაითრევდა

თუ არა რუსეთი მას ჩეჩნეთის ომში? ეს კითხვა განსჯის საგანი იყო ყველა დონეზე, რასაც უდავოდ ჰქონდა საფუძველი. დისკუსია გამოიწვია რუსეთის შეიარაღებული ძალების რამდენიმე პროვოკაციულმა ქმედებამ.

ჩეჩნეთის ომის განახლების შემდეგ თავისი პრეტენზიები წამოაყენა საქართველოს მიმართ ჩეჩნეთის მხარემაც, კერძოდ, ადგილობრივი ჩეჩნები–ქისტები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ საქართველო არ ეხმარება და მხარს არ უჭერს ჩეჩნეთს.

ქისტების პრეტენზიის უსაფუძვლობის გარდა, ისიც იყო გასათვალისწინებელი, რომ ქართველებს არ დავიწყებიათ ჩეჩენი „ბოევიკების" მოქმედება აფხაზეთში. განსაკუთრებით მძაფრი ვნებათა ღელვა იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის. ჩეჩენი „ბოევიკები" სწორედ მათ თვალწინ ბარბაროსულად უსწორდებოდნენ ქართველებს, გაუგონარი სისასტიკით აწამებდნენ და ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. შემდგომ საველე მეთაურად ქცეულმა ჩეჩენ ბოევიკთა ერთ–ერთმა წინამძღოლმა შამილ ბასაევმა „აფხაზეთის გმირის" წოდება და ჯილდო მიიღო. საიდუმლო არ არის, რომ აფხაზეთში ქართველთა სახლებში ამჟამად ცხოვრობენ ჩეჩნები, რომლებმაც ეს „ჯილდო" „აფხაზეთის განთავისუფლებისთვის" მიიღეს.

დღეს ძნელია სიმართლის მითისგან გამოცალკევება, მაგრამ ერთი რამ ჩვენთვის, ეთნოლოგებისათვის ნათელია: აფხაზეთში ჩეჩენთა მოქმედებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართველთა მენტალიტეტზე, განსაკუთრებით კი აფხაზეთიდან ლტოლვილებზე. რასაკვირველია, ამ პერიოდში იგრძნობოდა არაკეთილგანწყობა ჩეჩნების მიმართ. ამას დაემატა ისიც, რომ ბოლო წლებში გახშირდა ადამიანების გატაცება გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით. ეს მოვლენა ახალი არ არის, მას თავისი ღრმა ფესვები გააჩნია. საქართველოს ისტორიას ახსოვს თავდასხმები ჩრდილოეთ კავკასიიდან, მათ შორის ჩეჩნების, რაც „ლეკიანობის" საერთო სახელითაა ცნობილი. „ლეკიანობა" ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომების ყაჩაღური დაჯგუფებების თარეშს, რომლის დროსაც აოხრებდნენ და აჩანაგებდნენ დასახლებებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ტყვედ იყვანდნენ ადამიანებს შემდგომი გამოსყიდვის ან დამონების მიზნით. ჩვენს დროში ადამიანების გატაცების ფაქტებმა ქართველთა ცნობიერებაში „ლეკიანოფობია" გააღვივა.

ჩეჩნეთში ომის განახლებამ შექმნა დამატებითი პრობლემები და გაამძაფრა სიტუაცია პანკისის ხეობაში. საქართველოს საზღვართან მდებარე ჩეჩნეთის მთის სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობა, მათი რუსეთის ავიაციის და არტილერიის მიერ მიზანმიმართული და მზაკვრული დაბომბვის შემდეგ, რომლის მიზნებიც შემდგომ გამოვლინდა, დაიძრა საქართველოსკენ. ათასობით ლტოლვილმა, ძირითადად ბავშვებმა, ქალებმა და მოხუცებმა, გამუდმებული დაბომბვის პირობებში, გადმოლახა საქართველოს საზღვარი.

პანკისის ხეობამ საზოგადოების გამძაფრებული ყურადღება მიიპყრო. ამ თემას უთმობდა საეთერო დროს ტელევიზიის განურჩევლად ყველა არხი და ფურცლებს – ყველა გაზეთი; თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის ეთნიკური მიკუთვნილობის გამო ხეობა პოლიტიკური დებატების, ვნებათა ღელვისა და პროვოკაციების საგნად იქცა.

ერთი შეხედვით, პანკისის ხეობაში თავიდან თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა – გაუცემელი პენსიები და ხელფასები, დაუსაქმებელი მოსახლეობა, რომელიც ცდილობდა საკარმიდამო ნაკვეთებითა და მცირე კომერციული საქმიანობით ერჩინათ თავი. სამართალ–დარღვევის გახშირებული შემთხვევები საქართველოს ყველა კუთხის პრობლემა იყო. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მრავალრიცხოვან ჩეჩენ ლტოლვილთა მიგრაციასთან დაკავშირებით ხეობაში აქტიურად მოღვაწეობდა სხვადასხვა საზღვარგარეთული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელთაც გარკვეული მისია ჰქონდათ დაკისრებული.

ამ პირობებში შესაძლებელი გახდა პანკისის ხეობაში ეთნოგრაფიული ექსპედიციის გამგზავრება. ექსპედიციის მიზანი იყო წმინდა ეთნოლოგიური, თეორიული წანამძღვარების შემოწმება კონკრეტულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ანუ ჩვენ გვაინტერესებდა, თუ რა მდგომარეობა იყო ერთ პოლიეთნიკურ, პოლიკონფესიურ მიკროსაზოგადოებაში, რომელიც სასაზღვრო ზონაში ცხოვრობს, როგორ წარიმართა დღევანდელ პირობებში, შეცვლილ გარემოში ახალი საზოგადოების განვითარება, ძველის რეადაპტაცია; რა ცვლილებები განიცადეს წეს–ჩვეულებებმა, ტრადიციებმა, რომლებიც ამავე ექსპედიციის წევრებმა დააფიქსირეს 30 წლის წინ; რა პერსპექტივა ელის ხეობის ეკონომიკურ განვითარებას და საერთოდ, გვაინტერესებდა ყოველივე ის, რაც ხალხის ყოფასა და კულტურას ეხება, რადგანაც ცნობილია, რომ ერთობა–საზოგადოება იმ

ადამიანების ორგანიზებული დაჯგუფებაა, რომლებიც ერთ გარემოში ახორციელებენ სოციალურ ცხოვრებას, ანუ რომელსაც სოციალური ურთიერთობის მყარი სისტემა აქვთ. ეს სისტემა ეყრდნობა წეს–ჩვეულებებს, ტრადიციებს, კანონებს, სოციალურ ინსტიტუტებს, მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს და ა.შ. ასეთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა და მეცნიერული ანალიზი კი თავისთავად ხელს შეუწყობს ახალი ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ინტეგრაციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

პანკისის ხეობა ახმეტის რაიონში შედის. ხეობაში განლაგებული დასახლებული პუნქტები თავისი ძირითადი და დამხმარე მიწის ნაკვეთებითა და სათიბ–საძოვრებით, საიმედოდ დაცული ხეობის ბუნებრივი საზღვრებით ერთ სოციალურ ერთეულს ქმნიდა. ამ სისტემის ფარგლებში ყალიბდებოდა ეთნიკური ერთობები განსხვავებული ტრადიციებით და კულტურით. სწორედ ასეთ ერთობას წარმოადგენენ პანკისელი ქისტები, რომლებიც ენათესავებიან ჩეჩნებს და სხვა ვეინახი ტომებისგან განსხვავდებიან თვითმყოფადი ტრადიციული კულტურით. საუკუნეების მანძილზე ქისტები ქართველებისა და ოსების გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ პანკისის ხეობაში. ქისტებმა და ოსებმა ამ დროის განმავლობაში შემოინახეს მშობლიური ენა და ტრადიციული კულტურა, ამასთანავე, მაქსიმალურად ეზიარნენ ქართულ კულტურას და, რაც მთავარია, ენას – ისინი სრულყოფილად ფლობენ ქართულს. საურთიერთო ენა ამ სამ ეთნიკურ ჯგუფს შორის სწორედ ქართულია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კულტურათა სხვაობით გამოწვეულ შეუთავსებლობას დაუპირისპირდა ეთნოსთაშორისი ადაპტაციის შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიცია – დაძმობილების საერთო კავკასიური წესი. იშვიათად მოიძებნებოდა ქისტი, რომელსაც ქართველი ძმადნაფიცი არ ჰყავდა. ძმადნაფიცობის ინსტიტუტი უფლება–მოვალეობათა მთელ სისტემას მოიცავდა. ის ხელს უწყობდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრთა ურთიერკავშირს, დაახლოებას და უსაფრთხოებას. ქართველებიც და ქისტებიც ჩივიან, რომ დღეს მათ შორის გაუცხოებამ იჩინა თავი, აღარ აქვთ ადრინდელი ინტენსიური კავშირი.

დღეს ქისტები რელიგიას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, რწმენას მიუბრუნდა ყველა. ეს პროცესი დამახასიათებელია მთელი პოსტსაბჭოური სივრცისათვის. ქისტების ტრადიციული სინკრეტული (ისლამურ–ქრისტიანულ–წარმართული) სარწმუ-

ნოება თავის ძალას კარგავს და მის ადგილს იკავებს ორთოდოქსალური ისლამი. ხანში შესულები უფრო ძველ, ტრადიციულ სარწმუნოებას მისდევენ: მეჩეთში ლოცვასთან ერთად ადგილობრივ ხატ–სალოცავებშიც დადიან. ახალგაზრდები კი ისლამის დოგმების ზუსტ დაცვას მოითხოვენ, რაც თაობათა შორის უთანხმოების მიზეზად იქცა. ვაჰაბიზმი – ისლამის ერთ–ერთი რელიგიურ–პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ისლამის „სიწმინდისა" და თავდაპირველი „ჭეშმარიტებისათვის" იბრძვის, შემოიჭრა ხეობაში. ხალხი ვაჰაბიტებს ხელგაშლილი არ შეხვედრია. რწმენის მიმართ გარკვეული განსხვავებულობა მათ შორის დისტანციას ქმნის. ქისტი ახალგაზრდების რეისლამიზაციის პროცესი იწვევს ქართული ღირებულებების უარყოფას და ორიენტაციას მუსლიმანური სამყაროსკენ.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა კომპაქტურად განსახლებული პოლიეთნიკური საზოგადოების სოციალური უსაფრთხოების ასპექტები რეადაპტაციის პერიოდში არსებული კარდინალური ცვლილებების დროს. დაგვედგინა ადამიანის, ჯგუფის, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლოკალური (ენდოგენური) ინსტიტუტები. იგულისხმება ეთნოკულტურული და აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სოციალური და პოლიტიკური სისტემების– გარემოს, წარმოების, ფიზიკური, ეკონომიკური და ა.შ. – უსაფრთხოების მექანიზმის შესწავლა, ანუ თანამედროვე რთულ გარდამავალ პერიოდში თავდაცვის ტრადიციული და არატრადიციული ელემენტების გამოვლენა.

საზღვრისპირა ზონების კონკრეტული და ფართო ეთნოფსიქოლოგიური შესწავლა ისტორიული რეალიების გათვალისწინებით გამოავლენს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ყოფითი მდგომარეობის ჭეშმარიტ სურათს, ხოლო მონაცემების მეცნიერული ანალიზი დაგვეხმარება საქართველოს სწორი ეროვნული პოლიტიკის გამომუშავებაში, ინტეგრირებული, რაციონალური, თავისუფალი და ღია საზოგადოების ფორმირებაში.

„პანკისის კრიზისის" პერიოდში ხეობის ეთნოჯგუფებს შორის შეიქმნა არა მარტო კულტურული, არამედ სოციალური და ეკონომიკური დისტანციაც, რაც ურთიერთ გაუცხოებას უწყობს ხელს და რის ნიადაგზეც თითოეულმა ეთნოსაზოგადოებამ გამოიმუშავა ისეთი დაცვის მექანიზმი, როგორიცაა პოზიტიური „ჩვენ" და ნეგატიური „ისინი". ეთნოკულტურული სხვაობა გადაიზარდა პოლიტიკურ ორიენტაციათა სხვაობაში და თანდათა-


პანკისის ხეობის
დასახლების სქემა
2002წ.
ხადორი
ალაზანი
ძიბახევი
ბირკიანი
ომალო
ჯოყოლო
დუმასტური
დედისფერული
დუისი
ქვემო ხალაწანი
ქვარელწყალი
ზემო ხალაწანი
შუა ხალაწანი
ქუწახტა
წინუბანი
საკობიანო
ბაყილოვანი
ალაზანი
ქორეთი

ნობით ჩამოყალიბდა „მტრის ხატი", რომელიც ერთმანეთისკენაა მიმართული. ეკონომიკურ, სოციალურ სირთულეებს დაემატა ეთნოდაპირისპირებაც, რაც ჩაკეტილ ეთნოჯგუფებს შორის პოლიტიკურ დაძაბულობაში გადაიზრდა, გაძლიერდა ჯგუფური ცნობიერება და თვითმყოფადობის განცდა.

რეგიონში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია გამოიწვია ხეობის ჩაკეტვამ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დღევანდელი შედეგები ან კარგად არის წინასწარ განსაზღვრული, ან სიტუაციურად კარგად გამოყენებული. ფაქტი ერთია, რომ პანკისი იქცა მსოფლიო განსჯის საგნად და მას მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში თავისი ადგილი მიეკუთვნა. ლოგიკას თუ მივყვებით და გავიხსენებთ წინა წლების მდგომარეობას, შემდეგი სურათი იხატება: პანკისი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო ნარკოტიკების მცირე მოხმარების და გასაღების ადგილი. ნარკოტიკების შემოსვლის აღსაკვეთად ამ თხუტმეტიოდე წლის წინ საგუშაგოც კი დადგეს და ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ ამ პრობლემას. დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოში გართულდა სიტუაცია, საგუშაგო ძალოვნების ინტერესის სფეროში მოექცა და იგი შემოსავლის წყაროდ გაიხადა ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანმა. ამას მოჰყვა ხეობის ჩაკეტვა, ნარკოტიკებით ვაჭრობის გაძლიერება, რამაც გამოიწვია განუკითხაობა: იარაღით ვაჭრობა, კრიმინალების თავმოყრა და ა.შ. დროთა მანძილზე პანკისი გახდა მსოფლიო ნარკოტრასის ერთ–ერთი ობიექტი. ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საქართველო ისედაც ჩათრეული იყო მსოფლიო ნარკობიზნესში, აფხაზეთის და ოსეთის ჩათვლით, არაკონტროლირებადი კონფლიქტური ზონების გამო.

ეს სიტუაცია კი რუსეთმა, რომლისთვისაც საქართველო პოლიტიკური და სამხედრო ძალადობის სივრცედ იქცა, ნებსით თუ უნებლიედ კარგად გამოიყენა და დღეს ტერორიზმის კერად გამოაცხადა. ამ საბაბით ცდილობდა საქართველოს ჩათრევას ჩეჩნეთის ომში, პანკისი კი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის პრობლემებში აღმოჩნდა ჩართული. „პანკისის კრიზისი" გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქართველოსთვის. პრობლემა ასე იდგა – ვინც ამ კრიზისს განმუხტავს – ამერიკა თუ რუსეთი, საქართველოს მომავალსაც ის გადაწყვეტს.

და ბოლოს ამ კრიზისის განმუხტვის სადავეები აშშ-ის ხელთ აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიურად დაიწყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, როგორც ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის, ისე ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო პრიორიტეტების, მათ შორის სამხედრო სფეროს რეორგანიზაციისა და რეფორმების ჩატარებაში აქტიური დახმარების კურსი.

2002 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით პანკისის ხეობაში, ადგილობრივი მოსახლეობის ნებითა და მხარდაჭერით, ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო, რისთვისაც, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მზადება ჯერ კიდევ ა.წ. იანვრიდან დაიწყო. ოპერაცია რამდენიმე ეტაპად წარიმართა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 6 სექტემბრის ოფიციალური განცხადებით ხეობაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაცია დასრულებულია. პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაციას თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება კი გამოსავალი არ არის და პრობლემა ორ ქვეყანას შორის დიალოგით, პოლიტიკური გზით უნდა გადაწყდეს. რუსეთ–საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის პოლიტიკური დიალოგის გზით მოგვარების მომხრეა ევროკავშირიც.

ყოველივე ეს უკვე პოლიტიკოსების სახელმწიფოებრივი საქმეა, მაგრამ შევახსენებთ მკითხველს, რომ ჩვენი საექსპედიციო მუშაობა და შემდეგი კვლევა ეხება ამ რეგიონის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, რაც, ერთის მხრივ, დიდად არის დამოკიდებული დღევანდელ პოლიტიკურ ფონზე, მაგრამ მეორეს მხრივ, საზოგადოება ვითარდება და სწორედ ამიტომ ამ პროცესების შემდგომი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების სტრატეგიის გამოსავლენად.

ფაქტი ერთია, პანკისის პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვია ხეობის საზოგადოების მარგინალიზაცია. ასეთი სიტუაცია კი დაინტერესებულმა მხარემ ადვილად შეიძლება გამოიყენოს საპროვოკაციოდ. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა, თუ რამდენად იყო მზად პოლიეთნიკური საზოგადოება ასეთი პროვოკაციისათვის.

სწორედ ამ მიზნით შემუშავდა პროექტი: *„პოლიეთნიკური საზოგადოების უსაფრთხოების სტრატეგია არასტაბილური კავკასიის ფონზე" (პროექტის ავტორი და ექსპედიციის ხელმძღვანელი ლია მელიქიშვილი), პროექტი დააფინანსა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდმა (აშშ).*



პანკისის ხეობაში ჩატარდა ორი ექსპედიცია (2000–2001 წწ)

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია ეთნოსისადმი, როგორც სუბიექტური, კულტურული და ფსიქოლოგიური რიგის ფენომენისადმი მიდგომა, რადგანაც ეთნიკურობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროში გარკვეული პროცესების პროდუქტს, განპირობებულს კონკრეტულ ვითარებაში სხვადასხვა სოციალური და კულტურული, აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით.

საექსპედიციო მუშაობა შესრულდა უშუალო დაკვირვებისა და ინფორმატორთა ინტერვიუირების მეთოდით. აგრეთვე ჩატარდა „ფოკუს–ჯგუფები" და „თავისუფალი დისკუსიების და შეხვედრების ჯგუფები" ადგილობრივ მცხოვრებთა და ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა შორის. რეგიონის მოსახლეობის ინტერჯგუფური ურთიერთობისა და ინტერესების შესასწავლად გამოვიყენეთ ფსიქოთერაპიული მოდელები: „კონფლიქტური პარტნიორობის სამსაფეხურიანი მოდელი" (*დ. უიკსი*) და „არადირექტიული თერაპიული მოდელი" (*ლ. როჯერსი*). ასეთი დისკუსიებისა და შეხვედრების ჩატარება, სადაც ღიად გამოთქვამენ აზრს საკუთარ და ზოგად პრობლემებზე, ორივე მხარის უშუალო და პირადი



ურთიერთობა განმუხტავს უნდობლობის ატმოსფეროს და ანეიტრალებს აგრესიის გრძნობას. ექსკლუზიური საუბარი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები, როგორც წესი, იძლევა შესაძლებლობას შეგროვდეს მასალა და შესაბამისად შესწავლილი იყოს ლტოლვილთა ძირითადი ტენდენციების დინამიკა, მოხდეს საბაზო წარმოდგენებისა და ღირებულებების ხელმეორე ატესტირება, განისაზღვროს თვითშეფასების შეცვლის ხასიათი.

ცალკე ამოცანად იდგა ფსიქოთერაპიული დახმარების აღმოჩენა. რეალური საველე პირობებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგები იყენებდნენ ჯგუფური და ინდივიდუალური თერაპიის სხვადასხვა ტექნიკას: სიუჟეტური თამაშის ტექნიკას, საუბარს, კოგნიტურ–ბიჰევიორალურ თერაპიას, თამაშთერაპიას და სხვ.

მასალის ანალიზისთვის, შედარებითი მეთოდის გარდა გამოყენებული იყო კოგნიტური მეთოდი, ანუ თხრობითი ისტორიები, რაც ხელს უწყობს როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა, ისე ლტოლვილთა სოციალური პერცეპციის სტერეოტიპების როლის გამოვლენას.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ეთნოლოგი *ლია მელიქიშვილი*

# ეთნომუსიკოლოგიური მუშაობის მეთოდიკა და ტაქტიკა

## (ველზე მუშაობის სპეციფიკა – მეთოდები)

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ზოგიერთი დისციპლინის ერთმანეთთან დაკავშირება ბუნებრივად მოხდა. გაჩნდა ე.წ დისციპლინათაშორისი მეცნიერებანი. ეს კავშირი განაპირობა ერთი მხრივ პრობლემატიკის სირთულემ და მეორეს მხრივ კი კონკრეტული პრობლემის მრავალმხრივად შესწავლის აუცილებლობამ. აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე დისციპლინებში (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეთნოლოგია) მკლევრები წარმატებით იყენებენ ფუნდამენტური კვლევის ემპირული მეთოდებს: აღწერას, დაკვირვებას, ექსპერიმენტს, ანკეტირებას, გამოკითხვას, ჩაღრმავებულ ინტერვიუს და ა.შ. ამავე დროს, როგორც წესი, ითვალისწინებენ ობიექტური რეალობით, გარემო პირობებით ნაკარნახევ სპეციფიკასაც – რას ვიკვლევთ, როგორ გარემოცვაში, რამდენად ხერხდება ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება საკვლევ გარემოში, კომპრომისის მოშველიება კვლევის პროცესში ობიექტური მასალის მოპოვების მიზნით.

სოციალურ მეცნიერებაში კვლევას ართულებს თავად შესასწავლი ობიექტი – ადამიანი – ცოცხალი, მოაზროვნე არსება, ცნობიერი სუბიექტი და ამავე დროს მისი სოციალური გარემოცვა ანუ სოციალური სუბიექტები. "მკვლევრებს კვლევის პროცესში საქმე აქვთ არა ქიმიურ რეაქტივებთან, მენზურაში რომ შეისწავლება, არამედ ჭკვიან, მოაზროვნე, სოციალურ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებთან"[1].

საკვლევი ობიექტი კვლევის პროცესის ერთი მხარეა, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც – მკვლევარი, სუბიექტი, რომელიც ასევე ადამიანია თავისი პიროვნული დამოკიდებულებებით, განწყობით, წინასწარი პროგნოზირებადი სტერეოტიპებით, რაც ასევე კანონზომიერი მოვლენაა და კვლევას აუცილებლად უქმნის ტენდენციურობის საშიშროებას.

ყოველივე ამას ართულებს ის ობიექტური რეალობა, რასაც "ველი" წარმოადგენს, რომელიც თავის "მოულოდნელობებს" ახვედრებს მკვლევარს და რისი სრულად გააზრებაც

---

[1] Аронсон Елиот, Общественное животное, «Аспект Пресс», Москва. 1999 г. გვ . 421.

ე.წ. კაბინეტური მუშაობის პროცესში თითქმის პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ იგულისხმება ის კონკრეტული შემთხვევები, რაც “ველზე“ ანუ “ლაბორატორიის“ პირობებში იჩენს თავს და რაც მკვლევრისგან მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას. ამგვარი მოულოდნელობის წინაშე მყოფი მკვლევარი ყოველნაირად უნდა შეეცადოს გამონახოს სიტუაციისთვის შესაფერისი ქცევის სტრატეგია, მას არ უნდა უღალატოს პროფესიულმა ალღომ, სწორად უნდა შეაფასოს “აქ და ამ დროს“ არსებული სიტუაცია. არაერთი ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმის თაობაზე, რომ მკვლევარი გარკვეული განწყობისა და მზაობის მქონე ადამიანია. კვლევითი სამუშაოების დაწყების წინ, ანუ ველზე მუშაობის დაწყებამდე, მან თავისი თავი ახლებურად უნდა შეამზადოს. ამ თითქოსდა ერთი შეხედვით თავისთავად არსებულ ფსიქიკურ მდგომარეობაზე – მკვლევრის მზაობაზე – ძალიან ბევრია დამოკიდებული; იგი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ფაქტების ინტერპრეტაციის პროცესში. ცნობილი კულტურანთროპოლოგი მარგრეტ მიდი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში “თრთვილი აყვავებული მაყვლის ბუჩქზე“ სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას მკვლევრის მზაობაზე, მის წინასწარ განწყობაზე. იგი შემდეგნაირად აღწერს ვითარებას. “ექსპედიციაში გამგზავრებისას გონება უნდა გაითავისუფლო ყოველგვარი წინასწარი განწყობებისა და იდეებისაგან, კულტურა ისე უნდა შეისწავლო, იქეთკენ უნდა ისწრაფოდე, რომ არ გაიაზრო მოცემული კულტურა სხვა კულტურასთან შედარებით“[2]. ავტორის ეს მოსაზრება უფრო მეტად ეხება სწორედ “შეფასებას“, იმ დასკვნებს, რაც შეფასების საფუძველზე კეთდება სხვა კულტურასთან შედარებითი ანალიზის პროცესში. უფრო გასაგები რომ გახდეს, თუ რას გულისხმობს ავტორი, მოვიყვანოთ მ.მიდის კიდევ ერთი მოსაზრება: “მაგალითად, თუ ჩვენ საცხოვრებელ ადგილს განვიხილავთ, როგორც პატარას ან დიდს, მდიდრულს ან ღარიბულს“ და ვადარებთ მას ჩვენთვის ნაცნობ საცხოვრებელს, აღმოვჩნდებით იმ რისკის წინაშე, რომ მხედველობიდან გამოგვრჩება ის, თუ რას წარმოადგენს ეს სახლი მისი მფლობელისათვის[3], ამ კონკრეტულად მოცემულ

[2] Стефаненко Т.Г., Этнопсихология, Москва, 2000 г., გვ. 38.

[3] იქვე, გვ. 38

კულტურის წარმომადგენლისთვის. წინასწარი ვარაუდები, წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, არასწორი ანალიზის საფუძველი გახდება, რაც ხელს შეუშლის მკვლევარს მოახდინოს ფაქტების სწორი ინტერპრეტაცია. "აუცილებელია, ვაკონტროლოთ ჩვენი საკუთარი სოციალური პოზიცია, ის თუ ღირებულებებიდან რომელს ვირჩევთ"[4]. როდესაც მკვლევარი მოაგროვებს სათანადო მასალას და ფაქტების ინტერპრეტაციის, ანალიზის ჯერი დგება, აუცილებელი ხდება "სოციალური კონტექსტის" და ისტორიული პირობების



გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით მოვიშველიოთ რ. ხარაძის და ა. რობაქიძის მიერ აღწერილი მასალა, ვეინახურ ტომებში საქონლის და ადამიანის მოტაცების ტენდენციების შესახებ, რომელიც ხშირად გამოსასყიდის მოთხოვნით სრულდებოდა[5]. "იმან რაც აღიქმებოდა დადებითად ერთ

---

[4] Андреева Г.М., Социальная психология, «Московский университет», М., 1980 г. стр. 77.

[5] Харадзе Р. Л., Робакидзе А. И., Характер сословных отношений в горной Ингушетии, КЭС, II, Тбилиси, 1986 г.

ისტორიულ სიტუაციაში, განსხვავებულ ისტორიულ პირობებში საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე, შეიძლება უაღრესად უარყოფითი ხასიათი შეიძინოს[6]. "ის, რაც დღევანდელი თვალთახედვიდან აღიქმება ბოროტებად, კანონსაწინააღმდეგო ქმედებად, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ვეინახური ტომებისთვის, და არა მარტო მათთვის, კულტურის ერთ-ერთ ქვესისტემის, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის, კომპონენტს წარმოადგენდა. ამავე დროს მას სოციალური დატვირთვაც გააჩნია, ვინაიდან საფუძველს უქმნის წოდებრივ დიფერენციაციას"[7]. ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს სოციალურ კონტექსტთან – ანუ იმ სოციალური სიტუაციის მთელ სირთულესთან, რომელშიც განიხილება ესა თუ ის ფაქტი.

ემპირიული დაკვირვების შედეგად მიღებული მასალის ანალიზი და ინტერპრეტაცია მკვლევრისგან მოითხოვს მოცემული კულტურის და სოციალური კონტექსტის დამახასიათებელი ყველა დეტალის და სპეციფიკის გათვალისწინებას. ყოველი მოვლენა, რაც უნდა მარტივი იყოს ის ერთი შეხედვით, მაინც უამრავ მიმართებათა კომპლექსშია მოქცეული. იგი სინამდვილის სისტემაში დაკავშირებულია საგანთან ან საგანთა ჯგუფთან ისევე, როგორც მოვლენებთან. ამ სიღრმეებისა და მიმართებების წვდომა ერთჯერადად შეუძლებელია – ამისთვის აუცილებელია ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა, რათა ჩვენი დაკვირვება ცალმხრივი არ აღმოჩნდეს. ამავე დროს, რადგანაც ჩვენი კვლევის ობიექტი ადამიანია თავისი სოციალური გარემოცვით, მუდამ შეიქმნება სუბიექტურობის საშიშროება რაოდენ ვალიდურიც უნდა იყოს ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდიკა და რაოდენ ზუსტი ფაქტების აღწერა. 'ცოდნა, და საზოგადოდ მეცნიერული ცოდნა, არის ის, რასაც სუბიექტურად ვაღიარებთ და რაც მისაღები და დასაშვებია ჩვენთვის. ამდენად, მეცნიერული ცოდნაც მხოლოდ მას მიეწოდება, ვინც სუბიექტურად მზად არის მისაღებად" – აღნიშნავს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პატრიარქი კარლ როჯერსი[8].

---

[6] Культура жизнеобеспчения и этиос. Ереван, 1983 г. стр. 32-33.

[7] შუბითიძე ვ. უსაფრთხოება და ეთნიკური კულტურის ადაპტაციის უნარი ახალ სოციალურ - კულტურულ გარემოსთან, წიგნში "პანკისის კრიზისი", თბ., 2002 წ. გვ. 85.

[8] Роджерс К.. Становление человека. «Группа Прогресс». М., 1961 г.. стр. 274.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეცნიერული კვლევის პროცესის ზოგადი დახასიათებაც კი გვაჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ პროცესში თავად მკვლევრის გრძნობათა ლოგიკის მონაწილეობა, მისი შემოქმედება, ვინაიდან, როგორც წესი, სწორედ გრძნობები უბიძგებს მას ერთ-ერთი მისთვის სასურველი, შესაძლო ვარიანტისკენ. თავად მას, როგორც მკვლევარს უჭირს განთავისუფლდეს პიროვნული სუბიექტური შეცდომებისგან. ჩვენ აქ არ ვძიებთ ამ შეცდომების მიზეზს, მხოლოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ერთია იმის ცოდნა, თუ რა უნდა დავძლიოთ ჩვენს თავში (რა გადავლახოთ შინაგანად), "ობიექტურობისათვის" მით უფრო მაშინ, როდესაც ჩვენი დაკვირვების ობიექტიც ადამიანია. და სულ სხვაა შეგწევდეს იმის უნარი, რომ მუშაობის პროცესში გამოიყენო ეს ცოდნა ამ შემთხვევაში უკვე "სუბიექტურობის" დასაძლევად.



რა იგულისხმება სუბიექტურობაში?!

პირველ რიგში მთხრობელთან თუ ცდის პირთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ მოპოვებული მასალა მაქსიმალურად თავისუფალი იყოს ჩვენი პირადი შეხედულებებისგან. ეს ძნელია და ურთიერთობებში "მთხრობელი – მკვლევარი" ამ სირთულის დაძლევა მეთოდის სწორი შერჩევით არ ამოიწურება. მნიშვნელოვანია თავად მკვლევრის პოზიცია, მისი ადგილი, სრულიად განსხვავებული მთხრობლისა თუ დაკვირვების ობიექტის პოზიციისგან. მკვლევარი ცდის პირისთვის პრიორიტეტული ფიგურაა. ამიტომ მუშაობის პროცესში ჩვენი იქ ყოფნით უკვე ვახდენთ მასზე სოციალურ ზემოქმედებას, შესაძლოა ზეწოლასაც. ასეთ დროს არ არის გამორიცხული, რომ მთხრობელმა ქცევა ან მოწოდებული მასალის შინაარსი მიუსადაგოს ჩვენთვის სასურველ შინაარსს. რასაკვირველია,

მოპოვებული მასალა ამ შემთხვევაში ნაკლებად ობიექტური იქნება, უფრო მეტიც ინფორმაცია იქნება ორაზროვანი, რაც უფრო მეტ სირთულეს შექმნის თუნდაც იმით, რომ ორაზროვანი ინფორმაციიდან შესაძლოა მივიღოთ ის, რაც ჩვენ გვინდა. ეთნოლოგს, ისევე როგორც ფსიქოლოგს და სოციოლოგს, ხშირად უწევს განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან, მის წარმომადგენლებთან მუშაობა. ასეთ დროს არ არის გამორიცხული, რომ რეალურ ვითარებაში კვლევა ისეთ პერიოდს დაემთხვეს, როდესაც ცდის პირი იქნება "სხვა" ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, ოპოზიტივი – ანუ დაპირისპირებულ ეთნიკურ ჯგუფის წევრი. ეს, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო ართულებს ვითარებას ორივე მხარისთვის. კვლევის დროს პარალელურად გარკვეული ნორმებია დასაცავი. ველის პირობებში ამგვარი ურთიერთობის ნიმუშად ჩვენ შემთხვევაში შეიძლება დავასახელოთ ქართველი მკვლევარებით დაკომპლექტებული პანკისის ხეობაში 2000–2001 წწ ექსპედიციის მუშაობა ოსი ეროვნების მთხრობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ ოპოზიტივთან მუშაობისას ჩვენი უარყოფითი ზემოქმედება, უნებურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს არ ამარტივებდა სიტუაციას, ვინაიდან ჩვენს წინაშე მყოფი ოსი ეროვნების მთხრობლის ცნობიერებაში "ქართულ–ოსური კონფლიქტიდან" გამომდინარე, გარე ჯგუფის წარმომადგენელი ქართველი არანაირად არ იქნებოდა მისთვის ნეიტრალური პიროვნება, რადგანაც ამავე კონფლიქტიდან გამომდინარე ქართველი მისთვის დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენს, რაც მასში უარყოფით ემოციას იწვევს. არსებული "ოპოზიტივი" გარკვეულ დაძაბულობას ბადებდა, ზრდიდა სოციალურ დისტანციას, რაც დასაწყისში ძალიან შესამჩნევი იყო, ხოლო შემდეგ დაძაბულობა ურთიერთობისა და მუშაობის პროცესში თანდათანობით კლებულობდა. ამ მაგალითით მხოლოდ იმ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ მკვლევარმა პროცესი ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინოს. დამკვირვებელმა აღნიშნულ გარემოებაში განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და დროებით დაივიწყოს თავისი ეთნიკურობა.

საზოგადოდ, ველზე მუშაობა, იგეგმება ე.წ. კაბინეტურ ატმოსფეროში. ამიტომ მკვლევარმა წინასწარ მაქსიმალურად უნდა გაიაზროს ის შესაძლო დაბრკოლებები რაც თავს იჩენს

*საველე მუშაობის პროცესში* აქ იგულისხმება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ხასიათის სიძნელეები.

ჩვენი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ორ ლატენტურ კონფლიქტის ზონაში (ჯავახეთი და პანკისი) 1995–2002 წწ. ჩატარებული ექსპედიციები დაკომპლექტდა, სწორედ სუბიექტური და პიროვნული მახასიათებლის ანგარიშის გაწევით. ის კი არა ძლიერ დადებითი შედეგი ჰქონდა კარგათ გათვლილ და გააზრებულ ფაქტს, როდესაც პანკისში ფაქტიურად 2000 წლის ზაფხულისათვის უმძიმეს რეგიონში, ექსპედიციაში ჩართული იქნა, ამავე ხეობის სპეციალისტი, წარმოშობით ქისტი მეცნიერი, რომელსაც უწყვეტი კონტაქტი ჰქონდა თავის წინაპრებთან და ნათესავებთან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ექსპედიციის



წევრები თითქმის 30 წლის წინ მუშაობდნენ ამავე ხეობაში, ხოლო 20–25 წლის წინ კი ჩეჩნეთში. პანკისის ხეობაში ლტოლვილებად მოვლენილი ჩეჩნეთის მაღალმთიანი სოფლის ითუმ–კალეს მკვიდრნი ეთნოლოგთათვის ნაცნობი თეიფების შთამომავლები აღმოჩნდნენ. ამ ფაქტმა კი კიდევ უფრო მეტი ნდობის ფაქტორი გამოიწვია მეცნიერებსა და რესპონდენტებს

შორის ექსტრემალურ სიტუაციაში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სრულფასოვანი კონტაქტი და ნდობის მოსაპოვებლად ისეთი ფაქტების გათვალისწინება, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა, მთხრობელის სქესი და ასაკი.

ეს რაც შეეხება სუბიექტური ხასიათის სიძნელეებს. ამასთანავე უკვე ჩამოთვლილი სოციალურ-პოლიტიკური პირობებიდან თუ ცხოვრების წესისა და ტრადიციიდან გამომდინარე, ანგარიში უნდა გაეწიოს ობიექტურ სიძნელეებს, რაც ქმნის ექსპედიციის წევრების სამუშაოს პირობებს. ბუნებრივია, რომ ამ სიძნელეების დაძლევა ძირითადად მეტ–ნაკლებად არის შესაძლებელი. ამას ხელი უნდა შეუწყოს იმ მეთოდიკამ, რომელსაც ვირჩევთ მუშაობის პროცესში და რომელიც გულისხმობს რეალობიდან მომდინარე კორექტივზე შესაბამის რეაგირებას. ასეთია ჩართული დაკვირვება, კითხვარები, ანკეტა, თავად მთხრობლის მიერ თვითდაკვირვების საფუძველზე მოწოდებული მასალა, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ა.შ.

რა მეთოდიც უნდა შევარჩიოთ, ყოველმხრივ გავიაზროთ და გავითვალისწინოთ ყველა დეტალი, ვერ ჩავატარებთ ვერანაირ სამუშაოს და ვერც სრულფასოვან მასალას მოვაგროვებთ, თუ მკვლევარმა არ გაითვალისწინა ის კულტურა, რომელშიც მას უხდება მუშაობა. ნებისმიერი მეთოდი მუშაობის სტილში უნდა აისახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ცალმხრივი მასალა გვექნება ხელთ და შეუძლებელი იქნება ამ ემპირიული მასალის სწორი ინტერპრეტაცია. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, პანკისის ხეობაში ექსპედიცია მუშაობდა ოსი ეროვნების მოსახლეობასთანაც. ექსპედიციის მუშაობის პროცესში ხეობაში აშკრად იგრძნობოდა დაძაბულობა ქართველებისა (ფშაველები) და ოსებს შორის. ვითარებას ართულებდა კრიმინოგენური სიტუაცია ქისტებში. ოსი მთხრობლები, ქართველების მიმართ პოზიტივის მიუხედავად, უარყოფით დამოკიდებულებას ძირითადად ქისტების მიმართ ამჟღავნებენ. ქართულ–ოსური პოზიტივი პანკისის ხეობაში უფრო ნაკლები სიმძაფრით არის წარმოდგენილი, განპირობებულია "აქ და ამჟამად" სიტუაციაში არსებული სოციალური კონტექსტით. რეალურად სიძნელეებს ოსურ მოსახლეობას უქმნიან ქისტები. ჩვენ

შევეცდებით მთხრობლებთან დიალოგის მაგალითებით ვაჩვენოთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მთხრობლებთან თხრობის პროცესში ჩვენი ჩართვის ხასიათს ისევე, როგორც დამოკიდებულებას მთხრობელის მიმართ, მით უფრო მაშინ, როდესაც ის მწვავედ განიცდის სიტუაციას და მისი მსმენელი ოპოზიტივი ეროვნებისაა, ჩვენ შემთხვევაში – ქართველი.

ოსი მთხრობელი (ქისტებზე გვიყვება):

"ქისტები აქედან გვაგდებენ, ეს ჩვენი მიწაა-ო! მაგათ რა აქვთ სათქმელი, ქართველები არაფერს ამბობენ, ისინი (იგულისხმება ქართველები) რომ გვაგდებდნენ კიდევ ჰო! ეს ჩვენი ადგილია, აქ დავიბადეთ. ოსეთში ერთხელ თუ ვარ ნამყოფი, ოსურიც კი არ ვიცი წესიერად."

საყვედურით ქართველებსაც მოიხსენებენ, მაგრამ ფაქტობრივად ამ შემთხვევაში მთხრობელის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ არ არის გამოცალკევებული ქართველების ეთნიკური ჯგუფისაგან – (ქართველობისგან) და ეს უარყოფითი დამოკიდებულება, წყენა თუ ჩივილი გენერალიზდება – გადადის მთლიანად ქართველებზე.

"არაფერს არ გვიკეთებენ, მიგდებულები ვართ. აბა ეს საქმეა? არავის არ აქვს ჩვენი დარდი, აქედან ქისტები გვეერეკებიან, ქართველებიც არაფერს არ შერებიან..." და ა.შ.

წესით ოსების საყვედურს ქართველების მიმართ, თუნდაც შერბილებული ფორმით გამოთქმულს გარკვეული გაღიზიანება და საპასუხო რეაქცია უნდა გამოეწვია ჩვენში, მაგრამ აქ ისევ და ისევ ჩვენი ორმაგი მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ – "ჩვენ" როგორც ქართველი და "ჩვენ" როგორც მკვლევარი – ეს სრულიად განსხვავებული პოზიციაა და სოციალური როლიც განსხვავებულია. ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს კონფლიქტი ამ ორ სოციალურ როლს შორის. მეორე არ უნდა განისაზღვროს პირველიდან გამომდინარე. ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს მკვლევრის, კვლევის განწყობა, რაც გულისხმობს ოსი მოსახლეობის მდგომარეობისა თუ ყოფის შესწავლას, მასზე დაკვირვებას. ამ შემთხვევაში ჩვენი განცდები, როგორც ოპოზიტივისა, ანუ ქართული ეთნიკურობიდან მომდინარე, არ არის პრიორიტეტული. უპირატესობა ენიჭება მკვლევრის სოციალურ როლს

– "მკვლევარობას" და ამან უნდა განსაზღვროს მთლიანად ჩვენი ქცევის ნორმები თუ მოქმედების ხასიათი. ბუნებრივია, რომ დიალოგში ან მთხრობელის მოსმენის პროცესში შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა გაჩნდეს, ზოგჯერ შეიძლება გამონათქვამს საერთოდ არ ვეთანხმებოდეთ, სრულიად რადიკალური აზრი გვქონდეს იმის შესახებ, რასაც მთხრობელი ყვება – მაგრამ ასეთ დროსაც კი ვალდებული ვართ სწორედ მკვლევარის თვალით შევხედოთ და შევაფასოთ მისი განცდები, თანავუგრძნოთ მთხრობლის პრობლემებს წმინდა პიროვნულ დონეზე, რადგანაც ის ამგვარად ხედავს სიტუაციას, მისი დასკვნებიც ამგვარია და არა ისეთი, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. მაგ.: – ოს მთხრობელს მიაჩნია, რომ "ქართველები ავიწროებენ მათ (ქართულ–ოსურ კონფლიქტზეა საუბარი), რომ პანკისის ხეობაში ქართველები "ქისტების მხარეზე არიან, მათ უჭერენ მხარს და ა.შ." ამ შემთხვევაში ჩვენ გვესაუბრება მთხრობელი რომელიც არის დათრგუნეილი, ეკონომიკურად გაჭირვებული, დაბეჩავებული, შეშინებული ადამიანი, მისი სულიერი წონასწორობა დარღვეულია. "აქ და ამჟამად" ვითარებაში ჩვენ ყოველმხრივ უნდა თანავუგრძნოთ მას. ჩვენი გაგება და თანაგრძნობა უნდა გამოვხატოთ როგორც სიტყვიერად, ასევე არავერბალურად ჩვენი ჟესტებით და მიმიკით. რასაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თანაგრძნობის გამოხატვაში. მთხრობელის განცდების ასე 'შეუფასებლად აღქმას", 'შემწყნარებელ დამოკიდებულებას" თანაგანცდას უწოდებენ და იგი ფსიქოლოგიაში ემპატიად (empaty) არის ცნობილი. ამ შემთხვევაში ემპატიაში იგულისხმება დამოკიდებულების ისეთი ფორმა, როდესაც მკვლევარი პირად ინტერესებს თითქმის ამუხრუჭებს, გადააქვს ის უკანა პლანზე და უპირატესობას ანიჭებს პარტნიორის ინტერესს. პარტნიორი მთხრობელია და იგი ყოველთვის მართალია, თუ კი ასეთ დროს შეიძლება სიმართლესა და არასიმართლეზე საუბარი. რა ფორმითაც უნდა გამოხატოს მთხრობელმა თავისი დამოკიდებულებები და განცდები ჩვენსა თუ ჩვენი ჯგუფის მიმართ, იქნება ეს აგრესია, წუხილი, ირონია თუ მისთ. ჩვენთვის ის ყოველთვის მოსმენისა და თანაგრძნობის სუბიექტად უნდა დარჩეს. როდესაც ჩვენ ვივიწყებთ ამ სიტუაციაში ჩვენს ეთნიკურობას, პიროვნულ პრინციპებს, ვისმენთ ჩვენთვის ავტორიტეტული პირის

მისამართით გამოთქმულ საყვედურს, მისი საქმიანობის ნეგატიურ შეფასებას, ჩვენ თითქმის ვბოჭავთ ჩვენ გრძნობებსა და თავმოყვარეობას. მაგრამ ამ დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ეტაპია ის, რომ მთხრობელი განვაწყოთ ჩვენთან საურთიერთოდ, რათა მის მიერ გამოთქმულ აზრს სიღრმისეულად ჩავწვდეთ; ამოვიცნოთ ის ქვეტექსტები და ფარული ტენდენციები, რაც არის მისთვის მამოძრავებელი. ჩვენი მიზანი არ არის მისი გამართლება – გამტყუნება. არ უნდა შევეცადოთ, მთხრობელს თავს მოვახვიოთ ჩვენი აზრი ან შევცვალოთ მისი დამოკიდებულებები.

ურთიერთობის ამგვარ ფორმაზე აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება, ვინაიდან ზემოთ აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ რთული ეთნიკური ურთიერთობებისა და დაძაბულობის მქონე რეგიონში, როგორიც არის პანკისის ხეობა, შეიძლება სრულიად სხვაგვარად წარმართოს მკვლევარის ან ექსპედიციის მშვიდობიანი მუშაობის პროცესი. მაგალითად მაღალი რისკის ფაქტორით გამოირჩევა პანკისის ხეობაში. მთხრობელმა, შესაძლოა, სრულიად გახსნილად განაცხადოს "გარე ჯგუფზე", "დაპირისპირებულ" ეთნიკურ ჯგუფზე, მაგალითად ასეთი რამ, რომ "სუყველა ამოსახოცნი არიან", "ერთ დღეს უნდა გაწყვიტო ყველა" და მისთ. სუბიექტურად ეს ძალიან მძიმე მოსასმენია და საპასუხო რეაქციის მოთხოვნილება ჩნდება, თუნდაც სრულიად არაკონფლიქტური პასუხით – "რატომ ხართ ასე განრისხებული, აგრესიული" და ა.შ. ამგვარი ჩართვაც კი მთხრობელში გამოიწვევს გამოთქმული აზრის დასასაბუ-თებელი ახალი არგუმენტების მოშველიების მოთხოვ-ნილებას, რაც უფრო გაამწვავებს ვითარებას. თანაგანცდა – ემპატია კი გაანეიტრალებს მის მღელვარებას. თქვენ იზიარებთ მის განცდებს და არა მის მოსაზრებას.

როგორც ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პატრიარქი კ. როჯერსი აღნიშნავს, "ყოველ მეცნიერულ ცოდნას აქვს ერთი და იგივე წარმომავლობა, უფრო ზუსტად დამკვირვებლის უშუალო გამოცდილება"[9]. როგორც ეთნოლოგიაში, ასევე ფსიქოლოგიაში კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია დაკვირვების მეთოდი. "მეცნიერის უშუალო დაკვირვება არის საწყისი ფორმა, რომლიდანაც ვითარდება სხვა მეცნიერება

[9] Роджерс К., «Становление человека», გვ. 273.

და მეცნიერი. მიღებული მასალის აღწერა და ინტერპრეტაცია უკვე შემდგომი საფეხურია. ჰიპოთეზის შემუშავების შემდეგ მკვლევარი იწყებს მეცნიერული მასალის მოპოვებას, დასახული მიზნისაკენ სვლას, იმაზე დაკვირვებას, რაც, ჰიპოთეზიდან გამომდინარე, აუცილებელია საკვლევი ობიექტის შესასწავლად".[10]



ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განასხვავებენ დაკვირვების ორ სახეს: თვითდაკვირვებას და სხვათა დაკვირვებას. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დაკვირვების იმგვარ პროცესთან, როდესაც სუბიექტი რესპოდენტს იმგვარად წარმართავს, რომ მან გადმოგვცეს და აგვიწეროს შინაგანი განცდები, თავისი დამოკიდებულებები და გრძნობები რაიმეს მიმართ. ფაქტობრივად ეს არის "თვითაღქმა" (გ. მიულერი) და ამგვარი განცდის გადმოცემა, როგორც წესი, სუბიექტური ხასიათისაა; სუბიექტი აკვირდება თავის მდგომარეობას, თავის განცდებს და აგვიწერს მათ ჩვენ. არის მთელი რიგი განცდები, გრძნობები და დამოკიდებულებები, რაზეც პასუხის გაცემა მხოლოდ და მხოლოდ „მე"-ს შეუძლია. ეს ჩემი განცდაა და „მე" – სუბიექტი.

[10] Роджерс К., დასახ. ნაშრ., გვ. 273.

ვაკვირდები ჩემს განცდას და გადმოვცემ მას სიტყვიერად. მაგ.: ჩემი დამოკიდებულება რომელიმე ეთნოსის ან მისი რომელიმე წარმომადგენლის მიმართ. ბუნებრივია, რომ მხოლოდ „მე“ შემიძლია ამ ჩემს განცდაზე საუბარი; „ამგვარი განცდადი მასალა იწოდება ფენომენოლოგიურად მოპოვებულ ინფორმაციად და არ არსებობს არანაირი ინსტანცია ჩემი განცდების ობიექტურობის შემმოწმებელი“[11]. თვითდაკვირვების შედეგად მიღებული მასალის საინტერესო ნიმუშად გამოდგება თ. პედიგრიუს მიერ მოთხრობილი შემთხვევა, სადაც კარგად ჩანს ის ორმაგი განცდა, რაც დამკვირვებლის მიერ თვითდაკვირვების შედეგად გამოვლინდა და სადაც გადმოცემულია დამოკიდებულება შავკანიანების მიმართ. მეცნიერი იკელევდა გენდერულ სტერეოტიპებს და როგორც თავად გვიყვება, „მას ცნობიერად აზრადაც არ ჰქონია შავკანიანების მიმართ რაიმე უარყოფითი წინასწარი განწყობა, მაგრამ ამის მიუხედავად, როდესაც შავკანიანს ხელს ჩამოართმევდა, როგორც წესი, ეუფლებოდა ზიზღის გრძნობა. მკვლევარის აზრით, ეს გრძნობა ბავშვობიდან არის დალექილი“[12]. აღნიშნული მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ თვითდაკვირვება ძალზე საინტერესო მასალას გვაწვდის, როდესაც გვაინტერესებს სუბიექტის გაცნობიერებული დამოკიდებულება რაიმეს, ამ შემთხვევაში შავკანიანების მიმართ. ამავე დროს, მიუხედავად ამგვარი გაცნობიერებული დადებითი დამოკიდებულებისა, („მე აზრადაც კი არ მქონია რაიმე უარყოფითი წინასწარშექმნილი განწყობა შავკანიანების მიმართ“) მასში აღმოცენდა სპონტანური უარყოფითი რეაქცია, რაც ზიზღით კვალიფიცირდება. თვითდაკვირვების შედეგად ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ვიმსჯელოთ საკუთარ შეხედულებაზე, მოვახდინოთ თვითიდენტიფიკაცია, გამოვთქვათ გაცნობიერებული აზრი ღირებულებათა სისტემის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლევარს აინტერესებს მთხრობლის შინაგანი განცდები და დამოკიდებულებები რაიმე თემასთან თუ საკითხთან დაკავშირებით, იგი მასალას თავად აწოდებს მთხრობელს. ასეთ ვითარებაში თვითდაკვირვების შედეგად მიღებული მასალის (შინაარსებს) ემატება კონკრეტულ სიტუაციაში მეცნიერის უშუალო დაკვირვების მონაცემები.

---

[11] ნათაძე ნ. “ერი და ეროვნული კულტურა“, “მეცნიერება“, 1988, გვ. 9.

[12] Майерс Е., Социальная психология, С-Петербург, 2000 г. стр. 414.

მეცნიერი აკვირდება მთხრობლის ემოციურ მდგომარეობას, ჩაინიშნავს მისი გამონათქვამების სიმძაფრეს, სიტყვიერი თუ არავერბალური ქცევის გამოვლინებას, რაც აისახება საბოლოო ანალიზში. ამრიგად, თვითდაკვირვებიდან მიღებულ მასალას ვამდიდრებთ "სხვათა" დაკვირვებით – ეს სხვა კი მკვლევარია, რომელიც ასევე მონაწილეა ამ აქტივობის. ამ შემთხვევაში,



ალბათ, არ ხერხდება მკვეთრად გაიმიჯნოს დაკვირვების ეს ორი სახეობა. ველზე მუშაობისას დაკვირვება იღებს სწორედ ამგვარ შერწყმულ ფორმას, უფრო მეტიც, მკვლევარი ჩართული დამკვირვებელიც არის. ჩართული დაკვირვება გულისხმობს უფრო ხანგრძლივი დროით დაკვირვებას. თუ სხვა შემთხვევაში დაკვირვების პროცესი რაღაცა დროით და სივრცითი პარამეტრებით იყო შემოსაზღვრული, ჩართული დაკვირვება ამ მხრივ უფრო მეტი თავისუფლების საშუალებას იძლევა. მკვლევარი ასეთ შემთხვევაში უშუალოდ არის ჩართული ობიექტის ცხოვრებაში, იმ სოციალურ ყოფაში, რომელსაც ის შეისწავლის – ეს შეიძლება იყოს ერთი ოჯახი, ეთნიკური ან კონფესიური ჯგუფი და მისთ. ამგვარი ჩართული დაკვირვება გრძელდება

ხანგრძლივი დროის მანძილზე. საზღვარგარეთის ეთნოლოგიურ მეცნიერებაში "ჩართული დაკვირვების ვადა მინიმუმ 6 თვით არის განსაზღვრული იმისათვის, რომ მეცნიერმა განიცადოს ადაპტაცია უცხო გარემოში და შემდგომ ამისა კიდევ 1 ან 2–3 წელი უნდა დაჰყოს ველზე, რათა მოპოვებული მასალა სრულყოფილი იყოს".[13] თავისთავად ცხადია რომ თუ მკვლევარს მისთვის უცხო კულტურაში უწევს მუშაობა, მისი ადაპტაციის პერიოდი უფრო რთულია და მეტ დროს მოითხოვს. მართალია, პანკისის ხეობაში მომუშავე ექსპედიციის წევრები ქართველები ვიყავით და



საქართველოს ტერიტორიაზე გვიწევდა მუშაობა, რაც, ერთი შეხედვით, ადაპტაციურ სიძნელეს არ გვიქმნიდა, მაგრამ მაინც, თუ საკუთარ განცდებზე შევაჩერებთ ყურადღებას, თვით-დაკვირვებიდან გამომდინარე, ჩვენი სულიერი მდგომარეობა გარკვეული დაძაბულობითა და შიშის განცდით შეიძლება აიწეროს. ფაქტობრივად ჩვენი ჯგუფი მუშაობდა რეგიონში,

[13] მელიქიშვილი ლ.,"საველე მუშაობის მეთოდები კონფლიქტურ საზოგადოებაში", თბ., 2000 წ.

რომლის მეზობელ მხარეში იმი იყო. ექსპედიციის წევრები მშვიდობიანი გარემოცვიდან რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაში მოხვდნენ, როდესაც ყოველი დღე რაიმე პოლიტიკურ სიურპრიზს ჰპირდება. ექსპედიციის წევრებიცა და რეგიონის მოსახლეობაც როგორც წესი, ამ „მოლოდინის" განცდის ქვეშ იმყოფებოდა. პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა არ იძლეოდა ყურადღების მოდუნების არანაირ საშუალებას – „ყვავილები არ იცდიან".

ექსპედიციის „დამკვირვებლები" არაერთგზის აღმოჩნდნენ ისეთ ვითარებაში, როდესაც დაკვირვების პროცესი მკვლევრისგან მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებდა. ჩვენ შევეცდებით აღვწეროთ კონკრეტული შემთხვევა და შეძლებისდაგვარად ვაჩვენოთ მუშაობის პროცესი, როდესაც მთხრობელთან მკვლევრის ურთიერთობა და დაკვირვება მოიცავდა როგორც სხვათა დაკვირვების, ისე თვითდაკვირვების ელემენტებს. მთლიანობაში კი ეს ურთიერთობა – მუშაობის პროცესი ინტერვიუს სახეს ატარებდა. ეს იყო აქტიური მოსმენის საფუძველზე აგებული დიალოგი, რომლის დიქტოფონზე ჩაწერა მოხერხდა. მთხრობელი ქისტი იყო, მიეკუთვნებოდა ჩვენგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს. დიქტოფონის საშუალებით მოვახერხეთ დიალოგის სრულად ჩაწერა. სურათი ასეთია – სოფელში, ერთ-ერთი სახლის წინ, ჭიშკართან, მორზე ჩამომსხდარი არიან მთხრობელი (ქისტი ქალბატონი) და დამკვირვებელი ქართველი. პირველ ეტაპზე ჩვენი მიზანია დავიმსახუროთ ნდობა, მთხრობელს გაუჩნდეს სურვილი გვესაუბროს და არ "ჩაიკეტოს". ჩვენ გვაინტერესებდა დაგვედგინა, თუ როგორია ქართველების მიმართ სოციალური დისტანციის ხარისხი; რა სახის ურთიერთობაა მათთვის მისაღები ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ან საზოგადოდ ჯგუფთან. ე.წ. გამოცნაურების შემდეგ, რაც ძირითადად მაინც ყოფით პრობლემებზე და საერთო სირთულეებზე საუბრით იწყება, ჩვენ ვუხსნით მას, თუ რატომ ჩამოვედით, რა გვაინტერესებს. ინტერესების გაცნობისას შეიძლება მახვილები ოდნავ გადავაადგილოთ, მთხრობლისთვის უფრო მისაღები შინაარსი მივცეთ ჩვენ საქმიანობას; შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მთხრობელი არ შეშინდეს, არ დაიძაბოს და მაქსიმალურად მოგვაწოდოს ჩვენთვის საჭირო მასალა, გამოგვცეს თავისი განცდები, შინაგანი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ,

რაც მას მხოლოდ თვითდაკვირვებით და თვითაღქმით ეძლევა ჩვენს შემთხვევაში. დასაწყის ეტაპზე ქალბატონი თითქოს უხერხულად გრძნობდა თავს. ის უფრო გვერდზე იყურებოდა – "აბა რა გითხრათ, მშვიდობიანად ვცხოვრობთ ქართველებთან, მეზობლები არიან, რა გვაქვს გასაყოფი? კარგი მეზობლობა მყავს, არაფერი უჭირთ. ემეზობლობთ!"
" – ერთმანეთთან დადიხართ, ეხმარებით?!" – (დამკვირვებელი)
" – არა, მე სახლიდან არ გავდივარ, ჩემთან თუ მოვლენ. რომ გავიდე გამჭორავენ, აუცილებლად რამეს იტყვიან". (უხერხულად გრძნობს თავს, გვერდზე იყურება)
– "ვინ იტყვიან, მეზობლები?" (დამკვირვებელი)
– "ჰო, მეზობლები, ჭორიკნები არიან".

ჩვენ ამჯერად პაუზა ვამჯობინებთ; ამ პაუზით არ ვაწყვეტინებთ აზროვნების პროცესს. (არ ჩავერევით ჩვენი მოსაზრებით, როგორც არის –"ეს რა ცუდი მეზობლები გყოლია, ამათზე ამბობ, რომ კარგები არიან, რა მაგათი საქმეა, ნუ მიაქცევ ყურადღებას", – ამ უკანასკნელ ფრაზას რჩევის სახით საკმაოდ ხშირად იყენებენ ჩვეულებრივი დიალოგის დროს. ჩვენ შემთხვევაში ამგვარი წინადადება მხოლოდ აზრს გააწყვეტინებს მთხრობელს და მას არანაირი შედეგი არა აქვს). პაუზის შემდეგ მთხრობელი აგრძელებს თავის შეწყვეტილ აზრს – "გამჭორავენ, აუცილებლად რაიმეს იტყვიან". ასეთ დროს უფრო მისაღებია პარაფრაზი – გაგჭორავენ?!, რაც იმის მანიშნებელია ჩვენი მხრიდან, რომ დავაზუსტეთ მისი ნათქვამი; მაგრამ არ უნდა გამოვხატოთ, არც აღშფოთება, არც გაკვირვება, არც ირონია. უბრალოდ მშვიდად გავიმეორებთ ბოლო სიტყვასა თუ ზოგჯერ წინადადებასაც – მხოლოდ უკეთ რომ გავიგოთ, იმის დასტურად. ქალი მთხრობელი ჩვენი ხელახალი შეკითხვის შემდეგ ისევ აგრძელებს "ჭორაობის" თემას:
– "მეზობლები ჭორიკნები არიან, ოღონდ აჭორავე და რამე ცუდი თქვან! ისე ქისტებიც ჭორაობენ, ჩვენებურები კიდევ უარესი არიან, ჩვენი ქალი თუ ყველაფერს წესზე არ შეასრულებს, მაგათ წესებს არ დაიცავს, არ შეიძლება". როგორც ვნახეთ, აქ უკვე შემოიტანა დიალოგში ნაცვალსახელი "მაგათი" და არა "ჩემი" ან "ჩვენი". აქ თითქოს გამოყო თავისი თავი იმ წესების დამცველი ჯგუფისგან. უკმაყოფილოა, რომ მისი უფლებები იზღუდება. ამოოხვრით განაგრძობს:

— აბა, ქართველებიც მჭორავენ და ქისტებიც (იცინის) — ფაქტობრივად, რაც მას აღიზიანებს და არ მოსწონს ქართველ მეზობლებში, იგივე აღიზიანებს ქისტებშიც. მთლიანობაში იგი ერთნაირად აღნიშნავს ამ უარყოფით თვისებას როგორც ქისტებთან ისე ქართველებთან. შეიძლება ითქვას, რომ აქ არ გამოიკვეთა მისი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველებისადმი, (იგულისხმება დიალოგის ეს მონაკვეთი). მოგვიანებით, ჩვენი შემდგომი მუშაობის პროცესში, სხვა პრობლემებზე საუბრისას იგი უფრო მძაფრ დამოკიდებულებას გამოხატავს ქართველების მიმართ და არგუმენტირებულად ცდილობს, დაასაბუთოს ამგვარი მოსაზრების სისწორე.

ამ მასალიდან ნათლად ჩანს ინფორმატორის მიერ, ჩვენი დახმარებით თავისი აზრის თანდათანობითი წარმოჩენა, რაც, რა თქმა უნდა, გამოხატავს მის რეალურ დამოკიდებულებას სხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ — ესაა ფაქტიური მასალა. ფაქტიური მასალის დაგროვება კი სრულფასოვანი კვლევისათვის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ბუნებრივია, აქ იგულისხმება ის ფაქტიური მასალა, რომელზეც აიგება სამეცნიერო ნაშრომი და საერთოდ პრობლემის შესწავლა. მაგრამ, როგორც ა. პუანკარე აღნიშნავს, "მეცნიერება აიგება ფაქტებზე, როგორც ქვებისაგან აიგება სახლი, მაგრამ ფაქტების მოგროვება ჯერ კიდევ არ არის მეცნიერება, ისევე, როგორც ქვების გროვა არ არის სახლი."[14] პანკისის ხეობაში არსებული რთული სიტუაცია არ იძლეოდა ყურადღების მოდუნების საშუალებას, რაც, პირველ რიგში, აუცილებლად საჭიროებდა მკვლევერისგან დიდ ძალისხმევას და დროის მაქსიმალურად გამოყენებას; ამავე დროს, აუცილებელი იყო გვქონოდა "კაბინეტური" მუშაობის პროცესში შემუშავებული გეგმა-ჰიპოთეზის ალტერნატივაც. ისეთ რთულ გარემოცვაში, როდესაც მცირე დროით თუ შეიძლებოდა გაჩერება რომელიმე ობიექტზე ან სოფელში, ექსპედიციის წევრები ცდილობდნენ ერთმანეთისთვის საჭირო მასალის შეგროვებას, მთლიანი მიზნის გათვალისწინებით. ეს იყო მუშაობა „ყველა ერთმანეთისთვის". თუ, მაგალითად, ფსიქოლოგები ბავშვების ჯგუფში მუშაობდნენ, ხატავდნენ ან საუბრობდნენ მათთან, ეთნოლოგები კი ამ დროს მთხრობელების ჯგუფში მუშაობდნენ ე.წ. სოფლის თავშეყრის ადგილზე. შემდგომ ეტაპზე ფსიქოლოგები ვეცნო-

[14] М а й е р с Е., Социальная психология, С. Петербург. 1997. გვ. 58.

ბოდით ეთნოლოგების ჩანაწერებს და მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების თანახმად კიდევ ერთხელ ვაზუსტებდით ფაქტების ინტერპრეტაციის სიზუსტეს. ეთნიკური დაპირისპირება, წყლის უკმარისობა, განუწყვეტილი დაშინება, დარბევა, საქონლის მოტაცება, სოფლის დაბომბვის შიში, გატაცებული პირისთვის გამოსასყიდი თანხის მოპოვება და მისთ., როგორც წესი სხვადასხვა სოფელში განსხვავებული სიმძაფრით ხასიათდებოდა.

აქედან გამომდინარე ყველა კონკრეტულ ვითარებაში განსხვავებული იყო სოციალურ–ფსიქოლოგიური ატმოსფეროც და ჩვენი მუშაობის სტილიცა და გეგმაც ამას უნდა მისადაგებოდა. ველზე მუშაობის პროცესში ფაქტიური მასალის მოსაპოვებლად ეთნოლოგები მიმართავენ გავრცელებულ ე.წ გამოკითხვის მეთოდს (ინტერვიურება). ეს მეთოდი გულისხმობს ინფორმატორსა და მეცნიერ მკვლევარს შორის საუბარს, მაგრამ ფაქტობრივად ეს არის დიალოგი, რომელიც უპირველესად განსაზღვრულია მკვლევრისთვის საჭირო თემატიკის კითხვებით. მკვლევარი მთხრობელთან დიალოგში მაქსიმალურად ცდილობს შემოიფარგლოს კონკრეტულ კითხებზე პასუხით. თავის მხრივ, პასუხების გაცემისას მთხრობელიც „იფარგლება" – იგი უპასუხებს კითხვას, გადმოგვცემს თავის პირად ცოდნაზე აგებულ ფაქტებს. მაგ. თუ ჩვენ გვაინტერესებდა როგორ, რა ფორმით არის დღეს შენარჩუნებული პანკისელ ქისტებში რელიგიური რიტუალი, რესპოდენტი აგვიწერს ამ რიტუალის შესრულების წესებს; ჩვენ ვაზუსტებთ კითხვებით; თუ პასუხი არ არის ჩვენთვის ამომწურავი, ხელმეორედ ვაზუსტებთ, მასალას ვიწერთ მთხრობლის წინ, გზა–დაგზა დამატებით ვამოწმებთ რომელიმე დეტალს და ა.შ. ეს არის ფაქტების შედარებით მშრალი აღწერის პროცესი. მთხრობელი ზოგი რამის მომსწრე თავად არის, ზოგიერთი მოვლენა გადმოცემით იცის. ეს არის ფაქტის სუფთა სახით აღწერა, თითქმის ემოციების გარეშე. გამოკითხვის ამ მეთოდთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარი მასალა ნაკლებად სარწმუნოა, ნაკლებად კომპეტენტური, ვინაიდან ის მაინც მთხრობლის მეხსიერებასა და მის მოგონებებზეა აგებული, რაც ხშირ შემთხვევაში ფანტაზიით არის გამდიდრებული და შელამაზებული. საგულისხმოა ის მომენტიც, რომ მთხრობელი შესაძლოა თავისებურად მეტყველებდეს, და

ზოგჯერ გაძნელდეს აღწერილი ფაქტის ადექვატური გაგება. ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც მთხრობლის ცხოვრების წესი, ტრადიციული კულტურა ძალზე შორს დგას დამკვირებლის კულტურისგან. დიალოგი ასეთ დროსაც გარკვეული კანონზომიერების დაცვით მიმდინარეობს და, უპირველეს ყოვლისა, ის არ უნდა ჰგავდეს დაკითხვას. შესაძლოა, მშვიდობიან, დაუძაბავ გარემოში „დაკითხვის" ფორმამ არ მიიღოს მწვავე ხასიათი და არც მუშაობა, შეაფერხოს, რასაც დაძაბულ, ფეთქებად ატმოსფეროზე ვერ ვიტყვით. იქ, სადაც ექსპედიციის წევრებს უხდებოდათ ამგვარ გარემოში მუშაობა, "დაკითხვის" განცდა მთხრობელსა თუ ახლომახლო მყოფ სოფლის მოსახლეობაში დაძაბულ, უარყოფით, აგრესიულ დამოკიდებულებას იწვევდა. არის შემთხვევები, როდესაც სუბიექტს არანაირი სურვილი არ აქვს, ან ეშინია, ექსპედიციის წევრებთან თანამშრომლობის, მეტიც აგრესულად არის განწყობილი ყოველი უცხო, ჩამოსული პირის მიმართ, უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი ვითარება თავიდან ავიცილოთ. ყველა შემთხვევაში მკვლევარიც უგებს მას და სხვა მთხრობლზე გადაინაცვლებს. პანკისის ხეობაში ერთ–ერთ ოსებით დასახლებულ სოფელში (ქორეთი) გვქონდა ისეთი შემთხვევა, როდესაც მთხრობელი ძალზე აგრესიულად შეგვხვდა და საერთოდ თავდაპირველად არანაირი ყურადღება არ მოგვაქცია. ჩვენ არ გადავინაცვლეთ სხვა მთხრობელზე, ვინაიდან შესაძლებლობა გვეძლეოდა შევყოვნებულიყავით, თუნდაც გარემოს დათვალიერების საბაბით. იქვე, მახლობლად, იდგა სამოციქულო ეკლესიის შენობა და პირველი რამდენიმე კითხვა სწორედ ამ ეკლესიასთან დაკავშირებით დავუსვით. პასუხი ძალზე მოკლე და აგრესიული იყო. ქალი მამაკაცთან ერთად მუშაობიდა, იგი ენერგიულად ყრიდა ხორბალს საბძელში. მან თითქმის სალამზეც კი არ გვიპასუხა. ჩვენ უხერხულად ვიდექით იქვე ახლოს და მის მუშაობას ვაკვირდებოდით – ძირითადად ქალი აქტიურობდა მუშაობის პროცესში. დაძაბული სიჩუმე თავად მან დაარღვია, ისე რომ მუშაობა არც შეუჩერებია. მას აინტერესებდა, თუ საიდან ვიყავით, რა საქმეზე მოვედით და მისგან რა გვინდოდა. როდესაც გაიგო, რომ თბილისიდან ვიყავით ჩასულები, არ დააყოვნა და სრულად გახსნილად გადმოვიდა „შეტევაზე". მისი გულისწყრომა და სიბრაზის მიზეზი იყო სოფლის

მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური პირობები და სრული უყურადღებობა ხელისუფლების მხრიდან. ჩამოსულები, თანაც თბილისიდან ანუ ცენტრიდან, მისთვის იდენტიფიცირებული იყო ხელისუფლებასთან და, როგორც იტყვიან, ყველა ჯოხი ჩვენზე გადატყდა, არც ჩვენი ქონიკურობა– ქართველობა დარჩა ხელშეუხებელი: "ქართველები ხართ და აბა მე რა უნდა გითხრათ, თვითონ ვერ ხედავთ, სოფელი რა დღეშია!"; "ნეტავი თქვენ რა უნდა გაგვიკეთოთ, მთავრობამ განა არ იცის? არ სცალია ჩვენთვის"! უსაყვედურებს მთავრობას, ასახელებს გვარებს – "ლტოლვილები (იგულისხმება ჩეჩნები) მიიღეს (ირონიული ტონით), რა ქნალვლებათ, საჭმელი არ აქვთ ამათთვის თუ სასმელი? თავისი ხალხისთვის ვერ უჭმევიათ!. საკუთარი ხალხი მშიერი ჰყავთ, ჩეჩნებს უხმატკბილებენ, მაგათზე ზრუნავენ. დაავიწყდათ, აფხაზეთში რაც ქნეს? სოხუმელებს რა უქნეს, ეგ ქალი მოგიყვებათ". გვითითებს ქალზე, რომელიც ჩუმად ზის, ოდნავ უხერხულად, მაგრამ ამ უხერხულობაში იგრძნობოდა, რომ მოსაუბრეს ყველანაირად მხარს უჭერდა. ეს იყო ლტოლვილი სოხუმიდან. იგი თავად ჩაება საუბარში:

– "ამ ყრუ სოფელში ვარ სოხუმიდან წამოსული, ოსებმა შემიფარეს, ქმარი იქ დამეღუპა, არავის არ ვახსოვარ, შვილიც ჩემთან არის, გოგონა! წელიწადი ისე გავა, არავინ არ იკითხავს, როგორ ხართ!".

დიალოგის განხილვისას ადვილი მისახვედრია, რომ საუბარი უფრო მონოლოგის ხასიათს ატარებდა, მოსაუბრე ქალისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტს, რომ მას მსმენელები ჰყავდა, მსმენელები, რომელთა მიმართაც, ნაწილობრივ ეროვნებიდან და ნაწილობრივ "ოფიციოზიდან" გამომდინარე, მას გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა, რაც კიდეც ჩამოაყალიბა თავის დიალოგში. ამგვარი დიალოგი და მთხრობელთან ურთიერთობა ფსიქოლოგისათვის ზედმიწევნით საინტერესოა, ვინაიდან იგი იძლევა, ერთის მხრივ, საინტერესო მასალის მოპოვების საშუალებას (ჩვენ აქ მოვიყვანეთ ამ დიალოგის მხოლოდ ერთი ნაწილი) და მეორეს მხრივ, ფსიქოლოგებს საშუალება ეძლევათ ეს დიალოგი ფსიქოთერაპიული ტექნიკის გამოყენებით ისეთნაირად წარმართონ, რომ მთხრობლის ამგვარი აგრესია გაანეიტრალონ, ჩააცხრონ. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ასეთ ვითარებაში

ყოველთვის იქმნება მკვლევრის მხრიდან უშუალოდ აზრის გამოთქმის საშიშროება – მოცემულ შემთხვევაში მაგალითად განსხვავებული მოსაზრება, თუნდაც იმის თაობაზე, რომ "ჩვენ არ ვართ ხელისუფლება, ჩვენც ასევე მძიმე მდგომარეობაში ვართ და რატომ უნდა ავიტანოთ საყვედურები?!" ასევე სრულიად განსხვავებული იყო ჩვენი დამოკიდებულება ჩეჩენი ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, "აქ და ამ დროს" სიტუაციაში მხოლოდ და მხოლოდ მთხრობლის პოზიციაა მისაღები და არანაირი საპირისპირო არგუმენტი არ გამოგვადგება, თუნდაც ჭეშმარიტი და უტყუარი. ველი არ წარმოადგენს აზრების დასაბუთების არეალს. ჩვენთვის ველზე მუშაობა არის მხოლოდ ფაქტების მოპოვების საშუალება და ცდის პირთან გულისხმიერების გამოხატვაზე აგებული ურთიერთობა. ურთიერთობის სხვა ფორმა აქ მიუღებელი და არაპროფესიულია.

როგორც მოველოდით, დიალოგმა სახე იცვალა. დასასრულს, მთხრობელმა ქალმა გააცნობიერა, რომ ის მასპინძელია, რომ "ცუდად გაგვიმასპინძლდა", რომ სამუშაო ჰქონდა, ხორბალი სასწრაფოდ უნდა დაებინავებინა. ტონი შეიცვალა, მოგვიბოდიშა, თავის მართლებაც დაიწყო:

–"თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ მოხვედით მაინც ჩვენთან, სხვას სულ არ ვედარდებით, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვართ, სტუმარსაც კი ვერ ვეცით პატივი ... ა. შ."

"პირველი, რაც მკვლევრებისათვის მთავარია და ფსიქოლოგიური მეთოდით გამართლებული იყო, არის ის, რომ მთხრობელს მისცეს საშუალება გამოთქვას თავისი სათქმელი ისე, რომ არ შეაწყვეტინო; მეორე – არ აუხსნა არაფერი, სანამ თვითონ არ მოგთხოვს ამას; მესამე – არ გაამტყუნო მისი ქცევა, მოთმინებით მოისმინო, უთანაგრძნო და არ ეკამათო"[15]. მთხრობელთან ამ დამოკიდებულების ფორმამ ის დადებითი შედეგი გამოიღო, რომ უპირველეს ყოვლისა, მას ჩვენთან ურთიერთობამ არ გაუჩინა დამატებითი უარყოფითი ემოციები, პირიქით გარკვეულწილად განიტვირთა კიდეც ჩვენთან საუბრის პროცესში, დაიცალა უარყოფითი ემოციებისაგან, რაც კარგად გამოჩნდა ფინალურ საუბარში, როდესაც მან თავი იმართლა იმის გამო, რომ კარგად ვერ

[15] მელიქიშვილი ლ., საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში, 2000 წ. თბილისი, გვ. 39.

შეასრულა მასპინძლის როლი. ამ როლის შესრულების იმპულსი მისცა სწორედ თანაგრძნობის დიალოგმა. მას სურვილი გაუჩნდა თავის მხრივ რაღაცნაირად პატივი ეცა ჩვენთვის, ეპასუხა ჩვენ თბილ დამოკიდებულებაზე.

მუშაობის პროცესში არაერთგზის მოგვეცა საშუალება დავრწმუნებულიყავით ემპატიური მოსმენის ეფექტიანობასა და წარმატებაში. ამგვარი დამთმობი პოზიციისადმი პრიორიტეტის მინიჭება და მზაობა ეთიკურადაც და წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც მისაღებია. იგი მეცნიერულადაც გამართლებულია.

ჩვენ არაერთგზის ვისაუბრეთ იმ მოულოდნელობაზე, რაც ახლავს რთულ, მაღალი რისკის მქონე რეგიონში მუშაობას. ამგვარ გაუთვალისწინებელ, წინასწარ ძნელად დასაშვებ სიტუაციას ჰქონდა ადგილი ერთ-ერთ ქისტურ სოფელში, სადაც ჩვენი ექსპედიცია მუშაობდა. ის, თუ რომელ სოფელში ვიმუშავებდით, წინასწარ იგეგმებოდა. ექსპედიციის ხელმძღვანელის (ლ. მელიქიშვილის) და ექსპედიციის წევრის, წარმოშობით ქისტი ქალბატონის, ლ. მარგოშვილის[16] რეკომენდაციებით. შევარჩევდით მუშაობის გეგმას, გარკვეული დეტალებისა და პირობების გათვალისწინებით. შერჩეულ სოფელში ჩასული ჯგუფი, პირველ რიგში სოფლის თავშეყრის ადგილს მიაშურებს. ამ სოფელში ასეთი ადგილი იყო დიდი ჩრდილოვანი ხის ქვეშ, რომელის ძირში მდებარე მორზე ჩამომსხდარი იყვნენ სოფლის შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლები. იქვე, მოშორებით, მეორე მხარეს ახალგაზრდები იყვნენ შეკრებილნი. ისინი დაკვირვებით გვათვალიერებდნენ; ბუნებრივია, ჩვენ ინტერესი გამოვიწვიეთ მათში. ჩვენც გარკვეულად შევაფასეთ მათი რეაქცია ჩვენს მიმართ. აღსანიშნავია, რომ მათთან ამ პირველ „მიახლოებაში“ დადებითად იმოქმედა ზემოთ ნახსენები ქალბატონი ლ. მარგო-

[16] ლეილა მარგოშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი. იკვლევს ჩეჩნების, ინგუშებისა და ქისტების მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო და საზოგადოებრივ ყოფას, კულტურა–განათლებას, მიგრაციისა და ადაპტაციის პროცესებს. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ხუთი მონოგრაფია.

შეილის ჩვენთან ყოფნამ, რადგანაც მას პანკისში კარგათ იცნობენ და მრავალი ჩვენი ინფორმატორი მისი მოწაფე იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტმა თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი მუშაობის შესაძლებლობაზე რისკის პირობებში. ექსპედიციის წევრებს ბევრი სირთულე აგვაშორა. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. ქალბატონ ლეილასთან შეხვედრის სიხარული ბუნებრივად გავრცელდა მის თანხმლებ ქალებზეც და ჯგუფი ჩვენთვის „გაიხსნა"; ეს იყო პირველი წარმატება იმ „ნაბიჯ–ნაბიჯ სვლაში", რაც გვეხდებოდა ექსპედიციაში მუშაობისას. იმის მიხედვით, ვის რა საკითხზე უნდა ემუშავა, ჯგუფის წევრები შორიახლოს მთხრობლებთან განცალკავდნენ. აღსანიშნავია, რომ სახლში შესვლაზეც გარკვეულწილად სიფრთხილეს ვიჩენდით, ისევე როგორც ექსპედიციის წევრების ერთმანეთისგან ძლიერ დაცილებას – მარტო მუშაობას ვერიდებოდით. უფროსი მამაკაცები ძირითადად ქალბატონ ლეილასა და ექსპედიციის სხვა წევრებთან საუბრობდნენ. მათ რამდენიმე ქალიც შეემატა და ფაქტობრივად იქ "სამუშაო ჯგუფი" წარმოიქმნა. პირველ ეტაპზე საუბარი შეეხო ხეობის და კონკრეტულად სოფლის მძიმე მდგომარეობას, ჩეჩნეთის ომს, ლტოლვილებს, საყვედურს გამოთქვამდნენ ინფორმაციის ვაკუუმზე და ა.შ. სოფელში იყვნენ ლტოლვილები – ჩეჩნეთიდან ჩამოსული ქალები, ბავშვები და მოზარდები. პირადად მე იქვე ერთ-ერთ ჩეჩენ ლტოლვილ ქალთან ვმუშაობდი. იმის შესაძლებლობაც მომეცა, რომ დიქტოფონზე ჩამეწერა დიალოგი. ქალბატონს რუსულ–ჩეჩნურ ურთიერთობაზე სურდა საუბარი, ქისტურ სოფელში ცხოვრებაზე, ქისტურ–ჩეჩნურ დამოკიდებულებაზე და ა. შ. მთლიანობაში სიტუაცია ძალზე მშვიდობიანად გამოიყურებოდა. ჯგუფის ხელმძღვანელი ფოტოფირზე იღებდა მუშაობის პროცესს და მისთვის საჭირო მასალას. იქვე მდგომმა ბავშვებმა ლ. მელიქიშვილი ფოტოგრაფად აღიქვეს, სთხოვეს გადაღება და თან გამოკითხეს რა ეღირებოდა. როდესაც გაიგეს, რომ ფოტოს ყოველგვარი საფასურის გარეშე მიიღებდნენ დიდი აჟიოტაჟი ატეხეს, ყველამ მოინდომა ფოტოზე ფიქსაცია და მიაღწიეს კიდეც ამას. (ესეც ერთ–ერთი მეთოდია სოფლის მოსახლეობასთან ურთიერთობის საშუალებისა). უცებ ერთი გოგონა (ჩეჩენი ლტოლვილი) დაახლოებით 8–10 წლისა მიუახლოვდა ჩვენს "ფოტოგრაფს" და სთხოვა გადამიღეთ სურათი, მაგრამ ცოტა დამიცადეთ,

ჩემს ძმებსაც მოვიყვანო,– ლ. მელიქიშვილი რა თქმა უნდა – დაეთანხმა მოეცადა მათთვის.

ცოტა ოდენი ხნის შემდეგ გამოჩნდა ჩეჩენი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთაც უკან ის გოგონა მოყვებოდა. ახალგაზრდები ძალზე აგრესიული ტონით მიუახლოვდნენ ლ. მელიქიშვილს, გამოსტაცეს ფოტოაპარატი და აგრესიულად მიმართეს თუ სოფელს უმალ არ დატოვებდა, რაც მოხდებოდა აღარ აგებდნენ ამაზე პასუხს. (აღსანიშნავია, რომ ეს სოფელი [წინუბანი] შემდეგში ცნობილი გახდა, როგორც გატაცებულ ხალხთა გადამალვის ადგილი, ყოველ შემთხვევაში, ყველა გატაცებული ადამიანის კვალი ამ სოფელში წყდებოდა. ამავე სოფელში ცხოვრობდნენ არაბებიც). ლ. მელიქიშვილმა, თითქმის ინსტიქტურად უკან წაართვა ფოტოაპარატი და დაუწყო ახსნა–განმარტება, რომ ის როგორც ფოტოხელოვანი მხოლოდ თავისი ფოტოალბომისთვის იღებდა სურათებს. ახალგაზრდები კი ძალიან დიდი აგრესიით უმტკიცებდნენ, რომ ის სტრატეგიულ ადგილებს იღებს. ახალგაზრდები როგორც სჩანდა არც ფიზიკურ შეურაცხყოფას მოერიდებოდნენ, რომ არა „ფოტოგრაფის“ ძალზე სწორი „უკანდახევის“ პოზიცია, რაც გამოიხატა არა აგრესიულ საპასუხო რეაქციაში, არამედ სოფლის მოსახლეობასთან აუღელვებელ დამშვიდობებაში. დაძაბული ურთიერთდაპირისპირების გაღვივების თავიდან ასაცილებლად ჩვენ კატეგორიულად მოგვთხოვა, სასწრაფოდ ჩავსხდარიყავით მანქანაში და გავცლოდით სოფელს. არანაირ თავის მართლებას ან ჩვენი მხრიდან რაიმეს დასაბუთების ცდას აზრი არ ჰქონდა. ფაქტობრივად, ეს იყო ახალგაზრდების მოთხოვნა, რომ წავსულიყავით იქედან და ჩვენც დავყევით მათ ნებას. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ახალგაზრდები ჩეჩენი ლტოლვილები იყვნენ. ჩვენი სახით მათ “უცხო“ ადამიანები დაინახეს, რომლებიც რაღაცას იწერდნენ, იღებდნენ ფირზე და რაღაცის მოსმენა სურდათ, რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიუროს სამსახურის აგენტებად აღგვიქვეს. ისინი გააღიზიანა იმან, რომ უფროსმა თაობამ გულთბილად მიგვიღო, რაც ამ შემთხვევაში „მტრის“ კეთილად მიღების ტოლფასი იყო. მეორეს მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სრულად მიუღებელი იყო ახალგაზრდობის საქციელი. ჯერ ერთი, მათ დაარღვიეს სტუმარმასპინძლობის ეტიკეტი, მეორეც „უფროს–უმცროსის“ ტრადიციული დამოკიდე-

ბულება, როდესაც უფროსს განსაკუთრებულად უნ
ანგარიშს და მესამე – ისინი თავად იყვნენ „ჩამოსულ
და ამდენის უფლება არ ჰქონდათ სოფლის თავკაცების
მთლიანად სოფლის მოსახლეობის მიმართ. სტუმარმაც
უნდა გადალახოს თავისი უფლებების საზღვრები. „მათ
უნდა გაებედათ, ჩვენი სოფლის პატივსაცემ სტუმრებს ას
უნდა მოქცეოდნენ“ გვიხსნიდნენ ისინი. სოფლის მოსახლ
ძალზე უკმაყოფილო იყო მათი საქციელით.

ჩვენი მოქმედება ამ ინციდენტის დროს სრულ
შეესატყვისა ურთიერთობის იმ კანონზომიერებას, რაზეც
ზემოთ ვილაპარაკეთ. ჯგუფმა არ მისცა საშუალ
აგრესიულად განწყობილ ახალგაზრდობას, განევითარებ
თავისი აგრესია, არ მისცეს ამის შემდგომი საფუძველ
საბაბი. რეალურად ახალგაზრდებმა გააპროტესტეს სურაც



გადაღება და შეიძლება ითქვას თვით სოფელში შესვლაც
და ამ ქცევას მიაწერეს, ამაზე ააგეს თავისი არგუმენტ
„ჩვენი“ – როგორც მტრებისა თუ როგორც ინფორმაც
ასალებად მოსული პირის ამგვარი აღქმა, ჩვენი ჯაშუშ

მოჩათვლა ამართლებდა მათ აგრესიას. მაგრამ მათ ხელთ არ ჰქონდათ არანაირი საამისო არგუმენტი. რა თქმა უნდა ცოტა ხანში გაირკვა, რომ ჩვენ არა ვართ აგენტები. რასაც ყველაზე მეტად ჩვენი ლტოლვილი ქალები უმტკიცებდნენ მათ. ჩვენი პროტესტი ან შეკამათება სრულიად სხვაგვარად წარმართავდა სიტუაციას, დაწყებულ დაძაბულობას კიდევ უფრო გაამწვავებდა. ჩვენი სიმშვიდით და გაცლით ინციდენტი ამოიწურა, დავემორჩილეთ და მხარი ავუბით უარყოფით რეაქციას იმით, რომ განვერიდეთ მას. მიუხედავად დიდი ხვეწნა–მუდარისა დავრჩენილიყავით სოფელში, ჩვენი ქცევა გამოხატავდა შეწუხებას, უკანდახევას. ასეთად წარმოჩინდა მუშა ჯგუფი იქ დამსწრე მოსახლეობის წინაშე. სწორედ ამან გამოიწვია მთელი სოფლის უარყოფითი რეაქცია ახალგაზრდობის ქცევაზე, რის შესახებაც ჩვენ მოგვიანებით შევიტყვეთ. სოფლის ძირითადი მოსახლეობა გვეპატიჟებოდა ისევ იმ სოფელში და ბოდიში შემოგვითვალეს ახალგაზრდების საქციელზე.

მომხდარი ინციდენტის განხილვამ ჩვენს ყოველდღიურ საღამო–შეკრებაზე უფრო ნათლად დაგვანახა ჩვენი მოქმედების სისწორე. ახალგაზრდული რადიკალიზმის და უფროს თაობასთან დაპირისპირების არაერთი შემთხვევა შეგვეიძლია მოვიყვანოთ. მოხუცები საყვედურს, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ახალგაზრდების "გამოხტომაზე". მთხრობელი – ახალგაზრდები მოხუცების მიმართ შემდეგნაირად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას – "ჩვენ კარგად ვიცით, თქვენ ვინც ხართ" (ანუ ჩვენი, ექსპედიციის წევრები). ახალგაზრდების განცხადების კონტექსტი გულისხმობს, რომ ისინი არ არიან ისეთი "გულუბრყვილნი და მიმდობნი, როგორც მოხუცები, მათ ვერ მოატყუებთ". თავის მხრივ უფროსები განიცდიან იმას, რომ ახალგაზრდებს "ტვინი გადაუბრუნეს" ვაჰაბიტებმა და სულ აღარ იცავენ ტრადიციებს, უფროსის პატივისცემა დაავიწყდათ".

პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ რეგიონში, სადაც ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა გვიწევს ძალიან დაძაბულ და სტრესულ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტებთან, პირველი კონტაქტი მთხრობელთან ისეთნაირად უნდა წავრმართოთ, რომ მას მოუნდეს ჩვენთან თანამშრომლობა, საუბარი; მთხრობლის გული უნდა მოვიგოთ, მკვლევარმა

ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ იგი არ განიხიბლოს მისით. ასეთ შემთხვევაში მისალმების შემდეგ პირდაპირ გადასვლა საქმიან დამოკიდებულებაზე არ არის გამართლებული. ჩვენ უნდა ორიენტაცია მოვახდინოთ, როდის იქნება შესაძლებელი საუბრის წარმართვა იქითკენ, რაც ჩვენ გვაინტერესებს. პირადად მე შემექმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც მასალის აღება მინდოდა იმ მთხრობლისაგან, რომელიც შრომაში იყო ჩართული, (ქალი რეცხავდა მატყლს სოფლის წყაროზე), მამაკაცი, მეუღლე, ეხმარებოდა მას და ორთავემ ძალიან მკაფიოდ მაგრძნობინეს, რომ შეიძლება წყლის დალევის საშუალება კი მომცენ, მაგრამ არანაირად არა აქვთ ჩემთან რაიმე ურთიერთობის გაგრძელების სურვილი. სალამზე მიპასუხეს, "წყლის დალევა შეიძლება, სასმელი წყალიაო" და გაგრძელეს საქმიანობა ისე, რომ არც გამოუხედავთ ჩემსკენ. მე დაღლილი, დასიცხული ადამიანის სახე მივიღე (შევეცადე, ყოველ შემთხვევაში). ბუნებრივია, არც დიქტოფონი ამომიღია და არც საწერი მოწყობილობა. ჩუმად ვიჯექი და იმედი რომ აღარაფრის მქონდა, შრომაში ჩაბმული ქალი თავად შემეკითხა — "ქალაქიდან ხართ?"- რომ დავეთანხმე, "დიახ, თბილისიდან ჩამოვედი–მეთქი", ამაზე პირდაპირ შეტევითი ინტონაციით შემდეგი კითხვა დამისვა, ირონიაგარეული ტონით: "რას ამბობენ იქ, თქვენთან, ომი და ლტოლვილები გვჭირდება ახლა ჩვენ?. აბა ეს საქმეა, ამოდენა ლტოლვილები რომ ჩამოასახლეს, თავის ხალხისათვის ვერ მოუვლიათ"! ხელები გაშალა და უფრო გაბრაზებით თქვა: "დიდი პატივით მიიღეთ ჩეჩნები, არ გეშინიათ, ჩვენ რომ დაგვარტყან? თქვენ რა გენაღვლებათ"?! "ხომ დაარტყეს შატილს"! მე თანაგრძნობით ვისმენდი ქალის საყვედურებს, რადგანაც მთავარი მიღწეული იყო — ის ალაპარაკდა. რადგან არავინ შეაწყვეტინა, გადავიდა თავისი სატკივრის აღწერაზე, ასახელებდა სოფლებს, სადაც მისი ახლობლები ცხოვრობენ და შეწუხებულნი არიან ომით, ლტოლვილებით. ამ საუბარში ომის თემა ლტოლვილებთან იყო ძირითადად დაკავშირებული. მე შევეცადე ჩამეწერა მისი პრეტენზიები, მაგრამ მან იუარა: "ჩასაწერად კი არ გეუბნები, რა უნდა ჩაწერო, ისეთს რას ვამბობ!" ვუთხარი, "სოფლის სახელები მინდა ჩავიწერო, მერე დამავიწყდება–მეთქი". არც ამან მიშველა, "–რად გინდა სოფლის სახელი, რაში გამოგადგება, ლტოლვილები ყველგან არიან, სადაც წახვალ,

მალე თბილისშიც ჩამოგივლენ!" ჩვენს საუბარში ქმარიც ჩაერთო. ასე, თანდათან, ორი მთხრობელი შევიძინე. მათ მოგვიანებით სხვებიც შემოუერთდნენ და ჩემი ქალთან საუბარი ჯგუფთან მუშაობაში გადაიზარდა. ჩვენ ფაქტობრივად გადავიყვანეთ მთხრობელი ერთი საქმიანობიდან მეორეზე და ეს გადასვლა იყო უმტკივნეული, ძალდატანების გარეშე.



მათთვის ეს საუბარი სასიამოვნო გამოდგა, რაც მათ სიტყვამრავლობაში გამოიხატა. აქ გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ ნაბიჯს, საწყის ქცევას და სწორად შერჩეულ სიტყვა-ინტონაციას, რესპოდენტის განწყობილებასა და მდგომარეობასთან თანხვედრა. "გრძნობადი, თანაგრძნობითი იდენტიფიკაცია სხვასთან იმის მანიშნებელია, რომ ის სხვაც ისეთივე თვისებებით არის აღჭურვილი, როგორც თქვენ თავად, სხვაც არის "თქვენ" და არამც და არამც "ეს" (это) თვალსაზრისით"[17]. ამგვარი ურთიერთობის ამოსავალი "მთავარი ზნეობრივი მოვალეობაა აბსოლუტური პატივისცემა მეორე ადამიანის პიროვნებისა"[18].

---

[17] B u b e r T. „9 and Thou " New Jork 1958

[18] ლ ი ე ე ხ უ დ ი ბ ე რ ნ ა რ დ, ადამიანის ცხოვრების გზა, აწყმო, 2002 წ., გვ. 162.

ზემოთ აღწერილი მეთოდების გარდა, პანკისის ხეობაში მომუშავე ფსიქოლოგები ვიყენებდით ე. წ. ჯგუფურ შეხვედრებს; ამგვარი ჯგუფები იწოდება "თავისუფალი დისკუსიის ჯგუფებად" და ჯგუფში მუშაობა მთლიანად ცენტრირებულია ჯგუფის წევრებზე. ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფრუსტრირებულია. ამის საფუძველს ქმნის ის გარემო პირობები და სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელშიც, მოცემულ მომენტში, იმყოფება მოსახლეობა, რაც ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს, როგორც მაღალი დაძაბულობის ზონა. მთხრობლისაგან მოპოვებული მასალა ამგვარი დასკვნის სრულ უფლებას გვაძლევს. რესპოდენტების მიერ გადმოცემულ შინაარსში, რა თემასაც უნდა ეხებოდეს ის, როგორც წესი, ასახულია პესიმიზმი, საყვედური დაუცველობის, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სიტუაციის უმართაობით გამოწვეული შიში და წარსულის ნოსტალგია, გაურკვეველი მომავალი. ამგვარ ვითარებაში მყოფ მოსახლეობასთან, ეთნოგრაფიული მუშაობის ფონზე თუ მოხერხდება ფსიქოთერაპიული ეფექტის მიღწევა, ეს ორმაგად ღირებულია. ასეთ შემთხვევაში მთხრობლისაგან საინტერესო მასალის მოპოვებაც ხერხდება. ამავე დროს, დისკუსის ჯგუფში მძიმე პირადი მდგომარეობის გადმოცემა გარკვეულწილად ამსუბუქებს მის სულიერ მდგომარეობას. ჯგუფური შეხვედრების ამოსავალი პრინციპი ის არის, რომ შევუქმნათ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანებს სანდოობისა და თანაგრძნობის მაღალი ხარისხი, ისეთი ატმოსფერო, რომელშიც მთხრობელი–ჯგუფის წევრი, თავს კომფორტულად იგრძნობს და არ მოერიდება ღიად, გახსნილად ისაუბროს თავის განცდებზე, უფრო ზუსტად იმის თაობაზე, რაც მას მოცემულ მომენტში აწუხებს. ჯგუფის წამყვანი, ანუ ფასილიტატორი, უადვილებს მათ ამგვარი განწყობის შექმნას. ფასილიტატორი თავისი ემპატიური მიდგომით და თანაგრძნობის დამოკიდებულების სტრატეგიით ერთვება ჯგუფის დისკუსიაში, მაგრამ ისეთნაირად, რომ არ ახშობს გამოთქმულ აზრს, არ უკეთებს მას ბლოკირებას (მაგ., ჩვენ ახლა შევწყვიტოთ საუბარი! გააგრძელოს მავანმა და მავანმა). წამყვანი ყურადღებით, გულისხმიერად უსმენს მთხრობელს და თუ კი ის თავად მიაქცევს ყურადღებას ჯგუფის "სხვა" წევრის გამონათქვამს, ფასილიტატორი ასევე

გადაინაცვლებს ახალ მთხრობელზე. „უნარი – იყო ურთიერთობაში გულისხმიერი და თანაუგრძნობდე მთხრობელს იმდენად მნიშვნელოვანია", რომ როგორც კ. როჯერსი აღნიშნავს, „თითქმის გადაფარავს ფსიქოლოგიურ და სამედიცინო ცოდნას"[19]. როდესაც ამგვარ ჯგუფში ჩვენ– ფასილიტატორს გვიჩნდება სურვილი, რომ აქტიურად დავეთანხმოთ ან, პირიქით,



შევეწინააღმდეგოთ მოსაუბრეს– ჯგუფის წევრს, ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ჩვენი ამგვარი ჩართვით მას ვერ დავეხმარებით აგრესიისა თუ პრობლემის მოხსნასა ან განეიტრალებაში. წაქეზება კი – „ყოჩაღ, ნამდვილად უნდა გადაუხადო სამაგიერო," „მე შენ ადგილზე არ შევარჩენდი" და მისთ., ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მის გაბრაზებას ვეთანხმებით, კიდევ უფრო მეტად ვაღვივებთ მის აგრესიას; თუ არ დავეთანხმებით, ის, თავის მხრივ, შეეცდება მეტი არგუმენტებით დაგვიმტკიცოს ჩვენ, და ამით თავის თავსაც, თუ რაოდენ მართალია თვითონ და რამდენად მტყუანია „სხვა".

[19] Роджерс К., Становление человека, Прогресс, М., 1994. г. стр. 328.

ასეთ ვითარებაში ჩვენ უნდა თანაუგრძნოთ მას, ემპატიურად განვიცადოთ მისი მღელვარება. ასეთ დროს ის თავად კიდევ ერთხელ, და არა მხოლოდ ერთხელ, გადახედავს თავის პოზიციას, გაანალიზებს სიტუაციას, აზროვნებას თუ გრძნობათა ლოგიკას ახალ კალაპოტში გადაიყვანს. ეს რთული პროცესია და მოითხოვს თავის მხრივ ჯგუფის წამყვანისაგან გარკვეული ტექნიკის ცოდნას. „ჯგუფური შეხვედრებიც" გარკვეულ გარემოებებში უნდა განხორციელდეს წესისამებრ. ჩვენ შემთხვევაში როდესაც, ჯგუფში გაერთიანებული, აგრესიული და ტრავმირებული მოსახლეობა, რაიმე პრობლემაზე მსჯელობდა, ამოსავალი პრინციპი იყო ამ აგრესიის განეიტრალება იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ასეთ ვითარებაში ჯგუფის წამყვანი მაქსიმალურად არის დამოკიდებული კონტექსტუალურად არსებულ სიტუაციაზე. მაგ., ჯგუფის წევრი ყვება, რომ მან ზუსტად იცის (გვარებსაც ასახელებს), თუ როგორ უსამართლოდ არიგებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომ ესა თუ ის პირი „ჯიბეს ისქელებს" ამით. იგი იმუქრება რომ შეუვარდება—უფრო სწორად, მას მიაჩნია, რომ უნდა შეუვარდეს და გადაუწვას სახლი ან რაიმე ამის მსგავსი ჩაიდინოს. ამ დროს საუბარი არ უნდა შევაწყვეტინოთ რაოდენ უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს ეს მოსაზრება, მთხრობელმა მაქსიმალურად უნდა გადმოსცეს თავისი უარყოფითი, აგრესიული დამოკიდებულება. ჩვენი მოსმენისა და თანაგრძნობის შემდეგ იგი შეეხება სხვა, უფრო ღრმა ურთიერთობებს. ამ დროს ჩვენ მთლიანად ამ მთხრობელზე ვართ ცენტრირებული და ჩვენი ურთიერთობის ფორმა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1) კეთილმოსურნეობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში;
2) მთხრობლის უპირობო მიღება, შეფასების გარეშე;
3) მოუსმინოთ აქტიურად ანუ მივცეთ მთხრობელს საშუალება გამოთქვას აზრი და გააკეთოს დასკვნა;
4) წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი მის ადგილზე, დავინახოთ ყოველივე ისე, როგორც ის ხედავს.

როდესაც ჩვენს წინაშე გამგები და არააგრესიული ადამიანია, დამცველი რეაქცია კლებულობს. „სამწუხაროდ, როგორც წესი, ადამიანების დიდმა ნაწილმა არ იცის საუბრისა და დიალოგის პროცესში მოსაუბრის მოსმენა და როგორც

წესი, მაშინვე შეყვასებაზე გადავდივართ" (კ. როჯერსი). მშრალი, პირდაპირი შეკითხვები არ არის რეკომენდირებული, სასურველი, მთხრობელთან მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით კი ეთნიკური ურთიერთობების შესწავლისას. ამგვარი პირდაპირი მიდგომა "ჩაკეტავს" მთხრობელს და მწირი მასალა გვექნება ხელთ; მაგალითად, სოციოლოგიურ ანკეტაზე მიღებულ მასალას ასეთი სახე ექნება:

რა ეროვნებას მიაკუთვნებთ საკუთარ თავს (ამას და ამას)

რა სარწმუნოების მიმდევარი ხართ (ამის და ამის)

გწამთ თუ არა ღმერთი (კი, არა)



ასეთ შემთხვევაში ერთის მხრივ პასუხები ისევე მშრალია, როგორც კითხვა. ყოველგვარი ემოციებისაგან და თანმდევი აზრებისაგან დაცლილი. მეორეს მხრივ, ამ ფორმით მუშაობა მოცემულ პირობებში არანაირ ფსიქოლოგიურ სამსახურს არ გულისხმობს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ რესპოდენტების დიდ ნაწილს, როგორც დაკვირვებამ აჩვენა,

ანკეტის შევსებას ნამდვილად ურჩევნიათ ჩვენთან უშუალო კონტაქტი და საუბარი. აქვე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო მთხრობელთან მუშაობის პროცესში კიდევ ერთ გასათვალისწინებელ მომენტს. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ უმჯობესია მთხრობელს მისთვის გასაგებად აეუხსნათ ჩვენი მუშაობის ხასიათი, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც კროსსკულტურალური სპეციფიკის გათვალისწინებით, ისეთი ტერმინებით, რომელიც გასაგები იქნება მისთვის, ვისთანაც ვაპირებთ მუშაობას. როგორც წესი, მთხრობელს აინტერესებს თუ რას მოითხოვენ მისგან, რა მიზნით და ვინ მოითხოვს ყოველივე ამას. თუ რამდენად „ეთიკურია“ მთხრობლისა და ფსიქოლოგების ექსპერიმენტში ჩართული ცდის პირის „შემოტყუება“, ეს სჩანს ბრიტანეთის ფსიქოლოგთა საზოგადოებისა 1991 წ. და აშშ-ს ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ 1999 წ. შემოტანილი დებულებიდან – უნდა იყოს სიმართლე და გამოიყენო ტყუილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამართლებულია მნიშვნელოვანი მიზნით და არა აქვს ალტერნატივა“[20]. ამგვარად ტყუილი დასაშვებია, მაგრამ მთხრობელის სპეციფიკა, თუ ის რა კულტურის წარმომად-გენელია და საზოგადოდ როგორია საკითხი, რაზეც უნდა ვისაუბროთ, სიმართლის თქმის დროს ჩვენი ქცევის სტრატეგიაში ხშირად შეიტანს კორექტივს. პირადად მე, გენდერულ პრობლემებზე მუშაობისას, მომიხდა ეროვნული უმცირესობის ქალებთან მუშაობა. თემა, ანუ საკითხი რაზეც უნდა მემუშავა, სრულიად უმტკივნეულოდ გამოიყურებოდა; სასურველი იყო ინტერვიუ, სურათის გადაღება, დიალოგისა და მოყოლილი ისტორიის დიქტოფონზე ჩაწერა. რეალურად ეს ისტორიები უნდა ყოფილიყო მასალა გარკვეული სამომავლო წიგნისთვის. ამდენად, სრულიად დარწმუნებულმა, რომ თემა უპრობლემო იყო და მოტივი სასიამოვნო – ნაამბობის წიგნში გამოქვეყნება, თავი აღარ დავიტვირთე „ალტერნატივის“ ძიებით და ისეთნაირად გავაცანი ვითარება, როგორიც იყო სინამდვილეში. აზერბაიჯანელმა ქალმა– მთხრობელმა, დიდსულოვნად მოისმინა ჩემი ახსნა, მერე გამიღიმა და მითხრა: „ვიცი, ვიცი, კორესპონდენტი ხარ გაზეთიდან, ნუ მატყუებთ. მე რაც მინდა, მაინც მოვყვები, არავისი არ მეშინია“. საბოლოოდ ძალზე საინტერესო მასალა მოვიპოვე,მისი,როგორც ქალის,ცხოვრებაზე; თუმცა,როგორც

[20] Майерс Е., დას. ნაშრომი, გვ. 5.

მოგვიანებით შევიტყვე, ახლობლებმა უსაყვედურეს, არაფერი არ უნდა მოგეყოლა, ხომ იცი, გაზეთში რომ დაწერის, არ არის კარგიო. ამდენად, ისე როგორც ყველგან და ყოველთვის, სიტუაციის შესატყვისი მოქმედებაა აუცილებელი, რაც თეორიული ცოდნის პარალელურად, გამოცდილებით შეიძინება.



ეთიკურია ტყუილი თუ ის იმ მიზანს ემსახურება, რომ არ გაალიზიანოს, არ შეაშინოს მთხრობელი. უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მთხრობელს შეუნარჩუნოთ დადებითი ემოციური მდგომარეობა. გარკვეული "ეშმაკობით" პანკისის ხეობაში მუშაობის დროს ჩვენმა "ფოტოგრაფმა" – ჯგუფის ხელმძღვანელმა ერთ-ერთ ახალგაზრდა ყმაწვილი ფოტოზეც კი აღბეჭდა. საქმე ის იყო, რომ მისი ჩაცმულობა და იერი ესადაგებოდა ვაჰაბიტების ჩაცმულობას და ამდენად, ჩვენი ექსპედიციისათვის საინტერესო იყო მისი ფოტო. ბუნებრივია, იგი არ დაგვეთანხმებოდა. მას რამდენჯერმე მიმართა მორიდებული თხოვნით ექსპედიციის ხელმძღვანელმა, "ფოტოგრაფმა", თითქოსდა "ფამილარული", მეგობრული ტონით, მაგრამ მისგან უარი მიიღო. რა არ ვცადეთ! ექსპედიციის

წევრი-ქალებიც კი მიეძალნენ და უთხრეს, რომ ასეთ ლამაზ კავკასიელ მამაკაცთან სურდათ სურათის გადაღება, მაგრამ მკაცრი უარი მიიღეს. ჩვენი "ფოტომოდელი (ვაჰაბიტი)" თავისი წვერით და სპორტულ ფეხსაცმელებში ჩატანებული შარვლით მაინც აღიბეჭდა ჩვენს ფოტოფირზე. ისეთი შთაბეჭდილება შექმნა "ფოტოგრაფმა", თითქოს ბაზრის სიტუაციის, დახლზე დაწყობილი საქონლის გადაღება უნდოდა. ასე მოვიპოვეთ ეს იმ დროისთვის მნიშვნელოვანი ფოტომასალა, რადგანაც ვაჰაბიტები ჯერ კიდევ იშვიათობა იყო ხეობაში. თავის მხრივ,



ბაზარში გასაყიდად გამოტანილი "საქონელი" საინტერესო იყო (ჩეჩენი ლტოლვილები ყიდდნენ ჰუმანიტარული დახმარებით მიღებულ საქონელს) იმდენად, რამდენადაც ამგვარი სიახლე ბაზრის ატმოსფეროში გარკვეულად "ახლებურ" სოციალურ კლიმატს და შესაბამის კონტექტს ქმნიდა. მაგ., მასწავლებელი ქალი განიცდიდა, რომ ჩეჩნეთიდან არის წამოსული, რუსია და ახლა იძულებულია აქ, ახმეტის ბაზარზე, ყიდდეს სარეცხის ფხვნილს და საპონს. უჭირდა თავისი თავის ამ სოციალურ როლში წარმოდგენა, რაც შინაგან სულიერ ტკივილს იწვევდა

მასში. სწორედ ურთიერთობის ამგვარი მრავალსახეობა და მრავალპლანობა ქმნიდა იმ ლოკალურ რეალურ სიძნელეებს, რაც მკვლევრისაგან, ძირითადი კვლევითი მუშაობის პარალელურად დაძაბულ, გაწონასწორებულ, კეთილმოსურნე



და ძალზე საპასუხისმგებლო ურთიერთობებს მოითხოვდა. პანკისის ხეობაში ექსპედიციის მუშაობის აღწერას არ ექნება სრული სახე, თუ ჩვენ არ შევეხებით ბავშვებთან ფსიქოლოგების მუშაობას.

რთული და მაღალი დაძაბულობის სოციალური ატმოსფეროს შესწავლას რომ ვბებმაედით, ჩვენ წინასწარ გადავწყვიტეთ, მოზრდილების პარალელურად, ბავშვებისთვისაც დაგ-ვეთმო გარკვეული ყურადღება. საომარმა მოქმედებამ მთელ მოსახლეობას მიაყენა ტრავმა, რაც თავისებურად აისახა ხეობაში მცხოვრები ბავშვების ცნობიერებაში. როგორც ცნობილია მოსახლეობა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ფენომენს. ეს არის ადამიანების თავყრილობა ოჯახებით, ყოველდღიურობით, პრობლემებით. ბავშვი ისევეა ჩართული სოციუმში, როგორც მოზრდილი. ბავშვის ურთიერთობა სამყაროს მოვლენებთან გაშუალებულია უფროსით. სამყაროს ბავშვი მშობლის მეოხებით შეიცნობს, რაც გარკვეულწილად ამცირებს პრობლემებისა თუ სირთულეების განცდის სიმძაფრეს. ჩვენს შემთხვევაში თავად სტრესულ მდგომარეობაში მყოფი მშობლისათვის შეუძლებელია ბავშვის მდგომარეობის სრულად გათვალისწინება და მისი გრძნობების სიმძაფრის განეიტრალება. უპირველესად ყოვლისა, იგი საამისო ტექნიკასაც არ ფლობს.

საზოგადოდ ბავშვებთან თერაპიულ მუშაობას გარკვეული პირობები სჭირდება. რეალურ სიტუაციაში ბავშვებთან შეხვედრა სპონ-ტანურ ხასიათს ატარებდა და ამდენად ჩვენ სპონტანურად შექმნილ ჯგუფში გვიწევდა მუშაობა. მშობელი– მოხრობლის გვერდით, უმეტეს შემთხვევაში ბავშვებიც იყვნენ და სწორედ ასეთ ვითარებაში ვახერხებდით გამოგვეყო პატარები ცალკე სამუშაო ჯგუფად, აღმოგვეჩინა მათთვის ერთჯერადი ფსიქოლოგიური დახმარება. რეგიონის პირობებში ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ბავშვების ჯგუფთან ხატვის ტექნიკის გამოყენება. თავად ხატვის პროცესი, როგორც წესი, ბავშვებში დადებით ემოციურ განცდას იწვევს და ეს გვეხმარება ასევე დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნაში, რაც აუცილებელი პირობაა სტრესული მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. მეორეს მხრივ, ხატვის პროცესი ყოველნაირად სასიამოვნოა პატარებისათვის; ამავე დროს „ბავშვები როგორც წესი ამჯობინებენ ხატონ ის, რაც მათ მოესურვებათ. ამ ვითარებაში თავსმოხვეული თემა არ იქნება ისეთი შედეგიანი, როგორც თავისუფალი, თავისი ნება-სურვილით–რამეს დახატვა. ეს არანაირად არ აკნინებს თერაპიული პროცესის ღირებულებას[21]. ჩვენი მუშაობა ბავშვებთან, „ინდივიდუალური" თუ „ჯგუფური", აგებული იყო სწორედ ბავშვის სურვილით შერჩეული თემის ხატვის პრინციპით. როდესაც მკვლევარი თავად აძლევს დავალებას ბავშვს ანუ უკარნახებს, თუ რა უნდა დახატოს ბავშვმა, დამკვირებლებს ეკარგება ის მნიშვნელოვანი შინაარსები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სულიერ განცდებთან ან ძლიერ შთაბეჭდილებასთან – ისეთთან როგორც შიში ან სევდა. შესაძლოა ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რომ შეწუხებული, სულიერად წონასწორობადარღვეული ბავშვი ყვავილების, ან ჭრელი კაბისა თუ თოჯინის დახატვით უფრო გახალისდება. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარმა ხატვამ მას გარკვეული სიამოვნება მიანიჭოს, მეორეს მხრივ, თუ ბავშვი მძიმე მდგომარეობაშია და მას უნდა უარყოფითი განცდე-ბისაგან განთავისუფლდეს, აქვს დაბომბვის, დედასთან დაშორების შიში, წუხს საკუთარ სახლზე და ა.შ. მისი ნახატების შინაარსში ეს აუცილებლად აისახება, რითაც

[21] Оаклендер В., Окна в мир ребенка, руководство по детской психотерапии. Москва. 1997 г. «Класс-независимя Фирма». ст. 56

მიეხვდებით მის ნამდვილ სულიერ განწყობას და საშუალება მოგვეცემა შემდგომი გასაუბრებით ბავშვს შევუსუბუქოთ ეს ტკივილი. ნახატი, და თვით ხატვაც ამ შემთხვევაში იმპულსია საუბრისათვის. ნახატი ჩვენ გვიადვილებს ბავშვთან კონტაქტის დამყარებას. სიტყვიერი კონტაქტი პირდაპირი, მშრალი ყოფნით ყოველთვის ძნელდება, მით უფრო ამგვარი დაბაბული რეგიონის ბავშვებთან, რომელნიც მორიდებულობისა და სიმორცხვის დიდი ხარისხით ხასიათდებიან. უცხოსთან ურთიერთობის პროცესში ხატვით და სახატავი საშუალებებით "გზას" ვპოულობთ ბავშვის შინაგანი სამყაროსკენ. ხატვით



თანამშრომლობის სურვილს ჩვენი "რესპონდენტები" სრულიად აშკარად გამოხატავდნენ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბავშვებთან ამგვარ კონტაქტს მშობლებიც, როგორც წესი, დადებითად აფასებდნენ.

მუშაობის დასრულების შემდეგ ჩვენი ჯგუფის წევრები მადლობას ვუხდიდით როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს. თუ რომელიმე ბავშვს არ უნდოდა ჩვენთვის ნახატის "ჩუქება", ჩვენ მას ნახატს ვუტოვებდით. მაშასადამე, მთლიანობაში მუშაობამ დადებითი ემოციები უნდა გამოიწვიოს, როგორც

მშობლებში, ისე ბავშვებში. რაც შეეხება მოპოვებულ მასალას – ბავშვის ნახატს, აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ნამუშევარში არანაირი კორექტივის შეტანა არ შეიძლება. ფსიქოლოგს ამის საფუძველი არ გააჩნია, ეს არ ემსახურება მის მიზანს. ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ რამდენად ხარისხობრივად – კარგად ან ცუდად ხატავს ბავშვი. ნახატის გზით ჩვენ საშუალება გვაქვს ვიმსჯელოთ იმის თაობაზე თუ როგორია ბავშვის დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ, რამ ჰპოვა გამოძახილი მის განცდაში, რამდენად მოახერხა მან ამის გადმოცემა თუნდაც ნახატით "აქ და ამჟამად" სიტუაციაში. ფსიქოლოგი თავისი კეთილმოსურნე



ურთიერთობით ანუ უსაზღვრო და უპირობო დადებითი გრძნობით, ისეთ გარემოცვაში აქცევს ბავშვს, ან ბავშვების ჯგუფს, რომელშიც ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. ასეთ გარემოცვაში ბავშვი, როგორც წესი, თავისუფლად საუბრობს თავის ემოციებზე. ბავშვის საუბრის პროცესში, ჩვენ, ნახატიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ იმ შინაარსებზე, რაც ბავშვისათვის მნიშვნელოვანია. გულისხმიერი

საპასუხო დამოკიდებულება – დადებითი "უკუკავშირი" ეხმარება ბავშვს თავისი გრძნობების უარყოფითი ხარისხის დაძლევაში, მძიმე ემოციების სიტყვიერი ფორმით გარეთ გამოტანაში. ამგვარ აქტს "გრძნობების ვენტილაციას" უწოდებენ. ამ გზით ბავშვის კომუნიკაციას კარებს ვუხსნით, ეს კი მისი ტრავმის დაძლევას ემსახურება. ბავშვს არ აკრიტიკებენ და არც იმას, ვის მიმართაც ბავშვი გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუწუნოთ ან შევუსწოროთ ნახატი. თუ ბავშვმა გამოხატა აგრესია, არ გაუწიოთ წინააღმდეგობა, თანაგრძნობით უნდა მოვეკიდოთ მას, ამგვარ მდგომარეობაში მყოფს. ფაქტობრივად ბავშვებთან მუშაობის ამოსავალი პრინციპი უფროსთან მუშაობის ამოსავალი დებულების ანალოგიურია. ეს არის ურთიერთპატივისცემაზე და თანაგრძნობაზე აგებული ურთიერთობა, სადაც ფსიქოთერაპევტი ემპათიურად უგებს თავის პარტნიორს და განიცდის მის მიმართ უსაზღვრო, უპირობო დადებით გრძნობას.

როგორც ვხედავთ, როგორც ფსიქოლოგების, ასევე ეთნოლოგების კვლევის ობიექტია თავისი ურთიერთ-მიმართებების სისტემაში ჩართული ადამიანი. იმდენად, რამდენადაც მეცნიერი სოციალურ ობიექტს იკვლევს, მან კვლევის პროცესში ყოველთვის უნდა გამოიჩინოს კორექტული და თავაზიანი ურთიერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია როგორც სრულფასოვანი ემპირიული მასალის მოპოვება, ასევე მისი სრულყოფილი ანალიზი.

# МЕТОДИКА И ТАКТИКА ЭТНОПСИХОЛОГИЧЕСКОГО ПОЛЕВОГО ИССЛЕДОВАНИЯ ВО ВРЕМЯ ЛАТЕНТНОГО КОНФЛИКТА

Особенности научного исследования в полевых условиях дают о себе знать в том случае, когда реальную среду можно охарактеризовать как экстремальную. Деловые отношения между исследователем и информатором, самые несложные с первого взгляда, меняются в экстремальной ситуации и часто приобретают довольно резкий характер. Исследователи социальных наук прибегают к т.н. классическим методам – эксперименту, наблюдению, включенному наблюдению, углубленному интервью, опросникам, фокус-группам и т.д. которые результативны и в случае междисципли-нарных исследований. Исследуемое лицо, объект изучения социальных наук – будь то психология или же этнология – в любом случае живое, мыслящее разумное существо, а не физическое тело или же химический элемент. Сложность обусловлена и тем, что данный мыслящий субъект является членом микросоциума. Но если исследуемое социальное окружение, социальная среда предстанет как ситуация межэтнической напряженности, то исследователь, выбирая подходящий для исследования инструментарий и обдумывая методику, по мере возможности старается заранее учесть тот социальный контекст, ту среду, в которой предстоит вести исследование. И все же в регионе, полном неожиданностями никак не удается до конца предусмотреть все причины, препятствующие исследованию. Повинуясь фактической ситуации, исследователь часто идет на определенные компромиссы, адаптируя методы в соответствии созданному положению, что дает возможность собрать объективный материал.

Сложное окружение Панкисского ущелья – чеченская война, беженцы, полиэтническое население (кистины, осетины, грузины), религиозное направление - ваххабизм – все это выливается в недоброжелательное отношение к появившимся в ущелье посторонним лицам.

В данном случае акцентируются не чисто методические проблемы, а процессуальная специфика проведения исследования. В общих чертах это можно представить как стратегию поведения взаимоличностных отношений между исследователем и информатором, т.е. какой форме отношений придаем предпочтение. В ареале высокого этнического напряжения диалог между информатором и наблюдателем (вопросы и ответы) в начале исследования носят чисто личностный характер, т.е. информатору создают такую среду, в которой он имеет возможность говорить свободно о своих проблемах, о том, что его беспокоит. Исследователь же должен, открыто выразить как свое положительное отношение к субъекту исследования, так и абсолютно нейтральную позицию к этничности вообще. Если информатор является представителем другой этнической группы – опозитивом, то это не должно повлиять на процесс исследования, т.е. исследователь – как - бы «откладывает в сторону» свою этничность, - со всей смысловой нагрузкой. Необходимо считаться и с тем, как сам информатор относится к тому или иному этносу. Работу в подобных условиях можно представить в два этапа: на первом этапе информатору, если у него возникнет желание вступить в беседу, необходимо дать понять, что его внимательно слушают, разделяют его житейские проблемы. На данном этапе исследователь должен применить т.н. эмпатическое выслушивание. Эмпатия (Ampaty) это сочувствие, сопереживание, что способствует «открытости» собеседника с исследователем. Диалог, построенный на технике эмпатического выслушивания, по нашему мнению, вполне оправдан в данной ситуации, как с этической позиции, так и с точки зрения содействия человеку, пребывающему в тяжелом состоянии. Сочувствующий наблюдатель выслушивает информатора, не критикуя его и не проявляя к нему оценочного отношения. И только после этого становится возможным задать информатору конкретные вопросы по изучаемой проблематике. Однако информатор, или же группы таковых, после завершения беседы не должен почувствовать, что исследователь интересовался лишь одними ответами на вопросы. В неэкстремальной ситуации это не воспринимается отрицательно; Однако в напряженных условиях одна лишь роль информатора не удовлетворяет человека. Находясь в стрессовом состоянии, он хочет знать, что и в период постнаблюдения ученому не безразлична его

дальнейшая судьба. Неважно, как и в какой форме выражает информатор свои мысли и взгляды о конкретной личности или же этнической группе – иронически, агрессивно или же угрожающе – это не должно стать предметом полемики. Естественно, наблюдатель вынужден приложить определенное усилие и поскольку он не ограничен одной конкретной темой, то в руках у него оказывается богатый материал с насыщенным содержанием. С другой стороны, когда информатор «освобождается» от отрицательной эмоции, вызванной беседой о жестокостях войны или же тяжелых социально-экономических условиях, он «открывается» для беседы и его уже можно переключить на тематику этнических отношений, традиций, на сельскохозяйственные и другую этнологическую проблематику.

Работа в детских группах была построена на том же самом принципе сопереживания. Применение техники рисования облегчило войти с детьми в контакт, Дети, пребывающие в социальной среде ущелья, отличаются застенчивостью и они трудно воспринимают постороннего наблюдателя, однако желание нарисовать то, что они хотели, «освобождает» их от застенчивости. Сам процесс рисования вызывает положительные эмоции даже тогда, когда рисунок выражает тяжелые переживания. Безоговорочное принятие детей и их фантазии отразившейся в рисунках полностью раскрывает внутренний мир ребенка, выдвигает на первый план его чувства и проблемы.

Сложный социальный фон и работа с изучаемым объектом в таком социальном контексте требует от исследователя дать преимущество личностным отношениям, специфика которых подразумевает включение в обычный диалог элементы активного эмпатического выслушивания, что со своей стороны действует смягчающе на агрессивный фон и создает благоприятную среду для исследования.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. Андреева Г.М., Социальная психология, Московский университет, М., 1980 г.
2. Аронсон Е., Общественное животное. Аспект пресс, М., 1999 г.
3. Культура жизнеобеспечения и этнос, Ереван, 1983 г.
4. Ливегхуд Б., Биографические кризисы, изд. Ацкмо,Тб., 2002, (на груз. яз.).
5. Майерс Д., Социальная психология, С-Пет., 2000 г.
6. Меликишвили Л.Ш., Методика полевой работы в конфликтной среде, Тб., 2000 г. (на груз. яз.)
7. Натадзе Н., Нация и национальная культура, изд. Мецниереба, Тб., 1988 г., (на груз. яз.)
8. Оклендер В., Окна в мир ребенка, «Клас-независимя Фирма», М., 1997.
9. Роджерс К., Становление человека, «Группа Прогресс», М., 1961 г.
10. Стефаненко Т.Г., Этнопсихология, М., 2000 г.
11. Харадзе Р. Л., Робакидзе А. И., Характер сословных отношений в горной Ингушетии, КЭС, II, Тбилиси, 1986 г.
12. Шубитидзе В., Безопасность и адаптация культуры этнических групп в новой социально-культурной среде, в книге: Панкисский кризис, Тб. 2002 г.
13. Biber T., Y and Thou, New-York, 1958.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან ........................................ 3
საველე მუშაობის მეთოდი
კონფლიქტურ საზოგადოებაში ................................ 9
კვლევის ობიექტის შერჩევა .................................. 10
ძველი მეთოდიკა ......................................... 19
მეცნიერის პოზიცია ველზე ................................. 20
მკვლევარის ჰიპოთეზა ..................................... 23
ეთნოლოგის როლი ველზე .................................. 25
საზოგადოებაში შესვლა .................................... 30
ველზე მუშაობა .......................................... 35
მუშაობა ჯგუფში ......................................... 38
დისტანცია ............................................. 40
„ერთი ბედ ქვეშა ვართ" .................................. 41
კონტაქტის დამყარების
ტექნიკური საშუალებები .................................. 42
ფსიქოლოგები ველზე ..................................... 44
დასკვნა ............................................... 51
Метод работы в зоне латентного конфликта ............... 55
გამოყენებული ლიტერატურა ................................ 58
ექსპედიციის მიზანი პანკისის ხეობაში ........................ 59
ეთნოფსიქოლოგიური მუშაობის მეთოდიკა და ტაქტიკა ....... 70
Методика и тактика этнопсихологического полевого
исследования во время латентного конфликта ............. 111
გამოყენებული ლიტერატურა ................................ 114
სარჩევი ............................................... 115